ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№005 (12 075)
9 იანვარი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ყაზბეგი

# ასათიანმა დაიწყო

ლევან ჯანეზაშვილი



ხვალ მოსკოვის "ლოკომოტივი" პორტუგალიის პატარა ქალაქ ფარუში გაემგზავრება შეკრებაზე. პირენეებზე წამსვლელთა შორის ქართველები არ არიან. ჩვენთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მალხაზ ასათიანმა ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ექიმის მეთვალყურეობით ინდივიდუალური ვარჯიში დაიწყო, 13-ში კი გერმანიაში გაემგზავრება მკურნალობის კურსის გასავლელად. გუშინ მოსკოვის "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელებს ახალი მთავარი მწვრთნელი, ანატოლი ბიშოვეცი და მისი ასისტენტები წარუდგინა. ხანმოკლე კრებას რკინიგზელთა ძირითადი შემადგენლობისა და დუბლების ყველა მოთამაშე დაესწრო, ბუნებრივია, მათ შორის მალხაზ ასათიანი და გიორგი ჭელიძეც იყვნენ. ბიშოვეცის განცხადებით, ახალ სეზონში "ლოკომოტივი" უკეთეს შედეგებს აჩვენებს და მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.



## დინამო სტურუას უშვებს, ნავალოვსკისაც...

ახალი ხალხი ტორპედოში 2

## სიონს პრობლემები შეექმნა

მოსკოვური ტურნირის წინ 3



## რატომ წავაგეთ ლატვიასთან?

ექსპერტთა მოსაზრებები 11



## საგარეჯო ფალავნებს კარგავს 13

# კრიზისი

- ფაბიო კაპელო უფროსებმა დაიბარეს
- ესპანელი ჟურნალისტის საიდუმლო ჩანაწერი რესტორანში
- რეალის პრეზიდენტს გადაყენებით ემუქრებიან 6







# ჰიდინკი რუსეთს ტოვებს?

ჰოლანდიელი სპეციალისტის სენსაციური ინტერვიუ:

## აბრამოვიჩმა დახმარება მთხოვა

რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გაოგნებულია 7

ბიბლიოთეკა

თბილისის დინამო. შეკრება ანთალიაში. ინტერვიუ სანდრო იაშვილთან

# დინამო სტურუას უშვებს


ზვიად სტურუა

დღეს, ნაშუადღევის 4 საათზე თბილისის "დინამო" დედაქალაქიდან ბათუმისკენ აიღებს გეზს. დინამოელები დილამდე ბათუმში იქნებიან, იქიდან კი ტრაბზონის გავლით ანთალიას მიაშურებენ. თურქეთში გუნდი 5 ვარსკვლავიან სასტუმრო "სელინიში" დაბინავდება, სადაც 20 იანვრამდე დაყოფს. ამ პერიოდის განმავლობაში **დუშან უგრინის** გუნდი სამ ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. 12 იანვარს "დინამო" რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე გროზნოს "ტერეკს" დაუპირისპირდება, 15-ში ზაპოროჟიეს "მეტალურგთან", ხოლო 19 იანვარს "ხარკოვთან" გამართავს ამხანაგურ მატჩებს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა უკვე შეარჩია იმ 25 ფეხბურთელის ვინაობა, რომლებიც ანთალიურ შეკრებას გაივლიან:

მეკარეები: **სოსო გრიშიკაშვილი, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე.**

მცველები: **ლევან აკობია, ვალერი ბოლქვაძე, ნედ ზელიჩი, ლაშა ნოზაძე, დავით გიგაური, გულვერდ თომაშვილი, შოთა კაშია, გურამ კაშია, გიორგი გუგავა.**

ნახევარმცველები: **ირაკლი ჩირიკაშვილი, გიორგი ნერგაძე, ალექსანდრე კობახიძე, გიორგი მერებაშვილი, ლევან ხმალაძე, მიხეილ ხუციშვილი, დავით დილმელაშვილი, დავით ოდიკაძე.**

თავდამსხმელები: **მათე ვაწაძე, ჯაბა დვალი, სანდრო იაშვილი, ზამირ ჯანაშია, მიხეილ კაკალაძე.**

სიაში რამდენიმე ახალი გვარია. **მაკარიძე, ბოლქვაძე, გუგავა** და **ვაწაძე** დუბლშემადგენლობიდან დამატებული ფეხბურთელები არიან. საგულისხმოა ისიც, რომ ჩამონათვალში, მეკარეთა შორის არაა **ზვიად სტურუა** და ბუნებრივია ამ საკითხით დავინტერესდით.

*"ამ ეტაპზე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დუშან უგრინმა ასე გადაწყვიტა - ზვიად სტურუა გუნდს თურქულ შეკრებაზე არ გაჰყვება და თბილისში გააგრძელებს სამზადისს,"* - ამ გოლკიპერის თაობაზე მხოლოდ ეს გვითხრა კლუბის პრესატაშე **გიგა გვენცაძემ.**

**დავით ცაბაძე**

# ვიბრძოლებთ ბოლომდე


სანდრო იაშვილი

**თბილისის "დინამო" მორიგი მოსამზადებელი შეკრებისთვის ემზადება. რა ვითარებაა გუნდში, როგორ ხდება ახალი ფეხბურთელების ადაპტაციისა და შერწყმის პროცესი. ერთია მწვრთნელთა აზრი, მეორე კი ფეხბურთელისა. ამჯერად გუნდის ლიდერ სანდრო იაშვილს გავესაუბრეთ.**

- მზადება დეკემბერში განვაახლეთ რამდენიმედღიანი პაუზა გვქონდა საახალწლოდ და შობას. ბაკურიანში 5 დღის განმავლობაში, თოვლში ვემზადებოდით. ეს ეტაპები ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე იყო გათვლილი. სისწრაფესა და გამძლეობაზეც გავაკეთეთ აქცენტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბაკურიანის შეკრებამ ნაყოფიერად ჩაიარა.

**- შეიძლება ითქვას, რომ ბაკურიანის შეკრება ერთგვარი საფუძველი იყო მზადების მომდევნო ეტაპისთვის?**

- დიახ, სწორედაც რომ ასეა. მწვრთნელებმა თოვლში გაგვაკაჟეს. ეს ეტაპი ნამდვილად აუცილებელი იყო ჩვენი ორგანიზმისთვის. ყველანი ტონუსში ვართ. ყველაფერი კეთდება საიმისოდ, რომ 18 თებერვლის "ამერთან" სათასო მატჩისთვის მზად ვიყოთ.

**- "ამერთან" თასის მეოთხედფინალში მართლაც რთული მატჩები გელით...**

- დიახ, მაგრამ ჩვენ მაქსიმალურად ვემზადებით საიმისოდ, რომ ეს ეტაპიც გავიაროთ. მართალია "ამერი" თასისა და სუპერთასის მფლობელია, მაგრამ ტიტულები ჩვენც არ გვაკლია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს რაუნდიც გადავლახოთ.

**- გუნდში ახალწვეულთა ადაპტაციის პროცესი როგორ მიდის?**

- მშვენივრად. დათო დილმელაშვილსა და ნედ ზელიჩს მთელი გუნდი გულლიად დავხვდით. ჩვენ ერთი დიდი ოჯახი ვართ და ურთიერთობაშიც არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

**- ბაკურიანში, სასტუმროში შენ და ზელიჩი ერთ ნომერში ცხოვრობდით...**

- დიახ, ეგრე იყო. გარდა იმისა, რომ ზელიჩი უდიდესი ფეხბურთელია, ასევე ჩინებული პიროვნებაა. თბილი, კონტაქტური და თავმდაბალი. ეს თვისებები კი ადამიანში დიდად ფასობს. დინამოელები, ყველანი მოხარულები ვართ, რომ ასეთი დასაფასებელი ფეხბურთელი ჩვენ გვერდითაა და ალბათ, დინამოელიც მალე გახდება.

**- ზელიჩმა რა თქვა ბაკურიანზე. რომელიმე ქალაქს ხომ არ შეადარა?**

- არა, მაგრამ ძალიან მოეწონა... თოვლში ბევრს ვხუმრობდით კიდეც...

**- თხილამურებიც ხომ არ მოგირგიათ?**

- არა, ეგ ბედნიერება არ გვქონია. მართალი გითხრათ, საამისოდ დროც არ იყო.

**- წინ ანთალიის შეკრება გელით სადაც ახალი ფეხბურთელებიც შემოგიერთდებიან...**

- დიახ, როგორც გავიგე რამდენიმე უცხოელი ფეხბურთელი შემოგვიერთდება და გუნდში მათი დარჩენა-არდარჩენის საკითხს სწორედ ეს შეკრება გადაწყვეტს. ჩემი აზრით, ანთალიურ შეკრებას თავისი დატვირთვა აქვს, რადგან გუნდის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაზა იქნება. ეს პერიოდი ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვის ბევრს გადაწყვეტს, ვარჯიშებსა და ამხანაგურ მატჩებზე მაქსიმუმი უნდა გავილოთ, მწვრთნელთა მოთხოვნები დავაკმაყოფილოთ და დავამტკიცოთ, რომ ძირითადში თამაშის ღირსი ვართ. ერთი სიტყვით, ამ შეკრებაზე გუნდის ბირთვი გარკვეულწილად მაინც გამოიკვეთება.

**- ანთალიაში 10 დღეში სამი ამხანაგური მატჩი გელით...**

- დიახ, მაგრამ პირადად ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, თუკი მეტი საკონტროლო მატჩი გვექნებოდა...

**- ასე ვთქვათ თამაშს მოწყურებული ხარ?**

- შეიძლება ასეც ითქვას, თუმცა მწვრთნელებმა ასე გადაწყვიტეს, ე. ი. ასეა საჭირო.

**- მეტოქეებზე რას იტყოდი?**

- "ტერეკი", ზაპოროჟიეს "მეტალურგი" და "ხარკოვი" იმდენად ტრადიციული და ტიტულოვანი გუნდები არ არიან, როგორიც თბილისის "დინამოა". თუმცა "მეტალურგი" და "ხარკოვი" ჩვენზე მაღალი დონის ჩემპიონატში ასპარეზობენ. ასე რომ, ამ ეტაპზე მათთან გაჯიბრება და ძალების მოსინჯვა ჩვენთვის სასარგებლო ნამდვილად იქნება.

**- ერთია მწვრთნელის ხედვა, მეორე გუნდის ლიდერის აზრი. როგორც გუნდის საკვანძო ფიგურის შენი აზრიც საინტერესოა - "დინამოს" არსებული კონტინგენტით შეუძლია ჩემპიონობისა და თასის მოპოვებისთვის ბრძოლა, თუ გაძლიერება არ გაწყენდათ?**

- ჩვენ, ზელიჩის ჩათვლით, ამ კონტინგენტითაც შეგვიძლია მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ. თუმცა, გაძლიერება ნამდვილად არ გვაწყენდა. ბოლობოლო, წინ კიდევ ბევრი მატჩია და გრძელი სათადარიგოთა სკამი ურიგო ნამდვილად არ იქნება.

**დავით ცაბაძე**

ტორპედო

# ქუთაისში ახლები გამოჩნდნენ

ქუთაისის „ტორპედომ" ჩემპიონატის მეორე ეტაპისა და თასის მეოთხედფინალისთვის მზადება 4 იანვარს, ახალი მწვრთნელების **გიორგი კიკნაძისა** და **ზაზა ზამთარაძის** ხელმძღვანელობით დაიწყო. გუნდი უკვე ორჯერად ვარჯიშებზეა გადასული. ტორპედოელები დილით საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ბურთთან ერთად ვარჯიშობენ, საღამოს კი ცენტრალურ სტადიონზე ინაცვლებენ და ფიზიკურ კონდიციებს იუმჯობესებენ. ტორპედოელები რამდენიმე დღე კვლავ ქუთაისში ივარჯიშებენ, შემდეგ კი ბორჯომში ან ბაკურიანში გაივლიან შეკრებას. საუბარია ანთალიური შეკრების მოწყობაზეც, მაგრამ ეს მხოლოდ სპონსორის საკითხის საბოლოოდ გარკვევის შემდეგ გადაწყდება.

გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა. **სირბილაძესა** და ვეტერან **კახა კვეტენაძესთან** ერთად „ტორპედოში" ვარჯიშობენ ახალგაზრდები **ბექა მერკვილაძე** და **დავით ხურცილავა**. ეს უკანასკნელი შარშან „ტორპედოს" ძირითადშიც თამაშობდა, მაგრამ მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ **რევაზ ძოძუაშვილის** დანიშვნის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა და ბოლოს გუნდიდანაც წავიდა. *„ახალი მწვრთნელები ხურცილავას და მერკვილაძეს თავის გამოჩენის შანს აძლევენ და თუ ეს ბიჭები თავს კარგად წარმოაჩენენ გუნდშიც ჩაირიცხებიან"* - გვითხრა „ტორპედოს" პრესატაშე **გოგა მინდელმა**. გუშინ ბაზაზე „ზესტაფონის" ყოფილი ფორვარდი **გრიგოლ იმედაძეც** გამოჩნდა, მაგრამ, როგორც გაირკვა, იგი ქუთაისში კი არა, აზერბაიჯანში აპირებს კარიერის გაგრძელებას და „ტორპედოს" ბაზაზე მხოლოდ პირადი საქმის გამო იმყოფებოდა.

გუნდიდან წამსვლელებს რაც შეეხება, ამ მხრივ ქუთაისელთა მთავარი დანაკარგი **დავით გამეზარდაშვილია,** რომელიც ლატვიაში გაემგზავრა და „სკონტოში" ცდილობს ფეხის მოკიდებას. მის გარდა ქუთაისელთა რიგები **გივი ჩხეტიანსაც** უნდა დაეტოვებინა. ფეხბურთელი ავსტრიაში აპირებს კარიერის გაგრძელებას, თუმცა დღემდე „ტორპედოსთან" ერთად ემზადება. როგორც მინდელმა გვითხრა, ჩხეტიანი რამდენიმე დღეში ავსტრიაში სინჯებზე გაემგზავრება და ამის შემდეგ გაირკვევა მისი საკითხი. იმ შემთხვევაში, თუ მან ავსტრიულ კლუბში დამკვიდრება ვერ მოახერხა კვლავ „ტორპედოს" დაუბრუნდება.


დავით გამეზარდაშვილი რიგაშია

„ტორპედოს" პრეზიდენტის ვინაობა არ გარკვეულა, მაგრამ სანაცვლოდ გუნდის ვიცე-პრეზიდენტის ვინაობა გახდა ცნობილი. ამ პოსტზე ყოფილი ტორპედოელი **ჯემალ ხერხაძე** დაინიშნა, რომელიც ბოლოს რევაზ ძოძუაშვილის მიერ ჩამოყალიბებული მწვრთნელთა საბჭოს ერთ-ერთი წევრი გახლდათ. ცნობილია გენერალური დირექტორის ვინაობაც. ამ თანამდებობაზე კვლავ **ვლადიმერ კაკაურიძე** იმუშავებს, რომელმაც „ტორპედოს" აქციათა კუთვნილი 40 პროცენტი ახალ სპონსორებს გადაულოცა.

გუნდის ხელმძღვანელობა საინფორმაციო ცენტრის ჩამოყალიბებაზეც ფიქრობს. „ტორპედოს" პრესატაშეს ცნობით, დღეს საღორიის ბაზაზე ინტერნეტი ჩაირთვება და მალე „ტორპედოს" ოფიციალური საიტიც ამუშავდება.

რაც შეეხება „ტორპედოსა" და „ვისოლის" ურთიერთობას, ამ საკითხზე „ტორპედოს" ხელმძღვანელები და მწვრთნელები დუმილს ამჯობინებენ, მათი თქმით, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია და წინასწარ რაიმეს თქმა გამართლებულად არ მიგვაჩნიაო. თუმცა ქუთაისურ გუნდში სასიკეთო ძვრები რომ არის ეს ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან


აფციაური (6) და ნავალოვსკი შესაძლოა თანაგუნდელები გახდნენ

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ნავალოვსკი ოლიმპში?

თურქულ შეკრებაზე წამსვლელ "დინამოში" არ იქნება **გიორგი ნავალოვსკი**. გუშინ დილმის საწვრთნელ ბაზაზე სტუმრობისას მხოლოდ ის შევიტყვეთ, რომ ნავალოვსკის კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა და მხარეთა შეთანხმების მიხედვით ხელშეკრულება აღარ გაგრძელებულა. ამ მცველის მომავლის შესახებ "დინამოში" მეტი ვერაფერი გავიგეთ. თუმცა ჩვენ მიერ მოპოვებულ ცნობათა თანახმად, ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ გიორგი ნავალოვსკი მიმდინარე სეზონის მეორე ნახევარში, "ოლიმპში" იასპარეზებს. ბუნებრივია, ამ ცნობის გადამოწმებას "ოლიმპში" შევეცადეთ და ჩვენს ხელთ არსებული ეს ინფორმაცია ბოლომდე თუ არა ნაწილობრივ მაინც დადასტურდა.

*"ჯერჯერობით, მხოლოდ იმისი თქმა შემიძლია, რომ გიორგი ნავალოვსკისა და ჩვენი კლუბის მესვეურებს შორის მოლაპარაკებები დაიწყო. ნავალოვსკი კარგი ფეხბურთელია, ვნახოთ, თუ როგორ წარმოჩნდება ჩვენს გუნდში და რა შედეგით დასრულდება მოლაპარაკებები. წესით ეს საკითხი რამდენიმე დღეში უნდა გაირკვეს"*, - გვითხრა "ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა **რევაზ ძოძუაშვილმა**.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# ჩასემით რუსებიც დაინტერესდნენ

რუსეთის მხრიდან საქართველოს სატრანსპორტო მიმოსვლის შეჩერებამ ბოლნისის "სიონს" მრავალი დაბრკოლება შეუქმნა. ქვეყნის ჩემპიონს მოსკოვის თანამეგობრობის ტურნირზე მონაწილეობისთვის, ერევნიდან გამგზავრება მოუწევს.

თუმცა მოულოდნელად პრობლემა შეექმნათ სომხეთის მხრიდან. როგორც ცნობილია, ბევრი ქვეყანა ტერიტორიაზე აფრიკის მოქალაქეების შესვლას ხანგრძლივი პროცედურის გავლის შედეგად თუ თანხმდება. თუ გაიხსენებთ, "სიონი" მთელი ერთი თვის განმავლობაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აგვარებდა **ბოიომოს, ჩასემისა** და **ევოჩეს** ჩამოსასვლელად აუცილებელ დოკუმენტებს.

ანალოგიური პრობლემები აფრიკელებს სომხეთშიც ელით. რადგან ბოლნისელები მოსკოვში ერევნის გავლით მიემგზავრებიან, სადაც "სიონის" ლეგიონერებს სატრანზიტო ვიზას ზემოთ ნახსენები პრობლემების მოგვარებამდე არ აძლევენ. სომხეთის საკონსულო შობამდე ისვენებდა და ახლა დაუბრუნდება საკითხის განხილვას. "სიონის" მენეჯერი **ჯემალ ჭიპაშვილი** იმედიანადაა და როგორც აცხადებს, პრობლემები უნდა მოგვარდეს.

"სიონი" მოსკოვში ერევნის გავლით 18 იანვარს მიემგზავრება. ადრე დაგეგმილი იყო განჯიდან გაფრენა, მაგრამ რეისი ცუდ დროს იყო და კლუბის ხელმძღვანელობამაც სხვა ვარიანტი აირჩია.

ბოლნისელები სასიამოვნოდ გაოცებულები არიან აფრიკელი სამეულის პროგრესით და მათ გარეშე მოსკოვში გამგზავრება, რა თქმა უნდა, დიდი დანაკლისი იქნება. აფრიკელთა პოტენციალზე მათზე არსებული მოთხოვნაც ადასტურებს. ყოველ შემთხვევაში, ჯემალ ჭიპაშვილი აცხადებს, რომ თითოეული მათგანის მიმართ ინტერესი არსებობს.

*"ლეგიონერებს საკუთარი შესაძლებლობების გამოსავლენად, დიდი დრო სჭირდებათ. მეორე წრისა და მოსკოვის ტურნირისთვის მზადების დასაწყისში გამოჩნდა, რომ მათ გაცილებით უკეთ თამაში შეუძლიათ, ვიდრე პირველ წრეში აჩვენეს. ახლა გუნდთან ადაპტაცია გაიარეს, ბიჭებთან ურთიერთობა დაამყარეს და ეს მათ გამოსვლასაც დაეტყო. დარწმუნებულები ვართ, რომ ისინი მოსკოველ მაყურებელს სასიამოვნოდ გააოცებენ. ბოიომოს ხშირად ეხმიანებიან ბულგარელი მენეჯერები. მისით სოფიის "ლევსკი" და პლოვდივის "ლოკომოტივი" დაინტერესდნენ. როგორც შევიტყვე, თანამეგობრობის თასზე ჩასემს მოსკოვის "დინამოს" წარმომადგენელიც დააკვირდება. შესაძლებელია, რომ ტურნირის აღმოჩენა ან ის, ან ევოჩე გახდეს. ამ უკანასკნელმაც ძალიან მოუმატა"*, - გვითხრა ჭიპაშვილმა.



ჩასემის შეძენა რუსულ კლუბებსაც სურთ

**მერაბ მამულაშვილი**



გუშინ ოლიმპის აკადემიაში საინტერესო მატჩი გაიმართა — ნუგზარ სუარიძის ფოტო

# ქვემოქართლური დერბი

**ოლიმპი-სიონი 0:2**

0:1 ევოჩე (27), 0:2 კვიტაიშვილი (65)

ოლიმპი: მ. ალავიძე - ბერუაშვილი, გ. ონიანი, მახვილაძე - მიმინოშვილი, ჩხარტიშვილი, არზიანი, ხოხონიშვილი - სეფისკვერაძე, გოცირიძე, დვალიშვილი

*შეცვლაზე შევიდნენ: ჭეიშვილი, რეხვიაშვილი, ოდიშარია*

სიონი: მამალაძე - სეთურიძე, ჭიჭვეიშვილი, ლ. ჭელიძე, კობაური - კახელიშვილი, ქებაძე, სილაგაძე, ა. ალავიძე - ევოჩე - ჩასემი

*შეცვლაზე შევიდნენ: ბოიომო, ბაჯელიძე, კვიტაიშვილი, ოქროპირიძე, ბაჩანა ცხადაძე*

გუშინ საფეხბურთო აკადემია "ოლიმპის" მოედანზე პირველი წრის ლიდერი რუსთავის "ოლიმპი" ბოლნისის "სიონს" შეხვდა. მატჩი მეტოქეთა მწვრთნელებმა სხვადასხვა მიზნებისთვის გამოიყენეს. რუსთაველთა თავკაცის მიზანია, შეარჩიოს ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეები. **რევაზ ძოძუაშვილის** თქმით, ერთ კვირაში ის დაასახელებს 20-კაციან შემადგენლობას, რომელიც მეორე შეკრებაზე უნდა წაიყვანოს. სავარაუდოდ, "ოლიმპი" თურქეთში მოემზადება.

შემადგენლობიდანაც ჩანს, რომ რუსთაველთა რიგებში ბევრი ახალწვეულია. მათ შორის აღსანიშნავია ქუთაისის "ტორპედოს" მცველი **ბერუაშვილი**, რომელმაც ძალიან კარგად ჩაატარა პირველი წრე.

ახლები არიან **ჩხარტიშვილი, სეფისკვერაძე, ჭეიშვილი, ოდიშარია**. "ოლიმპში" გამოჩნდა რუსთაველი ფორვარდი **ლაშა რეხვიაშვილიც**, რომელიც ერთი პერიოდი პოლონეთში, თბილისის "ლოკომოტივსა" და ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა. გუნდს დაუბრუნდა მცველი **მიხეილ მახვილაძეც**.

ბოლნისელთა მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** კი გუნდს თანამეგობრობის თასისთვის ამზადებს. "სიონში" ითამაშეს რუსთაველთა ლიდერებმაც - **სეთურიძემ, ქებაძემ** და **კახელიშვილმა**. მოსკოვში მათთან ერად გაემგზავრებიან **გიორგი ონიანი** და **თორნიკე აფციაური**. სხვათა შორის, აფციაური ტრავმირებულია და გუშინ ამიტომ არ უთამაშია, თუმცა მოსკოვში გამგზავრებამდე იმედია გამოჯანმრთელებას მოასწრებს. ასევე არ უთამაშია ბოლნისელთა შორის **ვიტალი დარასელიასაც**. მას წელის ტკივილი აწუხებს. არადა თანამეგობრობის თასზე ის "სიონში" ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა უნსა იყოს.

საინტერესო იყო **ლევან სილაგაძის** არა დაცვის, არამედ ნახევარდაცვის ცენტრში გამოჩენა. მართალია, ლევანისთვის ამ პოზიციაზე თამაში უჩვეულო არაა, მას თბილისის "დინამოში" საყრდენად რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩიც ჩაუატარებია, მაგრამ ის ამპლუით მცველია. ეტყობა, ცხადაძე ნახევარდაცვის გაძლიერების გზებს ეძებს.

ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს კამერუნელმა ლეგიონერებმა - **ევოჩე** და **ჩასემი** ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ და წესითა და რიგით, ბოლნისელთა მწვრთნელს მოსკოვის ტურნირზე მათი იმედი უნდა ჰქონდეს. მომჯობინდა **ბოიომოც** და თანამეგობრობის ტურნირს, წესით, ისიც კარგად მომზადებული უნდა შეხვდეს.

თამაში საკმაოდ საინტერესო გამოდგა. "სიონი" თითო ტაიმში თითო გოლს დასჯერდა - ჯერ ევოჩემ გამოიჩინა თავი, მერე კი **კვიტაიშვილმა**. თუმცა აღსანიშნავია, რომ პირველი ნახევარი ბოლნისელებმა უკეთ ითამაშეს.

**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**

# სილაგაძე რუსების იმედადაა

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი **ლევან სილაგაძე** ბოლნისის "სიონის" რიგებში თანამეგობრობის თასისთვის ემზადება. თუმცა ბოლნისელებს საქართველოს ჩემპიონატში არ დაეხმარება.

*"სიონს" მხოლოდ მოსკოვში დავეხმარები, შემდეგ კი სად ვითამაშებ, ჯერ არ ვიცი. წინასწარი შეთანხმება გამაჩნია რუსთავის "ოლიმპთან". თუმცა ჯერ მენეჯერის პასუხს ველოდები და არაა გამორიცხული, რუსეთში გადავიდე. პრემიერლიგის გუნდზე არაა საუბარი, პირველი ლიგის გუნდები დაინტერესდნენ. თუკი ეს ვარიანტი არ გამოვიდა, მაშინ რუსთავის "ოლიმპში" ვითამაშებ"*, - აღნიშნა სილაგაძემ.



**მერაბ მამულაშვილი**

## თარიღები

# ამ დღეს დაიბადნენ...

9 იანვარი, 1951 წელი - დაიბადა **შოთა ხინჩაგაშვილი** (ფეხბურთი – "დინამო" თბ), სპორტის დამსახურებული ოსტატი, 1978 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, 1976, 1979 წ.წ. ქვეყნის თასის მფლობელი, 1981 წ. თასების მფლობელთა თასის მფლობელი. სსრკ ჩემპიონატების II (1977) და ოთხგზის III პრიზიორი. 1978 წ. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მონაწილე. საბჭოთა კავშირის ნაკრებში ითამაშა 11 მატჩი. 5-ჯერ შედიოდა 33 საუკეთესოს შორის.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი და პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავენ თბილისის "დინამოს" ვეტერან ფეხბურთელ შოთა ხინჩაგაშვილს.**





1998 წელი. თბილისი. გოგა გახოკიძე რუსეთის ნაკრებთან მატჩში

# ფოთიდან ეინდჰოვენამდე

ცხრამეტი სანაკრებო მატჩი ათ წელიწადში - ძალიან ცოტაა ქართველი ფეხბურთელისთვის, რომელიც ამ ათიდან ხუთი წელი პსვ „ეინდჰოვენის" წევრი იყო. რაც მართალია, მართალია, ჰოლანდიური გრანდის ძირითადი შემადგენლობაში იოლად ვერასდროს ხვდებოდა და ერთი სეზონი ალქმულ მიწაზეც იყო განათხოვრებული, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს ნებისმიერი ფორმაციის ნაკრებში მრავლად უთამაშიათ სათამაშო პრაქტიკის უქონელ და არცთუ იშვიათად, საერთოდაც უკლუბო ფეხბურთელებს.

"ალანია" (ოღონდ ის "ალანია", მართლა გუნდი რომ იყო და მოსკოვის "სპარტაკს" სისტემატურად დებდა ბეჭებზე) და "ტვენტე" "ეინდჰოვენთან" რაღა მოსატანია, მაგრამ ამ კაცის ერთობ შინაარსიანი და საკმაოდაც წარმატებულ საკლუბო წარსულზე ესეც მეტყველებს.

უიღბლობა მუდამ მისი მეგზური იყო. კარგად გახსოვთ, გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართული კლუბები ზოგადად, ორ ნაწილად იყოფოდნენ: "დინამოდ" და დანარჩენებად. დაბრკოლებას კარიერის საწყის ეტაპზევე გადააწყდა, როცა "პირველ ნაწილში" ვერ დამკვიდრდა და საზღვარგარეთული ნავსაყუდელისკენ "საზღვაო გზით" – ფოთიდან გაემართა.

საფეხბურთო წრეებში მოარული ხმებით, იგი არც ფეხბურთელთა რომელიმე "დაჯგუფებაში" ("სასტავში", უფრო გასაგები რომ იყოს) შედიოდა და არც ფეხბურთში შეთავსებით მოღვაწე მწვრთნელ-ვაჭართა სატრანსფერო სიებში ფიგურირებდა. გზა მაინც გაიკვალა, მაგრამ ტრავმებისა და ამ ორი მიზეზის გამო, ეროვნულ გუნდში ისე ვერ დამკვიდრდა, როგორც მისი გაქანების კაცი უნდა დამკვიდრებულიყო.

უიღბლობამ თავი არც მაშინ დაანება, როცა ჯანზე იყო და კარიერის საუკეთესო კლუბში საუკეთესო სეზონს ატარებდა. 2002-ში უეფას თასის ნახევარფინალისტი "ეინდჰოვენი"-"ფეიენოორდის" ორმატჩიან ჯახში, უფრო სწორად კი ჯახისშემდგომ თერთმეტმეტრიანებში გამოვლინდა. გახოკიძე ერთადერთი იყო ათი პენალტისტიდან, რომელსაც ნერვებმა უმტყუნა, პსვ-ელთა საძულველმა მეტოქემ კი იმ სეზონში უეფას თასი მოიგო.

ნერვებმა სათადარიგოთა სკამზეც დაალალატა, 2003-ის შემოდგომაზე, ტირანაში. ის, რაც ჩვენ შესანიშნავად ვიცოდით, მთელმა დუნიამ გაიგო – საქართველოს ნაკრები არამარტო სპორტულად უსუსური გუნდი, არამედ ზოგადად, სამარცხვინო წარმონაქმნი იყო. ქართული ფეხბურთის მახინჯი სახეც ყველამ დაინახა, ოღონდ ეგ იყო, მწვრთნელის გასილაქებაზე მეტად უცხოელებმა ის ვერ გაიგეს, მწვრთნელობას ხელი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რატომ მოჰკიდა.

როგორც ამგვარ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ჩხუბის მოტივზე ბევრი ითქვა და ნაკლები დაიწერა, აზრები ორად გაიყო, სირცხვილი სირცხვილად დარჩა, დამნაშავე ფეხბურთელმა დისკვალიფიკაცია მიიღო, თუმცა აღარც ხელისუფლების შეცვლამდე და მწვრთნელ-პრეზიდენტის გამოცვლამდე ჩაუვლია ბევრ წყალს.

ჩხუბის ამ ორი მონაწილიდან ნაკრებს ფეხბურთელი დაუბრუნდა, თუმც ისევ მცირე ხნით. ტოპმიოლერი მას ძირითადის წევრად მიიჩნევდა, მაგრამ... ფარერული თხუთმეტი წუთი გიორგი გახოკიძის სანაკრებო კარიერაში ბოლო წუთებია.

გასახსენებელი კი ცხრამეტი თამაშის კვალობაზე, არცთუ ცოტაა:

ორი მნიშვნელოვანი გოლი იტალიისა და უკრაინის კარში და ერთიც კარგად დავიწყებული – ლიბანთან. არ მოვყვებით იმ ხალხის დასახელებას, რომლებმაც თეთრ-შინდისფერ-შავ-წითელი მაისურა უფრო ხშირად რომ ეცვათ და უფრო იშვიათად რომ გვახარებდნენ.

მისი ათწლიანი სანაკრებო კარიერა მხოლოდ ცხრამეტმა თამაშმა მოიცვა, მაგრამ დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიის რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდის მონაწილედ მაინც იქცა. თითქოს მუდამ არასაგანგაშო, მაგრამ როგორც გაირკვა, მოურჩენელი ტრავმის გამო, გოგა გახოკიძემ ფეხბურთი ძალიან ადრე, 31 წლისამ დაამთავრა. გახოკიძე კარგი ფეხბურთელია (იყოო მაშინ ვთქვათ, მისი დაბრუნების ათპროცენტიანი იმედი თუ არ გამართლდა), ამჟამინდელი სანაკრებო კონტინგენტის საზომით კი ძალიან კარგიც, მაგრამ... როგორც გითხარით, მისი სანაკრებო კარიერა სულ 19 თამაშით შემოიფარგლა. მგონი, მიზეზებზეც ვისაუბრეთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# გვაზავა ნალჩიკში რჩება?

## მახვილაძე სპარტაკში გასინჯეს

რუსეთის პრემიერლიგის გუნდები სატრანსფერო ციებ-ცხელებას შეუპყრია. ყოველდღიურად ქვეყნდება ახალწვეულთა და წასულთა სიები. ერთ-ერთი სიახლე იყო ნალჩიკის "სპარტაკის" დანაკლისში ქართველი ნახევარმცველის, **ლევან გვაზავას** დასახელება.

როგორც შევიტყვეთ, ლევანს ყაბარდო-ბალყარელთა ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი შესთავაზა, მაგრამ მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ. ამის გამო, 26 წლის ნახევარმცველი ნალჩიკელებს პირველ შეკრებაზე არ გაჰყოლია და ამჟამად, ვლადიკავკაზში იმყოფება მეუღლესთან ერთად. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მისი და "სპარტაკის" გზები საბოლოოდ გაიყარა. ნალჩიკელებმა ლევანს კიდევ ერთხელ შესთავაზეს კონტრაქტი და გვაზავაც უკვე იმ აზრისკენ იხრება, რომ კლუბის შეცვლას, ისევ შედარებით ღარიბი "სპარტაკის" რიგებში პრემიერლიგაში გამოსვლა უჯობს.

საბოლოო გადაწყვეტილებას გვაზავა უახლოეს პერიოდში მიიღებს. ნალჩიკელებმა პირველი შეკრება თურქეთის საკურორტო ქალაქ ანთალიაში ჩაატარეს და 11 იანვარს ისევ დაუბრუნდებიან შავიზღვისპირეთს.

ამ დროისთვის, შესაძლოა, ნალჩიკის "სპარტაკში" კიდევ ერთი ქართველი აღმოჩნდეს - რუსთავის "ოლიმპის" მცველი **მიხეილ მახვილაძე**. ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ მან ზამთრის მოსამზადებელი ეტაპი "ოლიმპთან" ერთად იმიტომ არ დაიწყო, რომ ლიტვის ჩემპიონატის მონაწილე "ვილნიუსთან" აპირებდა კონტრაქტის გაფორმებას. თუმცა, როგორც გაირკვა, მოვლენები სხვაგვარად განვითარებულა.

მიშა გუშინ "ოლიმპს" დაუბრუნდა და ბოლნისის "სიონის" წინააღმდეგ ითამაშა. ამის შემდეგ მას ბოლო ამბები გამოვკითხეთ.

**- მიშა, ლიტვურ კლუბთან მოლაპარაკება ჩაგეშალა, თუ "ოლიმპს" რატომ დაუბრუნდი?**

- ლიტვაში არც წავსულვარ. მე ნალჩიკის "სპარტაკმა" მიმიწვია და გუნდს თურქეთში, შეკრებაზეც ვახლდი.

**- ნალჩიკელებმა გამოგიშვეს?**

- ჯერ ესეც გასარკვევი ამბავია. "სპარტაკმა" შეკრება დაასრულა და ახლა ბევრი რამაა დამოკიდებული "ოლიმპის" პასუხზე. მე კლუბთან კონტრაქტი მაისში მიმთავრდება. რა თქმა უნდა, რუსეთში თამაში მსურს, პრემიერლიგის გუნდი კიდევ როდის მიმიწვევს, არავინ უწყის. ერთიცაა, ცალკე რუსთავის წინაშეც გარკვეული პასუხისმგებლობა მაქვს. "ოლიმპი" ჩემპიონობისთვის იბრძვის და ამ დროს წასვლა ძნელია. გუნდს დახმარება სჭირდება. თუმცა მე უკვე 30 წლის ვხდები და ეს შანსი ხელიდან რომ გავუშვა, მერე კიდევ როდის გამიჩნდება მსგავსი წინადადება?

**- "ოლიმპის" ხელმძღვანელობას უკვე ესაუბრე?**

- ვესაუბრე და ჯერ ჩემს გაშვებაზე თავს იკავებენ. ამ ეტაპზე საერთო ენა ვერ გამოვნახეთ. მათი მესმის, თუმცა, იმედია, ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას მივიღებთ.

**- მოდი, დავაზუსტოთ, ამჟამად შენი და "სპარტაკის" მოლაპარაკება რა სტადიაშია?**

- გუნდს თურქეთის შეკრებაზე ვახლდი და ხუთი საკონტროლო შეხვედრიდან სამი ჩავატარე, ყაზახეთის "ჟეტისთან" (3:0), თურქეთის "ანთალიასთან" (0:2) და "შუქერთან" (1:0). "ჟეტისთან" მეორე შეხვედრა, აგრეთვე ერთ-ერთ თურქულ კლუბთან ძირითად შემადგენლობას არ ჩაუტარებია. მე კი ძირითადში მათამაშებდნენ. ჩემი საკითხის გადაწყვეტა "სპარტაკის" მწვრთნელ იური კრასნოჟანზე იყო დამოკიდებული. იგი ამ დროს ჰოლანდიაში, მწვრთნელთა სემინარს ესწრებოდა და მხოლოდ ბოლო მატჩში, "შუქერთან" მნახა. მას თამაშების ჩანაწერები და ჩემზე ზოგადი ინფორმაცა გადასცეს. მითხრა, რომ სურს მეორე შეკრებაზეც წამიყვანოს, რომელიც ისევ თურქეთში, 11 იანვრიდანაა დაგეგმილი, საბოლოო გადაწყვეტილებას იქ მივიღებო. ნალჩიკელებს ძალიან მწირი ბიუჯეტი გააჩნიათ და მწვრთნელი თითოეულ ფეხბურთელს დეტალურად აკვირდება. ერთი შეცდომაც "სპარტაკს" ძალიან აზარალებს და ამიტომ ფრთხილობს. მე კი ჯერაც არ ვიცი, "ოლიმპი" შეკრებაზე გამიშვებს თუ არა.

**- ლიტველებიც ხომ გიწვევდნენ?**

- ძალიან სერიოზული ინტერესი გამოხატა "ვილნიუსმა", პირდაპირ კონტრაქტს მთავაზობდნენ. თუმცა ნალჩიკში გადასვლის შანსი რომ გამომიჩნდა, მათ უარი ვუთხარი. ძალიან კი ეწყინათ, მელოდნენ და კონტრაქტიც მზად იყო, მაგრამ სხვანაირ არჩევანს ვერ გავაკეთებდი.

**მერაბ მამულაშვილი**



მიხეილ მახვილაძეს (4) რუსეთში წასვლის სურვილი აქვს

მსაჯები. კიდევ ერთი ქართველი ელიტაში

# ვადაჭკორია ფიფას არბიტრი ხდება

## კვარაცხელია მოსკოვში მაინც მიდის

ათიოდე დღეში ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ბოლნისის "სიონი" თანამგობრობის ტურნირზე სასპარეზოდ მოსკოვს გაემგზავრება. ტრადიციულად, დსთ-ის ქვეყნების ჩემპიონებთან ერთად ამ ტურნირში პოსტსაბჭოთა სივრცის წარმომადგენელი მსაჯებიც მონაწილეობენ. საქართველოდან ეს პატივი ამჯერად **ლევან კვარაცხელიას** ხვდა. ამ რამდენიმე დღის წინ გაცნობებდით, რომ რუსეთის მხარემ კვარაცხელიას სავიზო პრობლემა შეუქმნა და რუსეთის დედაქალაქში მისი წასვლა ეჭვქვეშაც დადგა. თუმცა, როგორც შევიტყვეთ, პრობლემა უკვე მოგვარდა.

*"დიახ, პრობლემა უკვე მოხსნილია. ლევან კვარაცხელია მოსკოვში გაემგზავრება და ტურნირსაც მოემსახურება. უფრო მეტიც, სავარაუდოდ, მეც გავემგზავრები მოსკოვში. ჩემი საკითხი საბოლოოდ დღეს-ხვალ გაირკვევა"*, - "ლელოსთან" საუბარში განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტის თავკაცმა **ამირან კაჭახიძემ**.

მანვე მეორე ამბავიც გვაცნობა. თუკი აქამდე ფიფას კატეგორიის წოდება მხოლოდ ორ არბიტრს - ლაშა სილაგავასა და ლევან ფანიაშვილს ჰქონდათ, მალე მათ გიორგი ვადაჭკორიას სახით მესამე მსაჯიც შეემატება.

*"4 თებერვალს გიორგი ვადაჭკორია რომში გაემგზავრება და სპეციალური კომისიის წინაშე ტესტირებას გაივლის. მჯერა ის ამ გამოცდას წარმატებით გაივლის და მალე ფიფას კატეგორიის მესამე არბიტრიც გვეყოლება"*, - გვითხრა ამირან კაჭახიძემ.

**დავით ცაბაძე**



ზურაბ მიქავა ვიტალი დარასელიასადმი მიძღვნილ საკუთარი ახალი ნამუშევრით გუშინ რედაქციაში გვეწვია

# ფეხბურთის სიყვარულით

ოჩამჩირელ ზურაბ მიქავას, რომელიც ვიტალი დარასელიას ბავშვობისდროინდელი მეგობარია და ფეხბურთს მასთან ერთად თამაშობდა, კარგად იცნობენ საქართველოს საფეხბურთო სამყაროში. თუმცა მისი ნამუშევრები უცხოეთშიც ამშვენებს ცნობილ საფეხბურთო მოღვაწეთა სუვენირების კოლექციას.

ზურაბმა პირველად 1985 წელს უძღვნა პირადი ხელნაკეთი საჩუქარი თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს. ამ დღეებში კი 90-ე სუვენირი დაამზადა, რომელიც ვიტალი დარასელიას დაბადებიდან 50 წლისთავს მიუძღვნა. დღეს, 9 იანვარს, ვიტალი დარასელიას თანაგუნდელები, მეგობრები, ოჯახის წევრები და ახლობლები ბორის პაიჭაძის ძეგლთან ეროვნულ სტადიონზე შეიკრიბებიან და პატივს მიაგებენ ვიტალი დარასელიას, ამ დიდებული ფეხბურთელის ხსოვნას.

ზურაბ მიქავას ორიგინალური საფეხბურთო სუვენირების ადრესატთა სიაში ირიცხებიან აგრეთვე იოზეფ ბლატერი, მიშელ პლატინი, ბორის პაიჭაძე, ალექსანდრე ჩივაძე, დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, გივი ნოდია, კოტე მახარაძე. თვითნასწავლმა ხელოვანმა ანალოგიური საჩუქარი საგანგებოდ დაამზადა ჩვენი გაზეთის 70 წლისთავთან დაკავშირებითაც 2004 წელს.



გია გურული და ალენ ჟირესი

# გაბონელი ზესტაფონში

საფრანგეთში მცხოვრები ფიფას ლიცენზირებული აგენტი **გია გურული** ამჟამად თბილისში იმყოფება. გავრცელებული ხმების მიხედვით, მისი მეშვეობით ერთ-ერთი ქართული კლუბი აფრიკელი ფეხბურთელით გაძლიერებას აპირებდა.

გურულმა ინფორმაცია დაგვიდასტურა. *"თბილისში, უპირველეს ყოვლისა, პირადი საქმეებისთვის ვარ ჩამოსული, მაგრამ არც იმას დაგიმალავთ, რომ "ზესტაფონთან" ვთანამშრომლობ. მათ საკმაოდ კვალიფიციური გაბონელი ნახევარმცველის გადაბირება სურთ, რომელიც ნაკრების წევრიცაა. მოლაპარაკებები ჯერ საწყის სტადიაშია, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა"*, - გვითხრა გურულმა. სხვათა შორის, ამ სავარაუდო გარიგების შესახებ ჩვენი გაზეთი ცოტა ხნის წინაც წერდა.

შეგახსენებთ, გაბონის ეროვნულ გუნდს **ალენ ჟირესი** წვრთნის, რომელთანაც გურულს საკმაოდ თბილი ურთიერთობები აკავშირებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერები

# შეკრება მუჯირსაც დაეწყო

სამარის "კრილია სოვეტოვის" წევრები საახალწლო შვებულებიდან გუშინ დაბრუნდნენ. დღეისათვის ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმებაა დაგეგმილი, ხვალიდან კი **დავით მუჯირი** და მისი თანაგუნდელები მოსკოვში სამდღიან საწვრთნელ ციკლს გაივლიან. ამის შემდეგ "კრილია" თურქულ შეკრებაზე გაემგზავრება, სადაც ათიოდ დღეს დაყოფს.

სამარელთა მთავარი მწვრთნელის, **სერგეი ობორინის** განცხადებით, გუნდის შემადგენლობის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ შეკრებისას ჩამოყალიბდება. "კრილიაში" ჩარიცხვის მსურველ ფეხბურთელთა დიდი ნაწილი თურქეთში გაისინჯება, დანარჩენები კი მოგვიანებით. მომავალი სეზონისთვის გუნდის პროგრამა-მინიმუმი უეფას თასის საგზურის მოპოვება იქნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ხუბუტია კაუნასში ვარჯიშობს



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მცველი **აკაკი ხუბუტია** ლიტვის ჩემპიონ "კაუნასის" რიგებში ვარჯიშობს და ახალ სეზონსაც, სავარაუდოდ, ამ გუნდში დაიწყებს. შეგახსენებთ, რომ ხუბუტია "ვილნიუსში" ასპარეზობდა, რომელიც მეშვიდე ადგილზე გავიდა. "კაუნასი" კი 88 ქულით კიდევ ერთხელ გახდა ლიტვის ჩემპიონი. "კაუნასმა" მზადება უკვე დაიწყო ახალი სეზონისთვის. შეგახსენებეთ, რომ კლუბში ირიცხებიან **ნუკრი მანჩხავა** და **გივი კვარაცხელია**. "კაუნასი", ისევე როგორც შოტლანდიური "ჰართსი" მილიარდერ **ვლადიმირ რომანოვს** საკუთრებაა. "ჰართსმა" ახლახან მორიგი ლიტვური შევსება მიიღო მეკარე **ედუარდას კურსკისის** სახით, შოტლანდიურ კლუბშივე ისინჯება 23 წლის მცველი **მინდაუგას ბაგუჟისი**, რომლის შემცვლელადაც "კაუნასში" აკაკი ხუბუტია მოიაზრება.

მეტოქე. შოტლანდია

# სმიტი არ გაუშვეს

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ შოტლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **უოლტერ სმიტს** "რეინჯერსიდან" წასული **პოლ ლე გენი** შეიძლებოდა შეეცვალა. როგორც გაირკვა, უკეთესი ფინანსური პირობების გამო, სმიტს სამსახურის გამოცვლის უდიდესი სურვილი ჰქონია და გუშინვე შოტლანდიის საფეხბურთო ასოციაციისთვის გათავისუფლება უთხოვია. პასუხს არ დაუყოვნებია – მან კატეგორიული უარი მიიღო. ასე რომ, "რეინჯერსის" თავკაცის ჯერჯერობით ვაკანტურ პოსტს სხვა სპეციალისტი დაიკავებს, სმიტი კი თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს მინიმუმ მიმდინარე საკვალიფიკაციო ციკლის ბოლომდე გაწვრთნის.

## შეკითხვა ალ-ს

***შეკითხვა:** რა აუცილებელი მოთხოვნაა შესასრულებელი, რომ უცხოელმა ითამაშოს ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებში?*

**პასუხი: ფიფას წესდებით, უპირველესად, აუცილებელია მოქალაქეობის შეცვლა ან ორმაგი მოქალაქეობის მიღება. ამ პროცესის შესრულებაში აუცილებელია ნატურალიზაციისთვის ქვემოთ ჩამოთვლილი ოთხი პირობიდან ერთ-ერთის არსებობა. კერძოდ:**

- *ფეხბურთელი დაბადებულია შესაბამისი ფედერაციის (ასოციაციის) ტერიტორიაზე;*
- *მისი ბიოლოგიური დედა ან ბიოლოგიური მამა დაბადებულია შესაბამისი ფედერაციის (ასოციაციის) ტერიტორიაზე;*
- *მისი ბებია ან ბაბუა დაბადებულია შესაბამისი ფედერაციის (ასოციაციის) ტერიტორიაზე;*
- *მას მინიმუმ ორი წელიწადი უწყვეტად უცხოვრია შესაბამისი ფედერაციის (ასოციაციის) ტერიტორიაზე.*

## სიტუაცია ქართულ კლუბებში

| გუნდი | მიდიან | მოდიან | გეგმები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი | **კიკნაძე, ზამთარაძე** (მწვრთნელები) **რ. ონიანი (ზესტაფონი), ხოჯავა, ნაჭყებია,** სირბილაძე (ტორპედო), ხოხონიშვილი, მიმინოშვილი, მიქიაშვილი, გ. თოდუა (?), ვ. კვარაცხელია (?) **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი** (სიონი, დსთ-ის თასისთვის) | **რ. ძოძუაშვილი (მწვრთნელი, ტორპედო) ვ. კილასონია (მწვრთნელი) მერლანი (ვეტრა, ლიტვა), რ. გოცირიძე (კამაზ, რუსეთი), არზიანი (რუბინი),** სილაგაძე (მეტალურგი ზ.) ნავალოვსკი (დინამო) | თბილისი, თურქეთი |
| ვიტ ჯორჯია | **დიღმელაშვილი (დინამო),** | | თბილისი, ანტალია (თურქეთი) |
| ამერი | **ჩანგელია (უკრაინა)** ნიკოლაიშვილი, სილაგავა (?) | **მესხი (ჩიხურა), დიდავა (კონტრ. გააგრძელა)** ბაბუნაშვილი (დინამო), კაკაშვილი (რილსკი, ბულგ.) | ორი შეკრება ანტალიაში, იანვარი, თებერვალი |
| ზესტაფონი | **იმედაძე** (?) | **რ. ონიანი (ოლიმპი)** | თბილისი, ბაკურიანი + კვიპროსი, ანტალია ან საემიროები |
| დინამო | **ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე** (?) ნავალოვსკი (დინამო) | **დიღმელაშვილი (ვიტ ჯორჯია)** ზელიჩი (ავსტრალია, თავისუფალი აგენტი) | ბაკურიანი, ანტალია |
| ტორპედო | **ძოძუაშვილი** (მწვრთნელი, ოლიმპი), გამეზარდაშვილი (სკონტო ლატვია) მ. ღონღაძე (ლოკომოტივი) | **კიკნაძე, ზამთარაძე (მწვრთნელები),** სირბილაძე (ოლიმპი) | — |
| სიონი | **სიჭინავა, შავგულიძე ბათიაშვილი** (ჩიხურა) ჭიჭვეიშვილი (?) | **ქებაძე, სეთურიძე, კახელიშვილი, აფციაური, გ. ონიანი, (ოლიმპი,) მამალაძე (ჩიხურა), დარასელია (შახტიორი ყარაღანდა)** ყველა დსთ-ის თასისთვის | დსთ-ის თასი, იანვარი |
| ლოკომოტივი | ყენია (ლევანტე, ესპანეთი), ყიფიანი, მხეიძე, ებანოიძე, ცხომარია მენაბდე, მიხაილიდი(?). | სოსელია, წუწუნავა (კახეთი). მ. ღონღაძე (ტორპედო) | ლაგოდეხი + ბორჯომი ან უცხოეთი |
| ბორჯომი | **ნკემი, მონგუე** | | 10 იანვრიდან ბორჯომი, შესაძლებელია უცხოეთიც |
| მერანი | ბესარაშვილი (ბათუმი) | აკობია (მწვრთნელი, დინამო 2), სტურუა, ქემოკლიძე, ბაბუნაშვილი, (დინამო) | ორი შეკრება |
| ჩიხურა | **მესხი (ამერი), გ. მანწკავა (ირანი), მამალაძე (სიონი)** | ბობოხიძე, ახალაია, ბაბუნაშვილი, გრიგალაშვილი, მახარაძე, სტურუა (დინამო), კოშკაძე (ბათუმი), ბათიაშვილი (სიონი) | შეკრება 8 იანვრიდან დაგეგმილია შეკრება უცხოეთში |
| ბათუმი | **ა. მუჯირი (ბაქი)** კოშკაძე, ლობჟანიძე, აფშილავა (ვიტ ჯორჯია), ნაჭყებია | **ჩარგეიშვილი, კერესელიძე, ბარამიძე (დინამო 2),** ბესარაშვილი (მერანი), შალამბერიძე (მეშაქრე) | შეკრება ბათუმში |
| დილა | **ბეგიაშვილი (პრეზიდენტი), მამესწარაშვილი (მწვრთნელი)** | **ლურსმანაშვილი (პრეზიდენტი), ვარდოსანიძე, ელიაური (მწვრთნელები)** | შეკრება გორში |
| კახეთი | სოსელია, წუწუნავა (ლოკომოტივი), იაშვილი (?), კეკლიშვილი (მერანი), | **კუპრაშვილი (გურჯაანი)** | თელავი, შესაძლებელია ბაკურიანიც |


CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



დარეკე, მოგვწერე, ჩაგვერთე!
ინ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

მორიგი კრიზისი სამეფო კლუბში

# კაპელო უფროსებმა დაიბარეს...

მადრიდში მღელვარებამ პიკს მიაღწია. გასული წელი "რეკრეატივოსთან" განცდილი კრახით დასრულდა, 2007 წელი კი "დეპორტივოსთან" თავის მოჭრით დაიწყო. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა სამეფო კლუბის ხელისუფლებაში **რამონ კალდერონის** მისვლის შემდეგ, ტრანსფერებში, ხელფასებსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში არც მეტი, არც ნაკლები 100 მილიონი ევრო დაიხარჯა...

ყველას ახსოვს, "რეკრეატივოსთან" მარცხი "რეალის" უკლებლივ ყველა ვარსკვლავმა "უბედურ შემთხვევად" შეაფასა და პირობა დადო, რომ მსგავსი რამ აღარასოდეს განმეორდებოდა. მაგრამ განმეორდა. **ფაბიო კაპელომ** ლა კორუნიაში ახალწვეულებიც წაიყვანა, თუმცა მათ ღირებული არაფერი გაუკეთებიათ. კაცმა რომ თქვას, ამ ბიჭებისგან სასწაულს არც არავინ ელოდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. ესპანურმა მედიამ მადრიდელები კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. პრესის აგრესია არავის სიამოვნებს, მაგრამ ყველაზე მეტი საფრთხე ყოველთვის გულშემატკივართა მხრიდან მოდის. გუშინ, ქომაგებმა "სანტიაგო ბერნაბეუსთან" საპროტესტო აქცია მოაწყვეს. თავს უფლებას ვერ მივცემთ, ამ სტატიაში ის სიტყვები ვახსენოთ, რასაც ისინი სკანდირებდნენ...

მოთმინება დაკარგა რამონ კალდერონმაც. ის ასეთი გაშმაგებული არასოდეს უნახავთ. **პრედრაგ მიატოვიჩი** ლა კორუნიაში არ გაფრენილა. სპორტული დირექტორი შობის აღსანიშნავად მადრიდში დარჩა და ნიკარაგუის ქუჩაზე მდებარე მართლმადიდებლურ ტაძარში სადღესასწაულო წირვას დაესწრო. მიატოვიჩისთვის დღესასწაული მალე დასრულდა. პრეზიდენტმა მასა და კაპელოს საკუთარ კაბინეტში უხმო. კალდერონმა ისიც არაფრად ჩააგდო, რომ მწვრთნელს დილით ვარჯიში ჰქონდა ჩასატარებელი...

სამეულმა დახურულ კარს მიღმა ისაუბრა. კალდერონი ოთახიდან ორ საათში გამოვიდა, მაგრამ საქმის გარჩევა ამით არ დასრულებულა. საუბარი კაპელომ და მიატოვიჩმა განაგრძეს. სენიორ რამონმა იქვე დაყუდებულ კორესპონდენტებს ერთადერთი წინადადება უთხრა, "რეკრეატივოსა" და "დეპორტივოსთან" წაგების მიზეზებზე ვმსჯელობდითო. თუმცა ეს ისედაც ცხადი იყო. შემდეგ პრეზიდენტი მანქანაში ჩაჯდა და გაუჩინარდა.

მიუხედავად იმისა, რომ მიატოვიჩი კაპელოს ყოფილი შეგირდია, ჟურნალისტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მედიდური სერბი ახლა უკვე მის ხელქვეით ფაბიოს მოურიდებლად შეუტევდა. როგორც იქნა, ნაშუადღევს პრეზიდენტის კაბინეტის კარი გაიღო. კაპელო და მიატოვიჩი მოღუშულები გამოვიდნენ. დაცვის სამსახურმა კორესპონდენტები მათ ახლოსაც არ გააკარა. სპორტულმა დირექტორმა იქ მყოფთ მოკლედ მოუჭრა - სკანდალს ნუ ელით, ეს ტრადიციული, ყოველკვირეული თათბირი იყოო. თუმცა "დიარიო ასის" ჟურნალისტმა **ხესუს სანჩომ** "რეალის" მაღალჩინოსანს შეახსენა, ტრადიციული თათბირის გამო კაპელოს ვარჯიში არასოდეს გაუცდენიაო. მართლაც, მათი შეხვედრა ორშაბათობით ყოველთვის სადამოობით იმართებოდა. მიატოვიჩი აშკარად დააბნია, მან რაღაც ჩაიბუტბუტა, მანქანაში ჩაჯდა და თვალს მიეფარა. კაპელო კი იქაურობას უკომენტაროდ გაეცალა...

მიუხედავად იმისა, რომ კრების მონაწილეებს არაფერი უთქვამთ, ესპანურ მედიაში უკვე რამდენიმე ვერსია გაჩნდა. ამბობენ, ფაბიოს თითი დაუქნიეს და უმოკლეს დროში გუნდის კრიზისიდან გამოყვანა მოსთხოვესო. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გათავისუფლებით დაემუქრნენ. ეს ვარაუდი, შესაძლოა, საფუძველს მოკლებული იყოს. კაპელო ხომ დიდი ზარზეიმით დანიშნეს და მისი გადაბირება კალდერონის ყველაზე დიდ წარმატებად მონათლა. ამის გათვალისწინებით, ძნელად წარმოსადგენია, რომ აპენინელს ასე მალე კარისკენ მიუთითონ. თუმცა "რეალს" რას გაუგებ. თუ სამეფო კლუბი მომდევნო ტურებშიც ისევე ითამაშებს, როგორც "რეკრეატივოსა" და "დეპორტივოსთან", მაშინ ნამდვილად ველარაფერს გამოვრიცხავთ. კაპელო კაპელოა, მაგრამ სისტემატურ წარუმატებლობებს ვერც მას აპატიებენ.



კაპელო და კალდერონი. ნუთუ ყველაფერი დასრულდა?

## ესეც გაცხადდა: კაპელო რონალდოს ვეღარ იტანს!

### ესპანელმა ჟურნალისტმა რესტორანში საიდუმლო საუბარი ჩაიწერა

მადრიდში ხმები დაირხა, რონალდოსა და ანტონიო კასანოს გუნდიდან უშვებენო. დიახ, უშვებენ და არა ანათხოვრებენ. იტალიელის ისტორიები ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მაგრამ რონალდოც? მართალია, პრობლემები მასაც უხვად ჰქონდა, მაგრამ ფაბიო კაპელო, რამონ კალდერონი და პრედრაგ მიატოვიჩი დღენიადაგ იმას გაიძახოდნენ, "კიჟაზე" ნიჭიერი ფეხბურთელი იშვიათად თუ მოინახება და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მან კარიერა "სანტიაგო ბერნაბეუზე" დაასრულოსო...

დავიჯეროთ? "დიარიო ასმა" სარწმუნო ინფორმაცია მოიპოვა იმის შესახებ, რომ კაპელოს არც ერთი სჭირდება და არც მეორე. გაზეთის მტკიცებით, მწვრთნელმა, ორშაბათის დაუგეგმავ შეხვედრაზე, ეს პრეზიდენტსაც გაანდო. ახლა კი "რეალის" გენერალური მენეჯერის ფრანკო ბალდინისა და მისი მეგობრის იმ საუბრის ფრაგმენტს შემოგთავაზებთ, რომელიც "დიარიო ასის" კორესპონდენტმა რესტორანში ფარულად ჩაწერა. ჩვენმა ერთ-ერთმა კოლეგამ გარისკა და დიქტოფონი ბალდინის მაგიდაზე მოთავსებულ ყვავილების ლარნაკში დამალა. აი, ხსენებული საუბრის ფრაგმენტიც: *"კაპელოს რონალდოს დანახვაც აღარ უნდა. მილიონჯერ მაინც უთხრა, წონაში დაიკელიო. ის მაინც ღორივით ჭამს და ვარჯიშებზე ქალწულივით ინაზება. იცი, რაშია საქმე? გარეგნული სიმშვიდის შენარჩუნებისთვის საჭიროა, რომ რონალდოზე კეთილგანწყობით ვისაუბროთ, მაგრამ შენ ჩემი მეგობარი ხარ და გეტყვი, რომ კაპელოს მისი ატანა მართლა აღარ შეუძლია. "მილანს" გვინდა მივყიდოთ, მაგრამ ეშინიათ, შემდეგ კაკას ტრანსფერზე ბრძოლა არ დავუწყოთ. ვეუბნებით, კაკას თავს დავანებებთ და საერთოდ აღარ შევაწუხებთთქო, მაგრამ არ სჯერათ. მოკლედ, იმდენი პრობლემა გვაქვს, აღარ ვიცით, პირველ რიგში რა გავაკეთოთ".*

ჟურნალისტის ფარულმა ოპერაციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. მას სასამართლოთიც დაემუქრნენ, მაგრამ სამეფო კლუბის ადვოკატებს გამარჯვება ძალიან გაუჭირდებათ. თუ ჟურნალისტმა დიქტოფონი ლარნაკში ბალდინისა და მისი მეგობრის მისვლამდე დამალა, მას ხმასაც ვერავინ გასცემს. აღსანიშნავია, რომ თავად სინიორ ფრანკო აცხადებს, რესტორანში ყოფნის დროს, ოფიციანტის გარდა არავინ მოსულა და ლარნაკში არაფერი დაუმალავსო...

ასეა თუ ისე, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არა სასამართლო სარჩელი, არამედ ბალდინის საუბრის შინაარსია. როგორც იქნა, გაირკვა და დადასტურდა, რომ კაპელო რონალდოს დასანახავად ვეღარ იტანს. უდავოა, რომ ბრაზილიელს მალე სხვაგან წასვლა მოუწევს. შესაძლოა, "მილანში" ან ნებისმიერ სხვა კლუბში...

**გუშინ, აპენინელმა მაესტრომ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მედიამ მწვრთნელი სერიოზული წნეხის ქვეშ მოაქცია, რაც სრულიად ბუნებრივია...**

# ფაბიო კაპელო: ღმერთო ჩემო, უკვე დაუფარავად მებრძვით!

**- კაპდევილიამ კურიოზული გოლი გაგიტანათ. ხომ არ გვეტყვით, რა მოხდა იმ ეპიზოდში?**

- რა უნდა მომხდარიყო?! იდიოტურად მოვიქეცით. "ცოცხალ კედელს" ერთი კაცი აკლდა. დეპორტივოელმა ეს კარგად შენიშნა და ისარგებლა კიდეც. მიუტევებელი შეცდომა დავუშვით...

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ძალიან გულგრილად საუბრობთ?**

- ჩემს გამომეტყველებაში გულგრილობის უმცირეს ნიშნებს მაინც თუ ხედავთ, მაშინ რეალობის გრძნობა დაგიკარგავთ. ძალიან გთხოვთ, სიტყვებზე ნუ გამომეკიდებით. ჩემზე უფრო ადეკვატურად, სიტუაციას ვერც ერთი თქვენგანი ვერ შეაფასებს. ასე რომ, უსაგნო დებატებს ნუ გავმართავთ.

**- გახოს თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

- გახო ახალგაზრდა ბიჭია, მას დიდი პასუხისმგებლობა და საოცარი თვისებები აქვს. ის წნეხში კი არ უნდა მოვაქციოთ, პირიქით, მშვიდ გარემოში მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ. დროთა განმავლობაში, ახალ გარემოს შეეგუება და ავანსებს გაამართლებს. პირადად მე, გახო მომეწონა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვა, რომ მეორე ტაიმში დაიღალა. ამიტომაც გადავწყვიტე მისი შეცვლა.

**- ხომ არ მიგაჩნიათ, რომ მარსელოს სათადარიგოთა სკამზე დატოვებით შეცდომა დაუშვით? ის საკმაოდ კარგად ჩაერთო თამაშში...**

- არა, შეცდომა არ დამიშვია. 22 ფეხბურთელს ძირითად შემადგენლობაში ვერ დავაყენებ. გარდა ამისა, გაუმართლებელი იქნებოდა, ორივე ახალწვეული ერთად გამოგვეყვანა. ისინი ეს-ესაა მოვიდნენ და სიტუაციაში ჯეროვნად ჯერაც არ გარკვეულან. ვიცოდით, რომ "დეპორტივოსთან" ურთულესი ბრძოლა გველოდა. მარსელო სულ რაღაც 18 წლისაა. იმედია, დამეთანხმებით, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის პასუხისმგებლობის მთელი ტვირთვის აკიდება მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა. ბრაზილიელს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არანაირად არ მსურს, დაითრგუნოს და ეჭვებით აღივსოს.

**- თქვენი პოზიცია გასაგებია, მაგრამ სერხიო რამოსს მარცხენა ფლანგზე ძალიან გაუჭირდა, მეტიც, ის აშკარად დაიტანჯა...**

- რამოსი არ დატანჯულა. ამ შემთხვევაში, თუ ტანჯვაზე ვსაუბრობთ, მთელი გუნდი უნდა ვახსენოთ და პასუხისმგებლობა თანაბრად გავანაწილოთ. რატომ მხოლოდ სერხიო?

**- 2006 წლის ბოლო მატჩის შემდეგ განაცხადეთ, მომავალში მსგავსი სიურპრიზებისგან დაცულები უნდა ვიყოთო...**

- თქვენი სულისკვეთება სავსებით გასაგებია. გსურთ, შემახსენოთ, რომ "რეკრეატივოსთან" შევრცხვით და გულშემატკივრებს უკეთესი მომავლის პირობა მივეცით, მაგრამ სიტყვა ვერ შევასრულეთ. მომიტევეთ, მაგრამ ამ თემაზე საუბარს კონკრეტული საკითხების გარჩევა მირჩევნია. "დეპორტივომ" საშინელ წნეხში მოგვაქცია. მათ კარგად იციან კონტრშეტევებზე თამაში. სამწუხაროდ, გალისიელებმა მოახერხეს და თავიანთი მანერა მოგვახვიეს თავს. მოკლედ, აკეთებდნენ იმას, რაც სურდათ.

**- და მაინც, რა იყო ბოლო ორი ფიასკოს ჭეშმარიტი მიზეზი? მწვრთნელის შეცდომები თუ ფეხბურთელთა მოუმზადებლობა?**

- გულწრფელად გეტყვით, რამდენიმე მოთამაშე დაკისრებულ მოვალეობებს ვერ უმკლავდება. უბრალოდ, ისინი არ არიან შესაფერისად მომზადებულები, მაგრამ მოდით, ყველაფერს ამით ნუ ავხსნით. როცა გუნდი იგებს, ამას მთელი გუნდის კარგი თამაშით ხსნიან. არ მესმის, წაგებისას მხოლოდ რამდენიმე ადამიანი რატომ უნდა დავადანაშაულოთ? კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ პასუხისმგებლობა თანაბრად უნდა ვიტვირთოთ.

**- თანაბრად?**

- ღმერთო ჩემო, უკვე დაუფარავად მებრძვით! რა თქნა უნდა, მთავარი პასუხისმგებელი მწვრთნელია. კმაყოფილი ხართ? დავაკვირდეთ მოვლენათა განვითარებას. ამ ერთ თვეში 8 შეხვედრის გამართვა მოგვიწევს.

**- თავად აღიარეთ, რომ რამდენიმე ფეხბურთელი ცუდადაა მომზადებული. ეს ხომ თქვენი პრობლემაა? განა მოთამაშეს მწვრთნელი არ ამზადებს?**

- (იცინის) თქვენ რომ არ გეთქვათ, ამას ნამდვილად ვერ მივხვდებოდი. არავინ კამათობს, რომ "რეალის" საქმეები ცუდად მიდის. ახლა, ერთმანეთის დადანაშაულების დრო არ არის. ერთ მუშტად უნდა შევიკრათ და პრობლემები მოვაგვაროთ.

**- კანავარო ამაზრზენად გამოიყურება...**

- არ ვდავობ, მართლაც არაფერი გამოსდის. ძალიან დასანანია, მაგრამ ფაბიოს კარგად ვიცნობ და ეჭვი არ მეპარება, რომ ძველებურ ფორმას დაიბრუნებს...

**- გულშემატკივართა საკმაოდ დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ კანავაროს სახით სამეფო კლუბს ბებერი მცველი მიასაღეთ...**

- ვინც ამას საკუთარი სახელით მეტყვის, ვერ გადამირჩება! ეს იდიოტის ნათქვამია!

**- "დეპორტივოსთან" თამაშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე გავრცელდა ხმები, თითქოს რონალდოს "მილანში" გადასვლა ურჩიეთ. ყოველივე ამის შემდეგ, მისი მოედანზე გაყვანა სარისკო ხომ არ იყო?**

- მე წარმოდგენა არ მაქვს, ვინ უშვებს რონალდოს გუნდიდან? მხოლოდ საგაზეთო სტატია წავიკითხე, რომელიც ბევრს არაფერს ნიშნავს...

**- ცნობილი გახდა, რომ კასანოს ვარჯიშიდან გაგდების გამო, რობინიო დაგიპირისპირდათ...**

- ეს ჩვენი შინაური საქმეა და საჯაროდ არ ვისაუბრებ.

**- "დეპორტივოსთან" მატჩის შემდეგ კალდერონი გასახდელში გეწვიათ. არ გვეტყვით, რა გითხრათ პრეზიდენტმა?**

- ჩვეულებისამებრ, არც ის ჩამოდის გასახდელში და იქ არც მე ვუშვებ ვინმეს, თუნდაც პრეზიდენტს... მაგრამ ამ შემთხვევაში, მას უარს ვერ ვეტყოდი, რადგან კალდერონმა მატჩზე დასასწრებად დიდი გზა გამოიარა. ის ნიუ იორკიდან ჩამოფრინდა.

**- დღეს დილით კალდერონმა და მიატოვიჩმა დაგიბარათ. ვეჭვობთ, ამ შეხვედრის შესახებაც არაფერს გვეტყვით...**

- თქვენი ეჭვი აბსოლუტურად საფუძვლიანია (იცინის).

**- თითქოს, თანამდებობიდან გადაყენებითაც დაგემუქრნენ...**

- შეხვედრას მე, მიატოვიჩი და კალდერონი ვესწრებოდით. არც ერთ ჩვენგანს, ამ შეხვედრის შინაარსის შესახებ, არავისთან სიტყვა არ დაუძრავს. ასე რომ, თქვენ ჭორიკანა ხართ!

# კალდერონის დღეები დათვლილიაო...

"რეალი" კრიზისშია! ამაზე მადრიდში აღარავინ დავობს. ხელმძღვანელობა გამოსავალს ეძებს, თუმცა ბევრისთვის ეს არაფერს ნიშნავს. "რეკრეატივოსა" და "დეპორტივოსთან" განცდილმა ორმა მარცხმა **რამონ კალდერონის** კლუბის აქციები მეტისმეტად გააიაფა. სამეფო კლუბის ერთგული ადამიანებისთვის პრეზიდენტის კაბინეტში გამართული კრებაც არაფრად ღირს. **ხუან ონიევას** თვალში პრეზიდენტმა და მისმა გუნდმა ნდობის მანდატი უკვე ამოწურეს. ალბათ, გაინტერესებთ, ვინ არის ბატონი ონიევა. **ლორენსო სანსის** პრეზიდენტობის ხანაში, ის ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ. ონიევა სიამაყით აცხადებს, რომ იმ დროში "რეალმა" პრიმერა დივიზიონსა და ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა. ახლა კი მსგავს წარმატებაზე ფიქრიც კი უტოპიად მიაჩნია.

ონიევა დარწმუნებულია, რომ კალდერონის დღეები დათვლილია. აი, რა განაცხადა მან "ელ რონდოს" ტელეეთერში: *"ფლორენტინო პერესის მცდარი კურსი დღესაც ძალაშია. ის მხოლოდ ფორმალურად წავიდა. ახალ ხელისუფლებას არაფერი შეუცვლია. აშკარაა, რომ სამეფო კლუბში ინსტიტუციონალური კრიზისია. მმართველობა ვერტიკალური პრინციპით ხორციელდება. პრედრაგ მიატოვიჩი პრეზიდენტის პაიკია, პაიკი, რომელიც არასოდეს დასვამს კითხვას და საკუთარ პრინციპებსაც არასოდეს დაიცავს. ან რომელ პრინციპებზეა საუბარი, როცა მიატოვიჩს არანაირი იდეა და სალი აზრი არ გააჩნია. ეს ხალხი ამაყობს, რომ ფაბიო კაპელო ჩამოიყვანეს. მომიტევეთ, მაგრამ ეს კაცი მადრიდში პირველად ჩვენ მოვიყვანეთ და ფანტასტიკური პირობებიც შევუქმენით. დღეს აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა. მთავარ მწვრთნელს მუშაობა ჯოჯოხეთში უწევს. მაშინ, როცა უფლებამოსილებები გამიჯნული არ არის და ყველაფერი უგემოვნო კალდერონის ხუშტურებზეა დამოკიდებული, კაპელო ვერაფერს გააწყობს. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არსებული ვითარება დიდხანს არ გასტანს. გადით გარეთ და გულშემატკივრებს გაესაუბრეთ. ჩვენი კლუბის საზოგადოების წევრთა 80 პროცენტი აღშფოთებულია. ყველა ნანობს, რომ კალდერონს მისცა ხმა. სარწმუნო ინფორმაცია მაქვს, რომ ამ კაცს ხელისუფლებას მალე ჩამოაშორებენ. მერწმუნეთ, რამდენიმე თვეში რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. არ გამოვრიცხავ, საბჭომ აქამდეც არ მოიცადოს და უმაქნისი პრეზიდენტი პოსტიდან გადააყენოს. ერთი სიტყვით, "მადრიდისტები" დაირაზმებიან და სათაყვანებელ გუნდს გადაარჩენენ".*

ეთერში სარეკლამო პაუზის შემდეგ ონიევამ ამბიციური განცხადება გააკეთა: *"შესაძლებლობით ვისარგებლებ და განვაცხადებ, რომ რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მივიღებ. გამარჯვებაში დარწმუნებული გახლავართ. მხოლოდ ჩემი მოსვლის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, რომ ფლორენტინო პერესის აჩრდილი "რეალიდან" სამუდამოდ გაქრეს".*

არ იფიქროთ, რომ ონიევა გიჟი ან ავანტურისტია. ის საზოგადოებაში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. მას მთავრობაშიც კი აქვს კავშირები და ამავდროულად, უაღრესად მომგებიან ბიზნესს ხელმძღვანელობს. უდავოა, რომ ესოდენ გავლენიანი ადამიანი მძლავრი არგუმენტებისა და უტყუარი ინფორმაციის გარეშე, არჩევნების შესახებ სიტყვასაც არ დაძრავდა. სხვათა შორის, გუშინვე ესპანური გაზეთები კალდერონის შესაძლო გაშვებაზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ. თავად პრეზიდენტს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, თუმცა მისმა ოპონენტებმა მოვლენებს დაასწრეს და განაცხადეს, სენიორ რამონი ყველაფერს კატეგორიულად უარყოფს, მაგრამ სირაქლემის პოზაში ყოფნა მას კიდევ უფრო ცუდ სიტუაციაში ჩააყენებსო...

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ახალი სპეკულაციები სავარაუდო გადაადგილებაზე

# ჰიდინკი: რუსეთში მალე საჭირო აღარ ვიქნები, საქმეს ბოროდიუკი გადაიბარებს

## ჰოლანდიელი სპეციალისტი ადასტურებს, რომ რომან აბრამოვიჩმა დახმარება სთხოვა...

როგორც გუშინ გამცნეთ, შესაძლოა, სეზონის ბოლოს **ჟოზე მოურინიო** "ჩელსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გუუს ჰიდინკმა** შეცვალოს. ინფორმაცია ბრიტანულმა ტაბლოიდმა "სანდი მირორმა" გამოაქვეყნა. ეს გამოცემა მეტწილად სკანდალური პუბლიკაციებითაა ცნობილი, მაგრამ რა ვუყოთ ჰიდინკის ინტერვიუს, რომელიც ჰოლანდიურმა ჟურნალმა "ელფმა" დაბეჭდა? მართალია, რუსეთის ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი გარკვევით არაფერს ამბობს "ჩელსიში" მის შესაძლო დანიშვნაზე, მაგრამ უდავოდ საინტერესო, და ვიტყოდით, სენსაციურ მინიშნებებს იძლევა. მოდით, გაგაცნობთ მცირე ფრაგმენტს იმ ინტერვიუდან, რომელიც რუსულმა ინტერნეტ გამოცემა "გაზეტა.რუმ" თარგმნა. ჰიდინკს დაუსვეს კითხვა "ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩთან** მისი ურთიერთობის თაობაზე. აი, მწვრთნელის პასუხი:

*"აბრამოვიჩმა რუსეთში დიდი საფეხბურთო აკადემია ჩამოაყალიბა. მან ამიხსნა, როგორ დათმო რუსულმა ფეხბურთმა პოზიციები ბოლო ათ წელიწადში. რომანმა დახმარება მთხოვა. ის ცოტა ხნის წინ იყო ჩემთან. რაღაც საკითხებზე ვისაუბრეთ. საერთოდ, ჩვენ ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს. ის ყოველთვის ჩემ გვერდითაა, მაგრამ საკუთარ აზრს თავზე არასოდეს მახვევს".*

იქვე, საუბარი გრძელდება რუსეთის ნაკრებში ჰიდინკის მომავალ როლზე. ისევ ჰოლანდიელ სპეციალისტს მოვუსმინოთ: *"დადგა დრო, ყველაფერი ვთქვათ. რუსეთის ნაკრებს ბოროდიუკმა უნდა უხელმძღვანელოს. ის მაღალი კლასის სპეციალისტია. მე კი საკმაო ენერგია მაქვს, რათა სხვა საქმით დავკავდე. ასე რომ, მალე რუსეთში საჭირო აღარ ვიქნები".*

"საკმაო ენერგია"? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჰიდინკი კვლავ საკლუბო ფეხბურთის ყოველდღიურ რუტინას ამჯობინებს თვიდან თვემდე უსაქმოდ ყოფნას? რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი **ვიტალი მუტკო** ერთდროულად გაოგნებული და გაღიზიანებულია. მას არ სურს, დაიჯეროს, რომ ამ სიტყვების ავტორი ნამდვილად ჰიდინკია. რადიოსადგურ "მაიაკის" ჟურნალისტებმა მუტკოს კომენტარისთვის მიმართეს:

*"რა კომენტარი უნდა გავაკეთო?! ჩვენ მოქმედი კონტრაქტი გვაქვს. არ მჯერა, რომ ეს ყველაფერი ჰიდინკმა თქვა. უბრალოდ, ამაში დარწმუნებულიც ვარ. დღეს ნამდვილად არ არის იმის წინაპირობა, რომ ჰოლანდიელ მწვრთნელთან აპრილში დადებული ხელშეკრულება გავწყვიტოთ. ჩვენ ბევრი გეგმა გვაქვს. შესარჩევ ციკლში მხოლოდ ოთხი მატჩი ჩავატარეთ და ჯერ დასვენების გაკეთება ნაადრევია".*

**ალექსანდრ ბოროდიუკმა** კომენტარისგან თავი შეიკავა. არ არის გამორიცხული, ჰიდინკი მას უკვე ესაუბრა და გეგმებიც გაანდო. მაგრამ რაც შეეხება ჰოლანდიელის "ჩელსიში" წასვლას, "სანდი მირორი" "არისტოკრატთა" ერთ-ერთი გავლენიანი ხელმძღვანელის სიტყვებსაც აქვეყნებს: *"ეს ხალხი ქმნის ისეთ სურათს, თითქოს ყველაფერი კარგადაა, რომ ვითომ ერთმანეთს მხარს უჭერენ, რომ კლუბში სრული ჰარმონია სუფევს და ასე შემდეგ... მაგრამ რეალურად, "ჩელსის" ხელმძღვანელობაში სულ უფრო მეტი მოხელე რწმუნდება იმაში, რომ ეს იქნება ჟოზე მოურინიოს ბოლო სეზონი ამ პოსტზე".*

ამ კომენტარის გავრცელების შემდეგ, პრესამ რუსეთის საფეხბურთო კავშირის შეფს კიდევ ერთხელ მიმართა. "ეხო მოსკვისთვის" მიცემულ მცირე ინტერვიუში მუტკომ ეს თქვა: *"ჩემთვის ძნელია, ამას რაიმე შეფასება მივცე. ვიცი, რომ ჰიდინკს "ჩელსიში" დანიშვნას უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც ასე მოხდება. ჰოლანდიელ მწვრთნელთან მუდმივი კონტაქტი მაქვს. გარწმუნებთ, ჩვენს საუბრებში ეს საკითხი არასოდეს ყოფილა განხილვის საგანი. საიდან მოდის ხმები? ბევრი მიზეზი შეიძლება იყოს... მე მგონი, ეს ჩვეულებრივი "პი-არია", ან შეიძლება, სხვა მიზანიც ჰქონდეს... ვიმეორებ, ჩვენი ხელშეკრულება მოქმედებაშია და მისი შეწყვეტისთვის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ახლა მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ და მწვრთნელის მუშაობის შეფასება ჯერ ძალიან ადრეა".*

გუშინვე, "ჩელსის" ოფიციოზი თემას ბი-ბი-სის საშუალებით გამოეხმაურა. ისინი სერიოზულად არ უყურებენ გუნდიდან მოურინიოს მოსალოდნელ წასვლაზე აგორებულ ხმებს და მიაჩნიათ, რომ ეს მხოლოდ უსაგნო ლაყბობაა და მეტი არაფერი.

ამასობაში კი, საბუქმეიქერო კანტორა "უილიამ ჰილი" "ჩელსის" მომავალ მწვრთნელზე ფსონების მიღებას შეუდგა. ვნახოთ, როგორ გამოიყურება მოურინიოს სავარაუდო შემცვლელთა სია: **გუუს ჰიდინკი - 11/8; სვენ გორან ერიქსონი - 4/1; რომელიმე ინგლისელი სპეციალისტი - 6/1; ფრანკ რიიკაარდი - 9/1; ფაბიო კაპელო - 12/1; პოლ ლე გენი - 14/1; არსენ ვენგერი - 20/1; ალექს ფერგიუსონი - 33/1.**



გუუს ჰიდინკი



ბერლუსკონის თასი. მილანი-იუვენტუსი. მარცხნიდან: დელ პიერო, გატუზო, ნედვედი

ჩეხ პაველ ნედვედს 2006 წელს ბევრი ცუდი მოსაგონარი დაუგროვდა: მის "იუვენტუსს" მოპოვებული სკუდეტო ჩამოართვეს და სერია B-ში გადაისროლეს, ჩეხეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატზე ჯგუფში ჩარჩა, წლის ბოლოს, არასპორტული საქციელისთვის იტალიის ფედერაციამ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა... ამდენი ცუდი ამბის შემდეგ, "გაძეტა დელო სპორტის" კორესპონდენტს პირველ რიგში ის აინტერესებდა, რა განწყობით შეხვდა 2007 წელს "იუვენტუსის" ვეტერანი ნახევარმცველი. აი, რა უთხრა ნედვედმა წამყვან იტალიურ გაზეთს.

ინტერვიუ პაველ ნედვედთან

# იუვემ ბუფონი არ უნდა გაუშვას

## ჩეხი ნახევარმცველი კარიერას 2008 წელს დაასრულებს

- ასე ნაყოფიერად ზამთრის არდადეგები კარგა ხანია არ გამიტარებია. ჩემს ახალ სახლში გავჩერდი, ზამთრის კურორტ აოსტასთან ახლოს. ოჯახთან ერთად სიწყნარეში ყოფნით ძალიან ვისიამოვნე. თხილამურებითაც ვისრიალე. ვარჯიშიც არ მავიწყდებოდა - ბევრს დავრბოდი. ბავშვებმა სამთო თხილამურებით დაშვების სხვადასხვა ილეთები შეისწავლეს. მე მთიდან დაშვება კარგად ვიცი, მაგრამ საქმე იმაშია, რომ 17 წელია თხილამურებზე არ ვმდგარვარ და რაღაც-რაღაცების გახსენება დამჭირდა. მთიდან სრიალი პროფესიონალი ფეხბურთელისთვის მეტად სახიფათო გასართობია.

31 დეკემბერს, როცა 12 საათი მოახლოვდა, გავიხსენე ყველაფერი, რაც 2006 წელს გადამხდა თავს. მოგებული სკუდეტოს წართმევა, ჩავარდნილი მსოფლიო ჩემპიონატი, ჩემი პირველი და ბოლო მუნდიალი. ეს ყველაფერი თავიდან ამოვიგდე...

**- გენუაში მომხდარი ამბები კიდევ გახსოვთ? (ნედვედი ხუთი მატჩით იყო დისკვალიფიცირებული იმის გამო, რომ 1 დეკემბერს, მსაჯის მიერ დამატებულ დროში შეგნებულად დააბიჯა ფეხი მეტოქეს, გალანძღა და ხელი გაარტყა არბიტრს.)**

- თითქმის. მაშინ ბევრი ტყუილი და უსამართლო ბრალდება გავიგონე და ამან ძალიან გამანაწყენა. ცხელ გულზე კინალამ ფეხბურთისთვის თავის დანებება გადავწყვიტე. დამიჯერეთ, ჩემი კარიერის მანძილზე უფრო სერიოზული ინციდენტები მინახავს, მაგრამ სანქციები გაცილებით მსუბუქი იყო. დღემდე მიმაჩნია, რომ უსამართლოდ მომექცნენ.

**- მაშინ თქვით - "მორჩა" მაგრამ შემდეგ წასვლა გადაიფიქრეთ...**

- გონს მოვეგე და ვიფიქრე, რომ კარიერის ასე დასრულებით არასწორ ნაბიჯს გადავდგამდი. თანაც, ეს უსამართლო იქნებოდა არა მარტო ჩემთან, არამედ "იუვენტუსთან" მიმართებაში. მე შემეძლო წასვლა. ჩემს კონტრაქტში წერია ხელშეკრულების ამოწურვის ვადა - 2008 წლის ივნისი. მაგრამ იქვე ჩაწერილია ერთი პირობა, რომელიც უფლებას მაძლევს, როცა მომესურვება მაშინ ვთქვა: მორჩა. ეს იმ შემთხვევისთვის, თუ ვიგრძნობ, რომ თავს ვერ ვართმევ დაკისრებულ მოვალეობებს.

**- ე.ი. გადაწყვეტილია: 2008 წელს დაგვემშვიდობებით?**

- დიახ. გასულ წელს შემეძლო ლონდონში, "ტოტენჰემში" გადავსულიყავი. სხვა შემოთავაზებებიც მქონდა. მაგრამ გავიფიქრე, რომ არ ღირდა რაღაცის კარდინალურად შეცვლა. აქ მე და ჩემი ოჯახი თავს კარგად ვგრძნობთ. ფეხბურთის თამაშს თავს რომ დავანებებ, ტურინში დავრჩებით საცხოვრებლად.

**- თქვენი უახლოესი გეგმები როგორია?**

- ორი მიზანი მაქვს. თავიდან გუნდი სერია A უნდა გადავიყვანოთ. შემდეგ კი, მომავალ სეზონში, "იუვე" ჩემპიონთა ლიგაში უნდა დავაბრუნოთ. რა თქმა უნდა, ჯერ გასარკვევია, როგორი შემადგენლობით მოგვიწევს ამ ამოცანების გადაჭრა...

**- რა სჭირდება "იუვენტუსს" ამ მიზნების მისაღწევად?**

- ბუფონით დაწყებული, ტრეზეგეთი დამთავრებული, ყველა ვარსკვლავის შენარჩუნება. შემდეგ ჩვენს ახალ მენეჯმენტს უნდა ვენდოთ. ვფიქრობ, ყოველ პოზიციაზე ყველაზე ძლიერი მოთამაშეების შეძენა იქნება საჭირო. ისეთი მოთამაშეები გვჭირდება, რომლებსაც ყოველ მატჩზე ძირითადში მოსახვედრად დიდი კონკურენცია ექნებათ. იმ გუნდით, რომელიც ახლა გვყავს, სკუდეტოზე ფიქრი ზედმეტია. ახალი ვარსკვლავების მოძებნა ძნელია, მაგრამ თუ ფულს არ დაიშურებ...

**- კი მაგრამ, დღევანდელ "იუვენტუსში" მრავლად არიან მაღალი კლასის მოთამაშეები!**

- მაგალითად კანავარო და ტიურამი უკან? მაგრამ ისინი წავიდნენ და როგორ შევავსოთ ეს სიცარიელე? ეს ძალიან რთული იქნება.

**- მაგრამ ეს მოთამაშეები უკვე ასაკოვნები არიან...**

- მათ თავისუფლად შეეძლოთ კიდევ ხუთი წელი ეთამაშათ ჩვენთან! და ახალგაზრდების აღზრდაში დიდი წვლილი შეეტანათ.

**- ბუფონმა განაცხადა, რომ არ უნდა მომავალ წელს სერია A-ში მე-12 ადგილი დაიკავოს...**

- მას სრულიად ვეთანხმები. კიდევ ის მინდა ვთქვა, რომ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც წელს გუნდთან ერთად სერია B-ში დარჩნენ, მაგრამ გაისად "იუვეს" დატოვებას გადაწყვეტენ, მხოლოდ მადლობას გადავუხდი. მათ იმაზე მეტი გააკეთეს, ვიდრე ევალებოდათ.

**- ვის არ უნდა შეელიოს პირველი რიგში "იუვენტუსი"?**

- ბუფონს. ის ერთადერთი უმაღლესი დონის ოსტატია ჩვენს გუნდში. "იუვენტუსის" ყველა მოთამაშემ ზუსტად იცის: თუ ის შეცდება, ჩვენი მეკარე აუცილებლად გამოასწორებს ამ შეცდომას. ჩემი ნება რომ იყოს, ყველაფერს გავაკეთებდი მის შესანარჩუნებლად. ჯიჯი ყველა ჩვენგანზე ძლიერია. ის შეუცვლელია.

**- შეიცვალა თუ არა თქვენთვის ფეხბურთი სერია A-ში ამტყდარი შარშანდელი სკანდალის შემდეგ?**

- არა. ვფიქრობ, "იუვენტუსმა" ყველას ნაცვლად მოიხადა სასჯელი. ჩვენ საკუთარი დანაშაულიც გამოვისყიდეთ. და წინ თავაწეულებმა შეგვიძლია ვიაროთ.

**- სერია B როგორ მოგწონთ?**

- ფეხბურთი ყველგან ფეხბურთია. ახლა უფრო მეტი სირბილი მიწევს. აი, ეს არის მთელი განსხვავება. მაგრამ, პირადად მე, ჩემპიონთა ლიგა ძალიან მაკლია.

**- როგორ აპირებთ ამ ჩემპიონატის მოგებას?**

- როგორც კი სტარტზე არსებული ჩამორჩენა გავაბათილეთ, ცოტათი მოვეშვით. ამ ეტაპზე გათამაშების ცხრილში პირველ ადგილზეც არ ვართ. ასე რომ, ისევ სერიოზულად უნდა მოვკიდოთ საქმეს ხელი და მეტი აღარ გავჩერდეთ. თუ გუნდი მატჩის მსვლელობისას იგებს, მაშინ მისი მეტოქე უფრო ილლება. როცა ჩვენ ზედიზედ ვიგებთ მატჩებს, მეტოქე შეხვედრამდე გვნებდება ხოლმე. სამწუხაროდ, დღეს "იუვე" იმდენად ძლიერი არ არის, რომ შეხვედრები ნახევარი ძალით მოიგოს.

**- უამრავ მწვრთნელთან გიმუშავიათ. მათგან პირველ რიგში ვის გამოარჩევდით?**

- მარჩელო ლიპის. ამ მხრივ მართლაც ძალიან გამიმართლა: ბედნიერება მქონდა მეთამაშა ერიქსონთან, ძოფთან, ზემანთან, კაპელოსთან... ამ სიაში მხოლოდ ანჩელოტი მაკლია, რის გამოც ძალიან ვწუხვარ. მასზე ყველა მხოლოდ კარგს ლაპარაკობს.

**- მანჩინი?**

- როცა "ლაციოში" ერთად ვთამაშობდით, უკვე მაშინ იყო ცხადი, რომ მისგან კარგი მწვრთნელი დადგებოდა. ამასთან, რობერტოს დღეს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს. თუ წელს "ინტერი" სკუდეტოს მოიპოვებს, მას ყველა შანსი ექნება იმისთვის, რომ ისეთივე ლიდერი გახდეს, როგორიც "იუვენტუსი" იყო. ანუ, ის გუნდი, რომლის დამარცხებაზეც ყველა ოცნებებს. ისინი ისედაც ძლიერები იყვნენ, ჩვენ კი, ვიეირაც და იბრუც დავუმატეთ...

**- ზლატანთან ურთიერთობა თუ გაქვთ?**

- ხანდახან. იბრაჰიმოვიჩს ძალიან უნდოდა მილანში გადაბარგება და უზომოდ ბედნიერი იყო, როცა ეს ტრანსფერი განხორციელდა. ამ ამბის შემდეგ, მან ტელეფონით მაშინვე ფოტო გამომიგზავნა, რომელზეც იბრუ შავ-ლურჯ მაისურზე სკუდეტოს ემბელმას კოცნიდა. ჩემი სკუდეტოს ემბლემას...

**- უკვე თუ გადაწყვიტეთ, კარიერის დასრულების შემდეგ რას გააკეთებთ?**

- არა. შემიძლია ბავშვები ვავარჯიშო ან კლუბში ადმინისტრაციული სამუშაო შევასრულო, ან საერთოდ წავიდე ფეხბურთიდან. შეიძლება, ერთწლიანი პაუზა დამჭირდეს იმისთვის, რათა გავერკვიო, რის გაკეთება მსურს ახალ ცხოვრებაში.

**- იქნებ თქვენი ჰობის განვითარებაზე იზრუნოთ. ცოტა ხნის წინ ღვინოებით დაინტერესდით...**

- დიახ, ეს მართალია, მაგრამ არც ეს მომიფიქრებია.

ზამთრის სატრანსფერო ბაზარი 2007

# აბა, ვინ საით?

## სატრანსფერო სიტუაცია ევროპის წამყვან საფეხბურთო ლიგებში

**იტალია. სერია A**

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სტატუსი | ტრანს. სახე |
|---|---|---|---|---|
| ანასტაზი | კატანია | ჩეზენა | სავარაუდო | იჯარა |
| დელ კორე | კატანია | ჩეზენა | სავარაუდო | იჯარა |
| დანილევიჩუსი | ლივორნო | ბოლონია | დადასტურებულია | თანამფლობელობა |
| პავარინი | სიენა | ლეჩე | დადასტურებულია | იჯარა |
| ბენუსი | ლეჩე | სიენა | დადასტურებულია | იჯარა |
| კომოტო | ტორინო | რომა | დადასტურებულია | თანამფლობელობა |
| სკელა | ასკოლი | კოტბუსი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ონიევუ | სტანდარდი | მილანი | სავარაუდო | გაყიდვა |
| არჯილი | ლივორნო | ფროზინონე | დადასტურებულია | გაყიდვა |
| პერნა | მოდენა | პარმა | დადასტურებულია | თანამფლობელობა |
| ფერარეზე | ტორინო | ვერონა | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ბარსონი | კიევო | აველინო | დადასტურებულია | იჯარა |
| პესტრინი | ჩეზენა | მესინა | დადასტურებულია | იჯარა |
| მონტელა | რომა | ფულჰემი | დადასტურებულია | იჯარა |
| იტალიანო | ვერონა | კიევო | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ჯალომბარდო | ლივორნო | მესინა | დადასტურებულია | გაყიდვა |
| კოპოლა | მესინა | ლივორნო | დადასტურებულია | გაყიდვა |
| მაგრინი | ატალანტა | პრო ვერჩელი | დადასტურებულია | თანამფლობელობა |
| ლუკოვიჩი | ასკოლი | უდინეზე | დადასტურებულია | იჯარა |
| აგილარი | უდინეზე | ხერესი | დადასტურებულია | თანამფლობელობა |
| ფილიომენი | კროტონე | ინტერი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| გოდეასი | კიევო | მანტოვა | დადასტურებულია | იჯარა |
| გრიმი | აველანედა | მილანი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ტავანო | ვალენსია | რომა | დადასტურებულია | იჯარა |
| კავენაგი | სპარტაკი | ტორინო | სავარაუდო | გაყიდვა |

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სტატუსი | ტრანს. სახე |
|---|---|---|---|---|
| ბერდსლი | მანჩესტერ იუნ | ასტონ ვილა | სავარაუდო | იჯარა |
| სტოუკსი | არსენალი | ჩარლტონი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ოზერუილი | არსენალი | ბრაიტონი | დადასტურებულია | იჯარა |
| კროსლი | ფულჰემი | შეფილდ უენ | დადასტურებულია | იჯარა |
| ანსუორთი | შეფილდ იუნ | ვიგანი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ბოა მორტე | ფულჰემი | ვესტ ჰემი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ევანსი | მანჩესტერ იუნ | სანდერლენდი | დადასტურებულია | იჯარა |
| ჯოუნსი | მანჩესტერ იუნ | დერბი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| მონტელა | რომა | ფულჰემი | დადასტურებულია | იჯარა |
| ბშიკოდი | რეინჯერსი | უოტფორდი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ელინგტონი | ვესტ ბრომ | ვიგანი | სავარაუდო | გაყიდვა |
| ფულოპი | ტოტენჰემი | სანდერლენდი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ელუიკე | სანდერლენდი | ტოტნეჰემი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| დემსი | ნიუ ინგლენდი | ფულჰემი | სავარაუდო | გაყიდვა |
| ტაარაბტი | ლანსი | ტოტენჰემი | დადასტურებულია | იჯარა |
| კანუ | პორტსმუთი | აიაქსი | სავარაუდო | გაყიდვა |
| სტეპანი | ჩარლტონი | ბრონდბიუ | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ბაკინზიი | შეფილდ იუნ | ბარნსლი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| მასკერანო | ვესტ ჰემი | იუვენტუსი | სავარაუდო | გაყიდვა |
| კინგსტონი | ტერეკი (რუს) | ბოლტონი | სავარაუდო | გაყიდვა |
| ჯემბა-ჯემბა | ასტონ ვილა | ლილი | სავარაუდო | გაყიდვა |
| ბარტონი | მან სიტი | მანჩესტერ იუნ | სავარაუდო | გაყიდვა |
| კარუ | ლიონი | ნიუკასლი | სავარაუდო | გაყიდვა |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სტატუსი | ტრანს. სახე |
|---|---|---|---|---|
| სავიო | ფლამენგო | სოსიედადი | დადასტურებულია | იჯარა |
| ნავასი | მალაგა | ხიმნასტიკი | დადასტურებულია | იჯარა |
| არანსამენდი | ბილბაო | ატლეტიკო | დადასტურებულია | გაყიდვა |
| კერჟაკოვი | ზენიტი | სევილია | დადასტურებულია | გაყიდვა |
| აკუნია | დეპორტივო | როსარიო | დადასტურებულია | თავ/აგენტი |
| ლოპესი | არსენალი დე სარანდი | სოსიედადი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| სორიანო | ესპანიოლი | პოლი ეხიდო | დადასტურებულია | იჯარა |
| კავენაგი | სპარტაკი | სელტა | სავარაუდო | გაყიდვა |
| კავენაგი | სპარტაკი | რასინგი | სავარაუდო | გაყიდვა |
| კარუ | ლიონი | სელტა | სავარაუდო | გაყიდვა |
| ტავანო | ვალენსია | რომა | დადასტურებულია | იჯარა |
| გახო | ბოკა | რეალი | დადასტურებულია | გაყიდვა |

**საფრანგეთი. ლიგა 1**

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სტატუსი | ტრანს. სახე |
|---|---|---|---|---|
| აფანუ | ბორდო | გაზიანთეფი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ლასლანდი | ბორდო | ნიცა | დადასტურებულია | გაყიდვა |
| დორასო | პსჟ | გალათასარაი | სავარაუდო | გაყიდვა |
| ვინიალი | ლანსი | კაიზერსლაუტერნი | დადასტურებულია | იჯარა |
| სტოიკოვიჩი | ნანტი | ჰერტა | საევარაუდო | გაყიდვა |
| სრნა | შახტარი | პსჟ | სავარაუდო | გაყიდვა |
| ტაარაბტი | ლანსი | ტოტენჰემი | დადასტურებულია | იჯარა |
| მერიემი | მონაკო | მარსელი | სავარაუდო | გაყიდვა |
| გალიარდო | რივერი | პსჟ | დადასტურებულია | გაყიდვა |
| პიერონი | ოსერი | ვალანსიენი | სავარაუდო | გაყიდვა |
| კასერესი | ნანტი | ტიგრესი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ჯემბა-ჯემბა | ასტონ ვილა | ლილი | სავარაუდო | გაყიდვა |
| ბალმონი | ნიცა | მონაკო | სავარაუდო | გაყიდვა |
| კარუ | ლიონი | ნიუკასლი | სავარაუდო | გაყიდვა |
| უადუ | ოლიმპიაკოსი | ვალანსიენი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| მანინგი | პსჟ | ვალანსიენი | სავარაუდო | გაყიდვა |
| როტენი | პსჟ | მონაკო | სავარაუდო | გაყიდვა |
| კარუ | ლიონი | სელტა | სავარაუდო | გაყიდვა |
| სორინი | ნანსი | ოსერი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| მარტეზი | მარსელი | ნანტი | დადასტურებულია | გაყიდვა |

**გერმანია. ბუნდესლიგა**

| ფეხბურთელი | საიდან | სად | სტატუსი | ტრანს. სახე |
|---|---|---|---|---|
| სკელა | ასკოლი | კოტბუსი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| როსტი | შალკე | ჰამბურგი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| სტოიკოვიჩი | ნანტი | ჰერტა | სავარაუდო | გაყიდვა |
| ბუერი | ბოხუმი | კაიზერსლაუტერნი | დადასტურებულია | იჯარა |
| ანდრეასენი | ვერდერი | მაინცი | დადასტურებულია | იჯარა |
| ზაბატცი | მაინცი | კობლენცი | დადასტურებულია | თავ/აგენტი |
| გოპური | იანგ ბოიზი | ბორუსია (მ) | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ნოლი | ალემანია | კობლენცი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| მაისნერი | შტუტგარტი | კაიზერსლაუტერნი | დადასტურებულია | იჯარა |
| იმპალე | ირაკლისი | ბოხუმი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| ტადიჩი | ლევერკუზენი | დინამო (ზაგ) | დადასტურებულია | გაყიდვა |
| დოს სანტოსი | ბაიერნი | ვოლფსბურგი | დადასტურებულია | იჯარა |
| ნიკულაე | სტანდარდი | მაინცი | დადასტურებულია | გაყიდვა |
| იაკობსენი | კოპენჰაგენი | ნიურნბერგი | დადასტურებულია | გაყიდვა |



ჩელსი

# დროგბა და მაკელელე ბალაკის წინააღმდეგ

## არც დაცვაში ვარგა, არც შეტევაში და ძალიან ცოტას მოძრაობსო...

"სანდი თაიმსი" იტყობინება, რომ "ფულჰემთან" ნათამაშები ფრის (2:2) შემდეგ, "ჩელსის" ფეხბურთელებმა, **დიდიე დროგბამ** და **კლოდ მაკელელემ ჟოზე მოურინიოს** კაბინეტს მიაშურეს და პორტუგალიელ მწვრთნელთან **მიხაელ ბალაკზე** ისაუბრეს. თუმცა ამას ჩვეულებრივ საუბარს ვერ დავარქმევთ, რადგან ხსენებულ მოთამაშეებს ლონდონური კლუბის გერმანელი ვარსკვლავი კრიტიკის ქარცეცხლში გაუტარებიათ, მისი უფერული თამაში ყელში ამოგვივიდაო. დროგბა და მაკელელე, ისევე როგორც "ჩელსის" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი, 30 წლის გერმანელი ნახევარმცველით ძალიან უკმაყოფილოები არიან.

*"დროგბა და მაკელელე ბალაკის გამო ჩივიან და ამბობენ, ცოტას მოძრაობს, დაცვაშიც უმაქნისია და ვერც თავდასხმაში ბრწყინავსო."* - წერს "სანდი თაიმსი". კოტდივუარელი თავდამსხმელი და ფრანგი ნახევარმცველი ფიქრობენ, რომ ბალაკი "ჩელსის" სასტარტო შემადგენლობაში თამაშს არ იმსახურებს. მიუხედავად ამისა, მოურინიო გერმანელს მხარს უჭერს და ამბობს, ბალაკი ხელშეუხებელიაო. როგორც იცით, მიხაელს ინგლისელი ჟურნალისტებიც რეგულარულად აკრიტიკებენ და ისე გამოდის, რომ მისი თამაშით კმაყოფილი მხოლოდ მოურინიოა.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მარსელინიო ბრუნდება?

## ბრაზილიელის შეძენა ვოლფსბურგს უნდა...

"ვოლფსბურგის" ხელმძღვანელებმა **მარსელინიოს** შეძენის სურვილი გამოთქვეს. როგორც იცით, 31 წლის ბრაზილიელმა ფლეიმეიქერმა ბუნდესლიგა 5 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ, ზაფხულში დატოვა და ბერლინის "ჰერტადან" თურქულ "ტრაბზონსფორში" გადაბარგდა. "მგლების" სპორტული დირექტორი **ვოლფგანგ ჰოტცე** ადასტურებს, რომ თურქულ კლუბთან მოლაპარაკებები დაწყებულია, თუმცა იქვე დასძენს, რომ მარსელინიო "ვოლფსბურგისთვის" ნომერი პირველი არჩევანი არ არის და რომ "მგლები" კიდევ რამდენიმე ფლეიმეიქერს აკვირდებიან.

"ვოლფსბურგმა" ბუნდესლიგის პირველი წრე 19 ქულით მე-12 ადგილზე დაასრულა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ **კლაუს აუგენტალერს** ძალიან უცნაური გუნდი ჰყავს: მიუხედავად იმისა, რომ "მგლები" ცხრილის ზედა ნაწილში არ არიან, "ნიურნბერგთან" (!) ერთად, ყველაზე ნაკლები (16) გოლი აქვთ გაშვებული. გამოდის, რომ "ვოლფსბურგს" გერმანიაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს. სამაგიეროდ, აუგენტალერის გუნდს თავდასხმაში უჭირს: "მგლებმა" 17 შეხვედრაში მხოლოდ 12 გოლის გატანა მოახერხეს და ამაზე იშვიათად მხოლოდ "მაინცმა" (11 გოლი) იხეირა. არცაა გასაკვირი, "ვოლფსბურგის" შეფები მარსელინიოთი რომ დაინტერესდნენ.

მენეჯერი **კლაუს ფუხსი** ბრაზილიელ გამთამაშებელს აქებს, ასეთი მოთამაშე ჩვენთვის მისწრება იქნება, სამხრეთამერიკელი მაგრად გვჭირდებაო. თუმცა საინტერესოა, რამდენად გაუგებენ ერთმანეთს დისციპლინის ფანატიკოსი აუგენტალერი და სკანდალებით ცნობილი მარსელინიო. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ აუგეს ასეთი ალვირახსნილი ფეხბურთელები არ უყვარს. როგორც იცით, აუგემ ზაფხულში **ანდრეს დ'ალესანდრო** გაყიდა, რომელიც გაცილებით მშვიდი და წესიერი პიროვნებაა. მარსელინიო კი არაერთხელ გახვეულა სკანდალში: დისკოთეკებზე ხშირად მოსდიოდა ჩხუბი, "ჰერტაში" თამაშის დროს, გუნდის კაპიტან **არნე ფრიდრიხს** ეჩხუბა და მას მუშტიც უთავაზა. გარდა ამისა, ბრაზილიელმა ბერლინური კლუბის მთავარ მწვრთნელ **ფალკო გიოტცსაც** აგინა. შეგახსენებთ, რომ "ჰერტამ" მარსელინიო სწორედ იმის გამო გაყიდა, რომ გუნდის შეფებს გაუთავებელი სკანდალები ყელში ამოუვიდათ. აქვე გეტყვით, მარსელინიომ ბუნდესლიგაში ჩატარებულ 155 თამაშში 65 გოლის გატანა მოახერხა...

სავარაუდო ტრანსფერი

# იმპერატორი რომში?

ბაჰრეინულ შეკრებაზე მყოფმა "ინტერმა" იქაური ნაკრები 6:1 დაამარცხა. ორი გოლი **ადრიანომ** გაიტანა. **რობერტო მანჩინი** ბრაზილიელი ფორვარდით აღფრთოვანებული დარჩა. მან იქ ძველი ადრიანო ნახა და მის თამაშს "მეორედ დაბადება" უწოდა. მანჩინიმ დარწმუნებით თქვა, რომ სერია A-ს მეორე ნახევარი "იმპერატორისთვის" გამორჩეული იქნება. მწვრთნელის სიტყვებმა ადრიანოს გული აუჩუყა. ძველი ცოდვებისთვის მან საჯაროდ მოუხადა ბოდიში მანჩინის, თან დიდ მწვრთნელადაც შერაცხა და პირობა მისცა, რომ... ანი კარგად მოიქცევა...

ამ ურთიერთქათინაურების ფონზე, იტალიურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია ადრიანოს "რომაში" შესაძლო გადასვლასთან დაკავშირებით. "კორიერე დელო სპორტს" ინტერვიუ მისცა "ჯალოროსის" ფაქტობრივმა პრეზიდენტმა **როზელა სენსიმ**, რომელმაც საგულისხმო განცხადება გააკეთა: *"თუ პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოვხვდებით, ტრანსფერებზე 10 მილიონ გირვანქას დავხარჯავთ"*.

იმავე გაზეთის ცნობით, ადრიანოს შეძენა კლუბს **ლუჩანო სპალეტიმ** სთხოვა. მწვრთნელმა, რომელიც დღე-დღეზე "რომასთან" ახალ 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, იცის, რომ მომავალ სეზონში აუცილებლად უნდა მოიგოს სკუდეტო, რათა სატრანსფერო დანახარჯები გაამართლოს. არ ვიცით, რამდენად მართალია, მაგრამ ვრცელდება ინფორმაცია, რომ ერთი თვის წინ (როცა კლუბსა და ფეხბურთელს შორის დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია) "ინტერმა" ადრიანო სწორედ "ჯალოროსის" შესთავაზა, მაგრამ "ტრიგორიაზე" პრიორიტეტად "ვალენსიიდან" **ფრანჩესკო ტავანოს** გადაყვანა მიიჩნიეს. თუმცა ტავანო და ადრიანო სხვადასხვა ტიპის ფორვარდები არიან.და ერთმანეთს ხელს არ შეუშლიან. ორი სრულფასოვანი ფორვარდის ყიდვა კი სპალეტის საშუალებას მისცემს, **ფრანჩესკო ტოტი**, ბოლოს და ბოლოს, უკან დახიოს და ნახევარდაცვაში უფრო მეტი ეფექტიც მიიღოს.



ადრიანო დაჭკვიანდა?

## შიმუნიჩი: ჩელსის ვუნდივარ!

"ჰერტას" ხორვატი მცველი **იოზიპ შიმუნიჩი** ამბობს, რომ მისი შეძენა ლონდონის "ჩელსის" უნდა. *"დიახ, მე ვიცი, რომ მოურინიოს ჩემი გადაბირება უნდა და რომ "ჩელსის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში ვარ. ჩემი ნება რომ იყოს, ლონდონში დღესვე გადავიდოდი, რადგან პრემიერლიგაში თამაშზე ბავშვობიდან ვოცნებობ. როცა გავიგე, რომ ლონდონელები ჩემზე ფიქრობენ, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი. დარწმუნებული ვარ, რომ თუ "ჩელსის" ხელმძღვანელები "ჰერტას" ბოსებს დაუკავშირდებიან, ბერლინური კლუბი ბავშვობის ოცნების ასრულებაში ხელს არ შემიშლის."* - განუცხადა შიმუნიჩმა ხორვატულ გაზეთ "ვეჩერნი ლისტს". "ჰერტას" ხელმძღვანელები ლონდონელთა დაინტერესებას უარყოფენ.

## ქარიმის ბაიერნიდან უშვებენ

დუბაიში შეკრებაზე მყოფი "ბაიერნის" მენეჯერმა **ული ჰიონესმა** ოფიციალურად დაადასტურა, რომ ირანელი ნახევარმცველი **ალი ქარიმი** მიუნხენურ კლუბში დიდხანს აღარ დარჩება. *"გვინდა, რომ ქარიმი ახლავე გავასხვისოთ."* - განუცხადა ჰიონესმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. როგორც იცით, 29 წლის ირანელი რეკორდმაისტერის სასტარტო შემადგენლობაში ვერ ხვდება და მუდმივად სათადარიგოთა სკამს ხეხავს. მან "ბაიერნის" ბოსების იმედები ვერ გაამართლა.

ჰიონესმა **იან შლაუდრაფის** ტრანსფერზეც ილაპარაკა და ყველასათვის მოულოდნელი რამ თქვა: *"შლაუდრაფი იმიტომ ვიყიდეთ, რომ "ვერდერი" გაგვებრაზებინა. დეკემბრის დასაწყისში გაზეთი გადავშალე და ერთი კაცის სიტყვები წავიკითხე, რომელიც ამბობდა, იანი ჩვენთან, "ვერდერში" გადმოვა და არა "ბაიერნშიო". ძალიან გავბრაზდი, მაშინვე "ალემანიის" ბოსებს დავურეკე და მათთან მოლაპარაკებები დავიწყე."*

## ფრინგსი: იყიდეთ ფორვარდი!

"ვერდერის" ნახევარმცველმა **ტორსტენ ფრინგსმა** გუნდის შეფებს ფორვარდის ყიდვა მოსთხოვა. გერმანიის ნაკრების შუახაზელი შეშფოთებულია იმით, რომ **ივან კლასნიჩს**, **აარონ ჰანტსა** და **მოჰამედ ზიდანს** ტრავმები აქვთ და ამბობს, თუ ბოსები არაფერს მოიმოქმედებენ, მეორე წრის დასაწყისში ძალიან გაგვიჭირდებაო. ბრემენულ გუნდს ჯანმრთელად მხოლოდ ორი თავდამსხმელი, **მიროსლავ კლოზე** და **უგო ალმეიდა** ჰყავს.

## ჰამითმა უნდა გადაწყვიტოს

მას მერე, რაც 19 წლის **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** "შალკედან" მიონხენგლადბახის "ბორუსიაში" გადავიდა, გელზენკირხენულ კლუბს მხოლოდ ერთი ისეთი ფეხბურთელილა შერჩა, რომელსაც სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება. საუბარია თურქ ნახევარმცველ **ჰამით ალთინთოფზე**. 24 წლის ტყუპისცალი "შალკეს" ღირსებას 2003 წლიდან იცავს, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერა და ვერ მოიკიდა. ჰამითს სასტარტოში მხოლოდ მაშინ ათამაშებდნენ, როცა **ფაბიან ერნსტს** ან **ზლატან ბაირამოვიჩს** ტრავმა ან დისკვალიფიკაცია აქვთ. პირველ წრეში ჰამითმა 16 თამაშში მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ეს ისევ და ისევ იმის ბრალია, რომ ერნსტი და ბაირამოვიჩი დაშავებულები იყვნენ. მიუხედავად ამისა, "შალკეს" ბოსები მას კონტრაქტის გახანგრძლივებას სთავაზობენ.

მენეჯერი **ანდრეას მიულერი** ჰამითს უკვე ორჯერ ესაუბრა, ორჯერვე უშედეგოდ. "ხუმარების" ბოსი ამბობს, უფრო უკეთეს პირობებს ველარ შევთავაზებ, უნდა დაგვეთანხმდეს, თუ არადა წასვლა მოუწევსო. მიულერი ნამდვილად არ ნერვიულობს იმის გამო, რომ ბოლო დროს ვრცელდება ინფორმაციები, რომლის თანახმადაც, თურქი ნახევარმცველის გადაბირება მილანის "ინტერს" უნდა.

## ნოიველი ორი თვე ვერ ითამაშებს!

მიონხენგლადბახის "ბორუსიას" ვეტერანი თავდამსხმელი **ოლივერ ნოიველი** დაუშავდა. 33 წლის ფორვარდმა მყესები გაინყვიტა და როგორც "ბორუსიის" სამედიცინო შტაბი იტყობინება, მოედანზე მინიმუმ 2 თვის მანძილზე ველარ გავა. შეგახსენებთ, რომ ნოიველს ტრავმები პირველ წრეშიც აწუხებდა, რის გამოც, მხოლოდ 13 შეხვედრას (4 გოლი, 1 პასი) მოუყარა თავი.

ინტერვიუ ბასტიან შვაინშტაიგერთან

# ზიდანი, ეფენბერი, მათეუსი... მინდა, რომ ამ სამი გენიოსის ნაზავი ვიყო!

## შვაინი დარწმუნებულია, რომ რეალს ბაიერნის ეშინია...

**ოლივერ კანი, მიხაელ ბალაკი, მიროსლავ კლოზე... მერე? გერმანულ ფეხბურთში "დიდი ხალხის" ნაკლებობა შეინიშნება. და მაინც, მერე? ლემანი, ალბათ. ფრინგსიც. და შვაინი! ბასტიან შვაინშტაიგერი გერმანული ფეხბურთის მომავალია. თუმცა რაღა მომავალი, ის უკვე აწმყოა. 22 წლის ასაკში გერმანიის ნაკრების მაისურა უკვე 41-ჯერ აქვს მორგებული! შვაინი ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც 2006 წელს ბუნდესგუნდის ყველა, თვრამეტივე მატჩში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ მაინც აკრიტიკებენ და უკვე ძალიან ბევრს სთხოვენ. არადა, სულ 22 წლისაა და მთელი კარიერა წინ აქვს. რეკორდმაისტერისა და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველს "შპორტ-ბილდი" გაესაუბრა.**


ბასტიან შვაინშტაიგერი

**- ჰერ შვაინშტაიგერ, 2006 წელს გერმანიის ნაკრებმა 18 მატჩი ჩაატარა და თქვენ ერთადერთი ფეხბურთელი ხართ, რომელმაც თვრამეტივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "ბაიერნშიც" სასტარტო შემადგენლობის წევრი ხართ, გამოდის, რომ გასულ წელს ყველაზე მეტად დაიღალეთ. საინტერესოა, რამდენად კარგად დაისვენეთ ზამთრის არდადეგებზე?**

- შობა და ახალი წელი ფეხბურთელების უმრავლესობამ საზღვარგარეთ გაატარა. მე მართლაც მჭირდებოდა დასვენება და ამიტომაც გერმანიაში დავრჩი. გასულ წელს ისედაც ბევრი სტრესი მქონდა. დასვენება ძალიან მჭირდებოდა. ჰოდა, სახლში დავრჩი და ბევრი ვიძინე. შობასაც და ახალ წელსაც საკუთარი სახლის მისაღებ ოთახში, ოჯახის წევრებთან ერთად შევხვდი.

**- როგორ, სულ არაფერი გიკეთებიათ?**

- 28 დეკემბერს ძმასთან ერთად მთაში წავედი და თხილამურებით ვისრიალე. ეს იყო და ეს.

**- "ბაიერნის" ხელმძღვანელები ამას არ გიკრძალავენ?**

- მე რომ "ბაიერნის" მენეჯერი ვიყო და სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელებმა მთხოვონ თხილამურებით სრიალის ნებართვა, კარგად დავფიქრდებოდი. იმიტომ, რომ სამხრეთამერიკელები აღვირახსნილები არიან და დიდი შანსია, რომ ყველაფერი ფეხებზე დაიკიდონ და ისე ისრიალონ, რომ 6 თვიან ტრავმას გამოჰკრან ხელი. მაგრამ მე ძალიან ფრთხილი ვარ. თანაც, ჩქარა არც ვსრიალებ, ასე რომ, ტრავმის მიღების საშიშროება არ მემუქრებოდა. თუმცა, თავიდან არც მე ვიყავი ფრთხილი. ტყეში, განსაკუთრებით კი ხრიოკ კლდეებზე და ქვებზე სირბილი მიყვარდა და შესაბამისად, ხშირად ვიმტვრეოდი ხოლმე. თხილამურებით სრიალს რომ ვსწავლობდი, აბსოლუტურად ყველა ლობეს ვეჯახებოდი. ახლა კი სულ სხვანაირადაა საქმე.

**- მოკლედ, დამნიფდით...**

- რაც გინდათ ის დაარქვით. ფაქტია, რომ ადრე უფრო შეშლილი ვიყავი. თავში უამრავი სისულელე და სიგიჟე მიტრიალებდა ხოლმე. როცა ძველ ამბებს ვიხსენებ, ხშირად საკუთარი თავის მრცხვენია (იცინის), მაგრამ რას ვიზამ, ეს ჩემი წარსულია.

**- და სხვათა შორის, არც ისე შორეული...**

- დიახ და ამას არც ვმალავ. ჯერ კიდევ იმ პერიოდს ვიხსენებ, როცა "ბაიერნის" მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი იყო. წარმოიდგინეთ, კვირაში სამჯერ მიბარებდა კაბინეტში და ლექციებს მიკითხავდა. 6 ასეთი შემთხვევის შემდეგ, უკვე თვითონვე მივდიოდი ხოლმე მასთან და ბოდიშს ვუხდიდი, დაბარება აღარ სჭირდებოდა. ჰო, ცელქობა ბავშვობიდან მიყვარდა. მერე ამას ვნანობთ ხოლმე, მაგრამ ჩემს შემთხვევაში ეს ასე არ არის. ჰო, ცხადია, ზოგი რამ სხვანაირად უნდა გამეკეთებინა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არაფერს ვნანობ, რადგან ცუდი არაფერი გამიკეთებია. უბრალოდ, ასეთი ტიპი ვარ, ბავშვობიდან ბევრს ვმოძრაობ და ვცელქობ.

**- ჰო, მაგრამ აუდიტორიის წინაშე ბევრს არასდროს ლაპარაკობთ, ინტერვიუებში ძალიან თავდაჭერილი და თავმდაბალი ხართ. კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, რომ ცხოვრებაში ხმამაღალი სიტყვა არ გითქვამთ და არც ბილწი სიტყვებით გილაპარაკიათ...**

- ასე განგებ ვიქცევი. სათქმელი, რა თქმა უნდა, მეც ბევრი მაქვს. შემიძლია, ვილაც-ვილაცები ვაკრიტიკო ან საკუთარი თავი ვაქო. მაგრამ დღეს ყველა ასე იქცევა და ხალხს გაუთავებელი და უაზრო ყბედობის მოსმენა უკვე ყელში ამოუვიდა. ყველა ფიქრობს, რომ ბევრი უნდა ილაპარაკოს და საკუთარი თავი წარმოაჩინოს. ყველას ჰგონია, რომ ყველაზე მეტი იცის. მე კი მიმაჩნია, რომ ჩემს ასაკში ადამიანი უფრო მეტს უნდა ისმენდეს, ვიდრე ლაპარაკობდეს. არა იმიტომ, რომ ჩემი აზრი არა მაქვს, არამედ იმის გამო, რომ ჯერ ძალიან პატარა ვარ იმისათვის, რომ ჩემზე გამოცდილებს ჭკუა დავარიგო. ჩემს ასაკში ფეხბურთელმა გაუთავებლად კი არ უნდა იყბედოს, არამედ უნდა იშრომოს და მოედანზე დაამტკიცოს თავისი შესაძლებლობები.

**- სპორტული თვალსაზრისით მუდმივად ყურადღების ცენტრში ხართ, რადგან "ბაიერნის" გამთამაშებელი გქვიათ...**

- ყურადღების ცენტრში ყოფნას ყველაზე მეტად მაშინ ვგრძნობ, როცა მაკრიტიკებენ. როცა გაზეთს გადავშლი და იქ ჩემს კრიტიკას ვკითხულობ, ძალიან ვბრაზდები ხოლმე და ამის დამალვას არც ვაპირებ, რადგან ყველა ნორმალური ადამიანი უნდა გაბრაზდეს, როცა მასზე ცუდად ლაპარაკობენ. თუმცა ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ მწვრთნელი და თანაგუნდელები მენდობოდნენ. მთავარია, რას იტყვის ფელიქს მაგათი ან ლუკას პოდოლსკი. რაც შეეხება გამთამაშებლობას, ამ პოზიციაზე დიდი სიამოვნებით ვთამაშობ. თავს არასდროს ვზოგავ და ვცდილობ, საუკეთესო თვისებები წარმოვაჩინო.

**- გამთამაშებელთა უამრავი ტიპი არსებობს. თქვენ რომელს მიაკუთვნებთ საკუთარ თავს?**

- რთული კითხვაა. მოდით, ასე ვიტყვი: ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ და საბოლოოდ არ ჩამოვყალიბებულვარ. ამ კითხვაზე ზუსტ პასუხს მაშინ გაგცემთ, როცა 28 წლის ვიქნები. ჯერ კიდევ ბევრი მიკლია იქამდე, რაც მე მინდა.

**- და რა გინდათ თქვენ?**

- ზინედინ ზიდანი, შტეფან ეფენბერგი, ლოთარ მათეუსი - მინდა, რომ ამ სამი გენიალური ფეხბურთელის ნაზავი ვიყო! ეს მართლაც შესანიშნავი იქნებოდა. ეს ჩემი ოცნებაა და დიდი სიამოვნებით ვიშრომებ იმისათვის, რომ ავისრულო. მაგრამ მე ვიცი, რომ ამ მიზნამდე ძალიან ბევრი მიკლია, რომ სულ უნდა ვიშრომო და ბევრი რამ უნდა ვისწავლო. თქვენ კი, ამისათვის დრო უნდა მომცეთ (იცინის).

**- "ბაიერნის" ხელმძღვანელები ღიად აცხადებენ, რომ ახალ ფლეიმეიქერს ეძებენ. ამაზე რას იტყვით?**

- მე ვამბობ, რომ ფლეიმეიქერის პოზიციაზე დიდი სიამოვნებით ვთამაშობ. მაგრამ იქნება თუ არა სულ ასე, ეს უკვე ჩემზე აღარაა დამოკიდებული.

**- მენეჯერმა ული ჰიონესმა 2007 წლისთვის ახალგაზრდა ფეხბურთელებისგან უფრო მეტი მონდომება, კონცეტრაცია და ბრძოლა მოითხოვა...**

- და მას ამაში აბსოლუტურად ვეთანხმები. მოდით, თვალი გადავავლოთ "ბაიერნის" დღევანდელ შემადგენლობას: ლამი, ჰარგრივსი, ლელი, ოტლი, რენზინგი, პოდოლსკი, მე - ჩვენ ნამდვილად არ ვართ ცუდი ფეხბურთელები და ვფიქრობ, ამაში არავინ შემეწინააღმდეგება. მთავარია, დრო მოგვცენ და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული მათგანი დიდ ფეხბურთს ითამაშებს. ჩემი აზრით, ეს უფრო მართებული გზა იქნება, ვიდრე 28-29 წლის ფეხბურთელებში ფულის გადახდა...

**- რუმენიგემ და ჰიონესმა ე.წ. "ახალი ვარსკვლავისთვის" 35 მილიონი ევრო გამოყვეს.**

- ასეთი ნაბიჯი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხოლმე გამართლებული, როცა სასწრაფოდ გჭირდება ფეხბურთელი და გინდა, რომ გარკვეული პრობლემა უცებ მოაგვარო. პირადად მე მჯერა, რომ უმჯობესია, ახალგაზრდა ფეხბურთელებს დრო მოგვცენ და იმედები ჩვენზე დაამყარონ.

**- თქვენ უკვე დაამტკიცეთ, რომ შორი დისტანციიდან გოლების გატანის უბადლო ოსტატი ხართ. ოლივერ კანი ამბობს, შვაინის დარტყმა ერთ-ერთი ყველაზე სახიფათოა მთელ მსოფლიოშიო...**

- მართალია, პროგრესი აშკარაა. შორი დისტანციიდან დარტყმებზე რეგულარულად ვვარჯიშობ და შედეგმაც არ დააყოვნა. შესაძლოა, ჩემი დარტყმების უმრავლესობა არც ისე ძლიერია, როგორიც უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ გოლები გამაქვს. მთავარიც ესაა.

**- იქნებ, რაიმე საიდუმლოც გაქვთ?**

- (იცინის) დიახ, არის რაღაც. ეს ფელიქს მაგათმა და მე ერთად მოვიფიქრეთ. მომიტევეთ, მაგრამ ამ საიდუმლოს ვერ გაგიმხელთ, თორემ მერე ყველას ეცოდინება.

**- ვინმეს მიბაძეთ?**

- არავისთვის მიმიბაძავს.

**- ჟუნინიოს დარტყმები ხომ მოგწონთ?**

- გენიალური დარტყმა აქვს, არც ისე ძლიერად, მაგრამ ჭკვიანურად ურტყამს. მაგრამ ჟუნინიოს შემთხვევაში ბურთი სხვანაირი ტრაექტორიით მიდის ხოლმე და თანაც არ ბრუნავს. ჩემს შემთხვევაში კი ბრუნავს, ვიბრირებს და ბოლო მომენტში ოდნავ დაბლა ეშვება. მსოფლიოს ჩემპიონატზე, პორტუგალიასთან მატჩის წინ, როცა ვხურდებოდით, კრისტიანო რონალდოს ვაკვირდებოდი და უნდა ვთქვა, რომ დაახლოებით ჩემნაირად ურტყამს, ოღონდ უფრო სრულყოფილად. ჩემი აზრით, ჟუნინიო და კრისტიანო რონალდო ამ მხრივ საუკეთესოები არიან. მათ შემდეგ კი დევიდ ბექჰემის დარტყმა მოდის.

**- ბექჰემის "რეალს" ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში დაუპირისპირდებით. როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს "ბაიერნს" სამეფო გუნდთან?**

- ამბობენ, ეს ის "რეალი" აღარ არის და შესაბამისად, "ბაიერნს" მეოთხედფინალში გასვლის ძალიან კარგი შანსი აქვსო. მე კი ვამბობ, რომ "რეალი" ყოველთვის "რეალია" და ამ გუნდთან მიმართებაში აგდებით საუბარი დიდი შეცდომაა. მადრიდელებს ისევ შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავთ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ეშინიათ და მადრიდში არავის გაუხარდა, "რეალს" მეტოქედ ძველი მტერი, "ბაიერნი" რომ ერგო.

**- პირადად თქვენთვის მადრიდი განსაკუთრებული ქალაქია. ევროტურნირების პირველი მატჩი სწორედ "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩაატარეთ...**

- და იცით, რა არის ყველაზე ცუდი? ის, რომ ზიდანის წინააღმდეგ მხოლოდ ერთხელ ვითამაშე და აღარასოდეს მომეცემა შანსი, რომ ზიზუს ვებრძოლო. ძალიან მინდოდა, რომ მის წინააღმდეგ კიდევ ერთხელ მეასპარეზა. ამის გამოც მეწყინა ის, რომ მუნდიალის ფინალში ვერ გავედით. ახლა კი ისევ "რეალს" ვხვდებით, მაგრამ ზიდანი აღარ თამაშობს...

**გოტფრიდ ლენცი**




ფიფას პრეზიდენტი ბოდიშს იხდის

# შეცდომა დავუშვი!

ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** მუდამ ემახსოვრება 2006 წლის 9 ივლისი, როცა მან მონაწილეობა არ მიიღო მსოფლიო ჩემპიონ იტალიის ნაკრების კორონაციაში. იმ დროს, როცა **ფაბიო კანავარომ** ბერლინის "ოლიმპიაშტადიონზე" თასი აღმართა, ბლატერი ტრიბუნაზე იჯდა. იტალიელები ამ ფაქტმა უკიდურესად აღაშფოთა. მოგვიანებით, "რკინის ზეპმა" თავისი საქციელი ავსტრალიური გაზეთისთვის მიცემული ინტერვიუთიც დაამძიმა. იქ მან თქვა, რომ "სკუადრა აძურა" ჩემპიონობას არ იმსახურებდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ პენალტი, რომელიც ავსტრალიის ნაკრებთან მატჩის 95-ე წუთზე დაინიშნა, არბიტრის შეცდომა იყო. გასაგებია, რომ ავსტრალიური გაზეთის სტუმარმა ამ ქვეყნის ნაკრებს ასიამოვნა, მაგრამ მეორე მხრივ, ერთობ გაანაწყენა იტალიური მხარე. ბლატერის გამოხდომას ნეგატიური შეფასება მისცა იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელმა ხელმძღვანელობამაც...

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და აი, რომში მყოფმა ბლატერმა იტალიელებს ბოდიში მოუხადა: *"გავა დრო და ისტორია იტყვის; რომ ეს იყო შეცდომა. ფიფას პრეზიდენტს მსოფლიო ჩემპიონის დაჯილდოებაში მონაწილეობა აუცილებლად უნდა მიეღო. მაგრამ ნუ დაველოდებით ისტორიის განაჩენს, დღესვე ვამბობ, რომ შეცდომა დავუშვი".*

რაც შეეხება ავსტრალიური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუს, ამის გამო ბლატერი ბოდიშის მოხდას არ აპირებს, რაკი მიაჩნია, რომ გამოცემამ მისი სიტყვები დაამახინჯა.

ატლეტიკო

# მანიშემ აგირე განარისხა

გასულ შაბათს "ატლეტიკო" "ხიმნასტიკს" დაუზავდა. საშინაო შეხვედრაში ორი ქულის დაკარგვამ **ხავიერ აგირე** ძალიან ცუდ ხასიათზე დააყენა. მექსიკელი სპეციალისტი მეორე დღესაც უქეიფოდ გახლდათ. აგირემ წონასწორობა დაკარგა, როცა **მანიშე** ვარჯიშზე ერთი საათის დაგვიანებით მივიდა. "ატლეტიკოს" დამრიგებელმა არც აცია, არც აცხელა და პორტუგალიელი ნახევარმცველი საწვრთნელი ბაზიდან გააგდო. ინციდენტი არც ამით ამოწურულა. სენიორ ხავიერმა ორშაბათს ფეხბურთელი სამუშაო ოთახში დაიბარა და განუცხადა, ხელმძღვანელობის წინაშე ფულადი ჯარიმის საკითხს დააყენებდა.

შეგახსენებთ, რომ მანიშე დისციპლინის დარღვევაში არდადეგების დროსაც შენიშნეს. შობის ღამეს ლისაბონის პოლიციამ ის სიჩქარის გადაჭარბების გამო დააკავა. მოგვიანებით ჩატარებულმა ტესტმა ცხადყო, რომ ის გვარიანად ნასვამი იყო.


მანიშე ცულლუტობს


კოლოჩინი გააბრაზეს

დაპირისპირება

# კოლოჩინიმ მოთმინება დაკარგა

## არგენტინელი დეპორტივოს ტოვებს და ვალენსიაზე ფიქრობს

დეპორტივოელ **ფაბრიციო კოლოჩინის**, "რეალის" დამარცხების მიუხედავად, სულაც არ ედღესასწაულება. **ხოაკინ კაპაროსმა** არგენტინელი მცველი კვლავ არ დააყენა ძირითად შემადგენლობაში. აღშფოთებულმა კოლოჩინიმ საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და სკანდალური განცხადება გააკეთა: *"მთავარი მწვრთნელი სუბიექტური მოსაზრებების გამო მებრძვის. ყველა მოთხოვნას ვაკმაყოფილებ, მაგრამ მაინც არ მათამაშებს. რაც ყველაზე ცუდია, ის არ მეუბნება, თუ რატომ არ ვიმსახურებ ადგილს სასტარტო შემადგენლობაში. ვფიქრობ, კამათს არანაირი აზრი არ აქვს. გადავწყვიტე, "დეპორტივო" დავტოვო. საკმაოდ საინტერესო შემოთავაზებები მაქვს. ყველაზე რეალურად, კარიერის "ვალენსიაში" გაგრძელება მოჩანს. ჩემს მენეჯერებს დავავალებ, რომ უფრო ინტენსიურად იმუშაონ".*

კაპაროსმა შეგირდის განცხადებას მოკლე რეპლიკით უპასუხა. "დეპორის" მთავარი მწვრთნელი გვარწმუნებს, რომ უსამართლოდ არავის ჩაგრავს და რომ შემადგენლობას ფეხბურთელების მზადყოფნის მიხედვით აკომპლექტებს...

ინტერვიუ რობერტ ენკესთან

# თავს მშვიდად მხოლოდ შვილის საფლავზე ვგრძნობ!

## ჰანოვერის მეკარე სექტემბერში გადატანილ ტრაგედიაზე საუბრობს


ენკე მაშინ ბედნიერი იყო...

**29 წლის რობერტ ენკემ ბოლო ორი წლის მანძილზე პროფესიული თვალსაზრისით უდიდესი პროგრესი განიცადა. ცოტა ხნის წინ, მისმა კოლეგებმა "ჰანოვერის" კარის დარაჯი ზედიზედ მეხუთედ დაასახელეს ბუნდესლიგის საუკეთესო გოლკიპერად. რამდენიმე დღის წინ "წითლებთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გააგრძელა. ექსპერტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ გერმანიის ნაკრების მეორე მეკარე ენკე უნდა იყოს და არა ტიმო ჰილდებრანდი. ჩვენს გერმანელ კოლეგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ 2007 წელს იენს ლემანის დუბლიორი სწორედ რობერტი იქნება. ერთი სიტყვით, პროფესიული თვალსაზრისით ყველაფერი კარგად აქვს, პირად ცხოვრებაში კი, უდიდესი ტრაგედია გადაიტანა. სექტემბერში ენკეს 2 წლის ქალიშვილი მოუკვდა. "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ენკე სწორედ ამ ტრაგედიაზე საუბრობს...**

**- ჰერ ენკე, ბოლო დროს ალბათ ხშირად ტირით და მუდმივად ცუდ ხასიათზე ხართ...**

- რომ ვთქვა, ეს ასე არაა-მეთქი, მოგატყუებთ. ლარას სიკვდილის შემდეგ სამთვენახევარი გავიდა. რა თქმა უნდა, ხშირია დღეები, როცა თავს ცუდად, ძალიან ცუდად ვგრძნობ. ეს არის დღეები, როცა საკუთარ თავს ვეკითხები, იქნებ მისი გადარჩენა შეიძლებოდა-მეთქი. მაგრამ მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს ძალიან ვეხმარებით, მხარში ვუდგავართ და ვცილობთ, ამ ტრაგედიაზე იშვიათად ვიფიქროთ.

**- დღეს როგორ გრძნობთ თავს?**

- ნორმალურად. მეტიც, ალბათ, შემიძლია ვთქვა, რომ თავს კარგად ვგრძნობ. ყოველ შემთხვევაში, იმასთან შედარებით, როგორც პირველ ხანებში ვიყავი, ახლა ნამდვილად კარგად ვარ. მაგრამ საერთო ჯამში მაინც სულ ლარაზე ვფიქრობ.

**- ალბათ ძალიან მძიმე შობა და ახალი წელი გქონდათ...**

- 24 დეკემბერს ლარას საფლავზე ვიყავით. იქ საჩუქრები და წერილები დაგვხვდა, რაც ძალიან გამიხარდა. ახალი წელს კი, მეუღლესთან ერთად, კიოლნში, მეგობრების გარემოცვაში შევხვდი. როცა 12 საათი შესრულდა, უცებ ძალიან დავნაღვლიანდი, მაგრამ მერე მაინც ვიზეიმეთ. ტრაგედიამ არ უნდა დაგამარცხოს. მაგალითად, ჩემმა ძმის შვილმა ფეირვერკები მოაწყო და ცდილობდა, რაც შეიძლება ზემოთ ესროლა. მერე კი თქვა, წარმომიდგენია, რა ხდება ზემოთ, ცაში, ლარასთანო. ალბათ სამოთხეშიც მაგარი ზეიმი აქვთო. გამეცინა და ბავშვი გულში ჩავიკარი.

**- საფლავზე ხშირად დადიხართ?**

- დიახ, თუ შემიძლია, ყოველ დღე ავდივარ ხოლმე. საფლავის გვერდით სკამი დავდგით. როცა იქ ვზივარ, მხოლოდ მაშინ მეუფლება აბსოლუტური სიმშვიდე და მხოლოდ მაშინ ვგრძნობ თავს ძალიან კარგად. ზოგჯერ კი პირიქით, ცუდად ვხდები ხოლმე, მაგრამ მაინც მშვიდად ვგრძნობ თავს.

**- ხშირად სვამთ კითხვას "რატომ"?**

- დიახ, საკმაოდ ხშირად, მაგრამ მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, ის ორწლიანი პერიოდი, მთელ ცხოვრებად აღვიქვათ. ჩვენმა შვილმა მხოლოდ 2 წელი იცოცხლა, მაგრამ ასე მგონია, რომ ბევრი რამე იგრძნო და გაითავისა. ჩვენ მადლობლები ვართ ამ ორი შესანიშნავი წლისთვის. ბოლო თვეებში იმდენი რამ შეითვისა და აღიქვა, რომ გაოცებულები ვიყავით. ექიმები გვეუბნებოდნენ, თუ ასე გააგრძელებს, შობას სირბილს მოახერხებსო. სიკვდილამდე ერთი დღით ადრე კარგად ჭამა, რაც უდავოდ დიდი მიღწევა იყო მისთვის. ხომ გახსოვთ, იყო შანსი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების მესამე მეკარე ვყოფილიყავი. ახლა ძალიან მიხარია, რომ მუნდიალზე არ გამომიძახეს. ის ერთი თვე სულ ლარასთან გავატარე.

**- ამ ტკივილზე ყველაზე ხშირად როდის ფიქრობთ ხოლმე?**

- იმ დროს, როცა საქმე არ მაქვს. ამიტომაც, მე და ტერეზა ყოველთვის ვცდილობთ, რომ რამე ვაკეთოთ და ამ ტრაგედიაზე არ ვიფიქროთ. მაგრამ ამას მაინც ვერსად გავექცევით. ხომ ხვდებით, ნებისმიერი ადგილი, სადაც ვარ ხოლმე, ლარას მახსენებს, სახლის ნებისმიერი კუთხე და ნებისმიერი კედელი მაიძულებს, მასზე ვიფიქრო. ჰანოვერის ტბა, მაგალითად, სადაც ხშირად დაგვყავდა. ანაც საძინებელი ოთახი, რომელიც ისევ ისეა დალაგებული, როგორც იმ დროს, როცა ცოცხალი იყო.

**- სხვა ოთახები შეცვალეთ?**

- არა, არ შეგვიცვლია. მისი ჭოჭინა ისევ სამზარეულოში დგას, საწოლი კი ჩვენს საძინებელში. ყველაფერი თითქმის იგივეა. მომდევნო თვეების მანძილზე ალბათ არაფერს შევცვლით. მერე ვნახოთ. ჩვენთვის, მშობლებისთვის, ლარა არ მომკვდარა. მართალია, აღარ არის, მაგრამ ის ყოველთვის ჩვენი შვილი იქნება.

**- როცა ლარაზე ფიქრობთ, რომელი სურათები ან ეპიზოდები წარმოგიდგებათ ხოლმე თვალწინ?**

- პირველ რიგში მისი ღიმილი. იმიტომ, რომ მხიარული და საყვარელი ბავშვი იყო. ბავშვი, რომელიც სულ იცინოდა და ყველას ეფერებოდა. თუ დაიჯერებთ, ტირილით არასდროს შევუწუხებივართ, სულ კარგ ხასიათზე იყო. თანაც, საკმაოდ ჭკვიანი ბავშვიც იყო. ბოლოს, როცა საავადმყოფოში იწვა, ტერეზა ბეისბოლის კეპით გამოეცხადა. ბავშვს ისე მოეწონა, რომ მედდები იძულებულები გახდნენ, ასეთივე კეპებით ყოფილიყვნენ მასთან. ლარა ჩვენი ცხოვრების აზრი იყო.

**- ცოტა არ იყოს გასაკვირია ის, რომ თქვენი შვილის გარდაცვალებაზე და ამით გამოწვეულ გრძნობებზე ასე გულახდილად საუბრობთ...**

- ჰო, რადგან ვფიქრობ, რომ ამაზე გულახდილად საუბარი ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ყველაფერს მაინც ვერსად გავექცევი. მეშინოდა, რომ ხალხი ყველაფერს სხვანაირად გაიგებდა და ჩვენთვის სათქმელი არავის არაფერი ექნებოდა. საბედნიეროდ ასე არ მოხდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ ლარას დაკრძალვა სხვანაირი ყოფილიყო - ჭრელი და ნათელი. მას ეს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე დიდი შავი და ტრაგიკული პროცესია. ამიტომაც იყო, ყველას რომ ვთხოვეთ, შავები არ ჩაეცვათ. ჩვენმა მეგობრებმა თქვეს, მიუხედავად ასეთი ტრაგიკული მომენტისა, ძალიან ლამაზი დღე გამოვიდაო.

**- ცხადია, აუცილებლად უნდა დაგისვათ ეს კითხვაც: შვილი კიდევ როდის გეყოლებათ?**

- რა თქმა უნდა, გვინდა, რომ კიდევ გვყავდეს და თანაც არაერთი, მაგრამ ჯერ მაინც გამორიცხულია. თუ მე და ტერეზა ბავშვზე ვფიქრობთ, მხოლოდ ლარაზე. ცოტა ხნის წინ შვილის აყვანაზე ვისაუბრეთ. ძალიან ბევრი ბავშვია ისეთი, რომლებსაც სახლი არ აქვთ. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს ამ ეტაპზე მაინც გამოვრიცხეთ.

**- ლარას გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ, "ჰანოვერის" მაისურით მოედანზე გახვედით. არ გეშინოდათ, რომ შეცდომებს დაუშვებდით?**

- ხომ იცით, მას მერე, რაც დაიბადა, ძალიან ხშირად იყო საავადმყოფოში და სიკვდილს ებრძოდა. შესაბამისად, ბოლო ორი წლის მანძილზე სულ იმ განცდით ვთამაშობდი, რომ ჩემი შვილი ცუდად იყო. "ლევერკუზენთან" შეხვედრაში ძალიან კი გამიჭირდა, მაგრამ საკუთარ თავს ვეუბნებოდი, როცა იქნება, ხომ უნდა გავიდე მოედანზე-მეთქი...

**- მოედანზე ყოფნის დროს დღესაც ფიქრობთ ხოლმე მასზე?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემი მდგომარეობა ნამდვილად არაა ისეთი დრამატული, როგორც ეს გარედან ჩანს.

**- ზემოთ რაც ილაპარაკეთ, საპირისპიროს ამტკიცებს...**

- ჰო, მაგრამ მაინც. ცხოვრება გრძელდება...

**გოტფრიდ ლენცი**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელბურთი. ევრო 2008

საქართველოს ნაკრები სპეციალისტების თვალით

# რატომ მოგვიგო ლატვიამ?

ოთხწლიანი პაუზის შემდეგ საქართველოს ნაკრების თბილისში დაბრუნება უიღბლო გამოდგა. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე მატჩში, ლატვიაში ნაგების შემდეგ (20:38), ჩვენი ხელბურთელები შინაც დამარცხდნენ 29:32.

შეგახსენებთ, რომ ანალოგიურ საკვალიფიკაციო ტურნირზე, საქართველოს ნაკრებმა ბოლოს თბილისში ითამაშა 2002 წელს, როდესაც სპორტის სასახლეში მოუგო ავსტრიასა და ჰოლანდიას, ხოლო ფინეთთან ფრეს დასჯერდა.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ლატვიასთან მატჩსა და საქართველოს ნაკრების სამომავლო პერსპექტივაზე ქართველი სპეციალისტები. გუშინ რამდენიმე ვეტერან ხელბურთელს გავესაუბრეთ.



ლატვიელთა შეტევა. დაცვაში: სერგეი კირილოვი (8), შოთა თევზაძე (22) და ომარ ყიფიანი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

### ჯემალ ცერცვაძე:
## ლიდერები გვაკლდნენ, შეუთამაშებლები ვიყავით

- საქართველოსა და ლატვიის ნაკრებები დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდები არიან. სამწუხაროდ, ჩვენს გუნდს აკლია რამდენიმე ლიდერი, მაგრამ მათგან ყველაზე საგრძნობია გუნდის სულისა და გულის - **სერგო დათუკიშვილის** არყოფნა.

ასეთ ვითარებაში ბიჭები საკუთარ თავს ვერ გადაახტნენ. გარკვეული შეცდომები გვქონდა ტაქტიკური თვალსაზრისითაც - იმას ვგულისხმობ, რომ მეტოქის ხაზის წინაშე ბევრი ვერაფერი გავაწყვეთ - ფაქტობრივად, ლატვიელთა ხაზის მოთამაშემ მოგვიგო.

ასევე საკმაოდ დიდი პრობლემა აღმოჩნდა შეუთამაშებლობაც. **ლატვიის** ნაკრების თავკაცი **გულბისი ჩემი ძველი** მეგობარია - საბჭოთა **კავშირის** ნაკრებში ერთად ვთამაშობდით. მას ვკითხე, ლატვიის ნაკრებმა ბოლო 5 თვეში რამდენი თამაში ჩაატარა მეთქი და ოცდაჩვიდმეტიო! აი, საქართველოს ნაკრებს კი წლების განმავლობაში არ უთამაშია. ბოლოს გუნდი შარშან ზაფხულს მსოფლიო უნივერსიადაზე გამოვიდა და იქაც დღევანდელი შემადგენლობიდან ყველა არ ყოფილა. სამწუხაროდ, საქართველოს ხელბურთის ასოციაციას არ აქვს იმდენი ფინანსური საშუალება, რომ ეროვნული ნაკრები საკონტროლო მატჩებით უზრუნველყოს. ცალკე სალაპარაკოა ჩვენი ჩემპიონატი, რომელიც მხოლოდ ხუთგუნდიანია და საკმაოდ დაბალ დონეზე ტარდება...

ისიც სათქმელია, რომ ჩვენი გუნდი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ახალგაზრდულია მთელ მსოფლიოში. გუნდის 70 პროცენტი ახალგაზრდა, გამოუცდელი ხელბურთელებითაა დაკომპლექტებული. თუმცა, ფრიად ნიჭიერი ბიჭები არიან და თუკი სათანადო ხელშეწყობა ექნებათ, მომავალში კარგი გუნდის ჩამოყალიბება შეგვიძლია.

ვუყურებდი საქართველო-ლატვიის მატჩს და ჩვენი ხელბურთელები მეცოდებოდნენ. ეს ბიჭები გაყინულ **დარბაზში,** არცთუ სახარბიელო პირობებში **ემზადებოდნენ.** არც ვარჯიშებისას და **არც** ოფიციალურ მატჩებში თავი არავის დაუზოგავს, ძალიან უნდოდათ გამარჯვება, მაგრამ რა ქნან, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის. საკმაოდ გულსატკენია, რომ ნაკრებს საკუთარი დარბაზიც კი არ აქვს. სპორტის სასახლეზე არაფერს ვამბობ, მაგრამ თავის დროზე, სპეციალურად ხელბურთისთვის, კერძოდ კი მაშინდელი ქართული და საბჭოური ხელბურთის ფლაგმან "ბურევესტნიკისთვის" აშენდა "ქარიშხალას" სპორტკომპლექსი. დღეს კი ეს ნაგებობა ლამის ყველაფერს ემსახურება, გარდა ხელბურთისა.

კიდევ ბევრი პრობლემის დასახელება შეიძლება, მაგრამ ამაზე ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს. ერთი იმას ვიტყვი, რომ ქართული ხელბურთი დღეს, ფაქტობრივად, უპატრონოდ არის მიგდებული, სათამაშო სახეობებიდან მას ყველაზე ნაკლები ყურადღება ექცევა. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

### იმედო ფხაკაძე:
## მარტო ვარჯიშით ვერ მოიგებ!

- გუნდს რომ პერსპექტივა აქვს, ნათელია, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეისთვის არ აქვს ის, რაც ყველაზე მეტად სჭირდება - გამოცდილება და შეთამაშება. წაგება უშეცდომოდ არ არსებობს და, რა თქმა უნდა, ლატვიასთანაც იყო ხარვეზები. განსაკუთრებით თვალში საცემი მომეჩვენა უყურადღებობა პირველი, სწრაფი შეტევისას. ასეთ მომენტებში ჩვენი ხელბურთელები ხშირად იღებდნენ არასწორ გადაწყვეტილებას და რამდენჯერმე გატანილი გოლის დროსაც კი შეცდნენ. რა თქმა უნდა, ლიდერები რომ არ გამოგვკლებოდნენ, გაცილებით უკეთ გვექნებოდა საქმე, მაგრამ რაც არ უნდა ძლიერი ხელბურთელები გვყავდეს, თუკი გუნდს ოფიციალურ მატჩამდე რამდენიმე საკონტროლო მატჩი არ აქვს ჩატარებული, ყოველთვის გაუჭირდება.

მხოლოდ ვარჯიშებით ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევა ძნელია, რადგან არის ხელბურთელთა კატეგორია, რომლებიც ვარჯიშზე სასწაულებს აკეთებს, მაგრამ როცა საქმე მატჩზე მიდგება, თამაში არ გამოსდის. პირიქით, ზოგი ვარჯიშზე არ გამოიყურება კარგად, მაგრამ გადასარევად წაუვა თამაში. სწორედ ამიტომაა საჭირო საკონტროლო მატჩები და შეკრებები. თუკი ძლიერი, ამბიციური გუნდის ჩამოყალიბება გვინდა, კვარტალში ერთხელ მაინც უნდა მოვახერხოთ მისთვის შეკრების მოწყობა, ან ერთი ამხანაგური მატჩის ჩატარება მაინც. თუმცა, ისიც მესმის, რომ ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. საქართველოს ხელბურთის ასოციაციის წლიური ბიუჯეტი კი ისეთი მწირია, რომ ასეთი ფუფუნების საშუალებას არ იძლევა.

### ელიზბარ არსენაშვილი:
## რატომ გადაიდო საქართველოს ჩემპიონატი?

- ლატვიასთან მარცხმა ძალიან დამწყვიტა გული. საკმაოდ სუსტად ვითამაშეთ, რისი მთავარი მიზეზიც რამდენიმე ლეგიონერის გამოკლება იყო. ამას გარდა, თავი იჩინა შეუთამაშებლობამაც. მაგალითად, ნაკრებში ახლად ჩამოყვანილმა ბელარუსმა ხელბურთელმა **სერგეი კირილოვმა** ჯიგრიანად კი ითამაშა, თუმცა ჩანდა, რომ გუნდთან სავსებით არ იყო შეთამაშებული. გამოცდილებამ და ფიზმომზადებამაც დაგვალალატა. შესაბამისად, ბოლო წუთებზე, კრიტიკულ მომენტებში ბევრი დასანანი შეცდომა დავუშვით და წავაგეთ. მთლიანობაში, მატჩის სიმძიმემ, ძირითადად, სამ ხელბურთელზე გადაიარა. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებიდან ყველაზე გამორჩეულები იყვნენ მეკარე **შოთა თევზაძე, რეზო ჭანტურია** და **ვლადიმერ რუსია.**

არ მინდა, მწვრთნელის საქმეში ჩავერიო, მაგრამ, ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, რომ **გიორგი წივწივაძისთვის** მეტი სათამაშო დრო მიეცათ - ის **ალექსანდრე ბოყოჩაძეს** ხშირად შენაცვლებოდა. რაც არ უნდა იყოს, ბოყოჩაძე უკვე საკმაოდ ასაკოვანი ხელბურთელია, წონაში საგრძნობლად მომატებული აქვს და, შესაბამისად, სისწრაფეც დაკარგა. წივწივაძე კი ახალგაზრდაა, კარგ ფორმაშია და ჯობდა, მოედანზე ერთ წუთზე მეტი დრო გაეტარებინა.

ჯერ კიდევ დეკემბერში ვამბობდი, რომ საქართველოს ჩემპიონატის გადადება დიდი შეცდომა იყო და, სამწუხაროდ, ჩემი ნათქვამი ახდა. ჩემპიონატი რომ არ გადადებულიყო, აქ მოთამაშე ხელბურთელები ახლა უკეთეს ფორმაში იქნებოდნენ და ნაკრებს უფრო დიდ დახმარებას გაუწევდნენ. რა თქმა უნდა, ლეგიონერები ნაკრების ლიდერები არიან, მაგრამ მხოლოდ მათზე დაყრდნობა არაფერს მოგვცემს.

უკვე დაგვიანებულია, მაგრამ თუ კი სამომავლოდ ნაკრების წარმატებები გვინდა, საქართველოს ჩემპიონატის დონის ამაღლებაზეც უნდა ვიფიქროთ, რათა იქ მოთამაშე ნაკრების წევრებმა გუნდს მეტი სარგებელი მოუტანონ.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მომავალს, ახლა საკმაოდ ძნელია პროგნოზების გამოთქმა. ყველაფერი ისევ და ისევ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პირობები ექნება გუნდს. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტი საკონტროლო მატჩის ჩატარება, გუნდური თამაშის პოვნა და დახვეწა . იმავე ლატვიამ სწორედ ამის ხარჯზე მოგვიგო. ჩვენგან განსხვავებით, ბალტიისპირელები არა ცალკეული ხელბურთელების ინდივიდუალური ოსტატობის, არამედ გუნდური თამაშის საშუალებით ცდილობდნენ ფონს გასვლას და აკი გვაჯობეს კიდეც შინაც და თბილისშიც.

**კობა ხატისაშვილი**

## სუმო

# წლის პირველი გამარჯვება

გუშინ წლის პირველი გამარჯვება იზეიმა ქართველმა სუმოისტმა **ლევან ცაგურიამ (კოკაი)**, მან იორიკირის ილეთით მეექვსე მაეგაშირა **ტოჩინონადა** დაამარცხა. ორი დღის შემდეგ იანვრის ბაშოზე კოკაის ბალანსი ნულოვანია - 1-1. დღეს მისი მეტოქე მესამე მაეგაშირა **კიოკუტენჰოა,** რომელთანაც კოკაიმ შარშან ერთხელ იჭიდავა და გაიმარჯვა. საერთო ჯამშიც უპირატესობა კოკაის მხარეზეა - 3:2.

ბაშოზე ხუთი ოძეკიდან გუშინ ოთხი დამარცხდა, **ტოჩიაძუმამ, ჩიოტაიკაიმ, ჰაკუჰომ** და **კოტოოშუმ** თავიანთი ბრძოლები წააგეს. მხოლოდ **კაიო** აგრძელებს დაუმარცხებელ სვლას, ისევე როგორც, იოკოძუნა **ასაშორიუ.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**იანვრის სუპერტურნირი (ჰაცუ ბაშო)**

7-21 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

II დღე: კოკაი - ტოჩინონადა 1:0 (იორიკირი, 4,9 წამი), ასაშორიუ - კოტოშოგიკუ 1:0, როჰო - ტოჩიაძუმა 1:0, კაიო - კისენოსატო 1:0, მიაბიამა - ჩიოტაიკაი 1:0, დეჯიმა - ჰაკუჰო 1:0, ტოკიტენკუ - კოტოოშუ 1:0, კოტომიცუკი - ამინიშიკი 1:0, ბარუტო - ჰომაშო 1:0, ამა - კიოკუტენჰო 1:0, ტაკამისაკარი - ასასეკირიუ 1:0, ტაკეკაძე - ფუტენო 1:0.

III დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი - კიოკუტენჰო, ასაშორიუ - დეჯიმა, კაიო - ამინიშიკი, ჩიოტაიკაი - როჰო, ჰაკუჰო - მიაბიამა, კოტოოშუ - ჰომაშო, ტოჩიაძუმა - ტოკიტენკუ, კისენოსატო - კოტომიცუკი, ბარუტო - კოტოშოგიკუ, ამა - ასასეკირიუ, ტაკამისაკარი - ფუტენო, ტოჩინონადა - ტაკეკაძე.



ტოკიტენკუკოტოოშუს ამარცხებს

# ტანვარჯიშის ფედერაციის რჩეულნი

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულმა ფედერაციამ დაასახელა 2006 წლის რჩეული სპორტსმენები. ბატუტზე ხტომაში **ლუბა გოლოვინა** და **თენგიზ კოშკაძე;** მხატვრულ ტანვარჯიშში **ელენე ტიტოვა,** სპორტულ ტანვარჯიშში **ილია გიორგაძე,** აკრობატიკაში **ლია ბეშკენაძე** და **ლანა ქარაია.** წლის საუკეთესო გუნდი - ბატუტზე ხტომის ნაკრები (**ლუბა გოლოვინა, ნანა ლუჭაშვილი, თამარ კაკაშვილი**).

წლის საუკეთესო მწვრთნელები **ზაურ სულიაშვილი** და **ვლადიმერ გოლოვინი** (ორივე - ბატუტი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რაგბი**

ლეგიონერები

# 125 ქულით!

**საშობაო არდადეგები დასრულდა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონებშიც. ფედერალ 1-ის მე-12 ტურში ქართველ მორაგბეთა გუნდების აბსოლუტურმა უმრავლესობამ გაიმარჯვა.**

A ჯგუფში ლიდერობა **გიორგი ჩხაიძის, ვიქტორ დიდებულიძისა** და **დავით დადუნაშვილის** "მასიმ" დაიბრუნა. მასელებმა სტუმრად სძლიეს "ჟენევიე" 37:11. თამაშში სამივე ქართველმა მიიღო მონაწილეობა: დადუნაშვილმა 45-ე წუთიდან, დიდებულიძე და ჩხაიძე კი 53-ე წუთზე გავიდნენ სათამაშოდ.

"მასის" კვალში უდგას **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანი", რომელმაც შინ **სანდრო ესაკიას** "სენ ნაზერს" მოუგო 17:15. გიორგი კაჭარავას "ვანმა" საკუთარ მოედანზე დაამარცხა "პუატიე" - 13:0, **ზურაბ მჭედლიშვილისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** შეხვედრა რუანში უამინდობის გამო გადაიდო.

**1. მასი-27 ქულა, 2. ორლეანი-26,** 3. რუანი-25, **4. დომონი-25 / 5. ვანი-23, 6. სენ ნაზერი-20,** 7. პუატიე-20, 8. ჟენევიე-18.

B ჯგუფს სათავეში 31 ქულით **კონსტანტინე ჯინჭარაძის** "ბურგ ან ბრესი" უდგას. ბურგელებმა შინ "შალონი" დაამარცხეს 17:6 და მეორე ადგილზე მყოფ "შამბერის" 6 ქულით გაუსწრეს. საკუთარ მოედანზე "დიჟონთან" დამარცხდა **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** "მონლუსონი" 20:24. ამ გუნდმა 21 ქულა დააგროვა და მე-6 ადგილზეა.

C ჯგუფში ლიდერი **ელიზბარ ყუფარაძის** "ობენაა", მიუხედავად იმისა, რომ გასვლით მატჩში **ირაკლი მოდებაძის** "ლუნელთან" დამარცხდა 12:15. "ობენას" მჭიდროდ მიუახლოვდა **დავით გასვიანის** "ექსი". შინ "სენ სატურნინთან" გამარჯვების შემდეგ 22:6 ექსელებმა 26 ქულა დააგროვეს და მესამე ადგილზე არიან.

D ჯგუფში საკუთარ მოედანზე "კერესთან" მატჩში **სოსო ნიკოლაენკოსა** და **გიორგი ნიკლაურის** "მიომ" მინიმალური ანგარიშით 12:11 გაიმარჯვა. "მიომ" 20 ქულა დააგროვა და მე-5 ადგილზეა.

E ჯგუფში 24 ქულით მე-3 პოზიცია უკავია **თედო ზიბზიბაძისა** და **ვანო ნადირაძის** "პერიგოს". ამ გუნდმა "სენ პოლ ლე დაქსს" უმასპინძლა და 28:10 დაამარცხა.

ფედერალ 2-ის B ჯგუფში კვლავ დაუმარცხებელია **დიმიტრი ხოჭოლავას** "სერჟ პონტუაზი". ამ გუნდმა ამჯერად სტუმრად დაამარცხა "დოლი" 21:14 და 36 ქულა დაუგროვდა. 27 ქულით მე-4 ადგილზეა **ბესო უდესიანის** "ვილფრანში", რომელმაც საკუთარ მოედანზე სძლია "დრანსის" 29:5.

A ჯგუფში მე-2, მე-3 და მე-4 ადგილები, შესაბამისად, "ლილს", "არასსა" და "ნანტს" უჭირავს. **დავით ბოლღაშვილის** "ლილმა" სტუმრად "კაენი" დაამარცხა (12:3) და 31 ქულა დააგროვა. შინ გაიმარჯვა **სერგო გუჯარაიძისა** და **ოთარ ელოშვილის** "არასმა" გათამაშების ლიდერ "ტურთან" - 10:3. "არასს" 28 ქულა აქვს, "ტურს" კი 34. სტუმრად "მარკ ან ბარაუსთან" დამარცხდა 20:21 " **ლევან ჯაველიძისა** და ილია მაისურაძის "ნანტი" და 25 ქულა აქვს.

D ჯგუფში **დიმა პავლოვისა** და **რატი ურუშაძის** "ნიცამ" გათამაშების აუტსაიდერი "მარტიგი" გაანადგურა - 125:0. პავლოვმა, რომელიც "ნიცის" კაპიტანია, თავიდან ბოლომდე ითამაშა, ურუშაძე შეხვედრაში მეორე ტაიმიდან ჩაერთო და ორი ლელო გაიტანა. "ნიცს" ახლა 28 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში პირველ ადგილზეა. **ზვიად მათიაშვილის** "დრაგიჟანმა", რომელიც 21 ქულით მე-9 ადგილზეა, შინ დაამარცხა "ბედარიდე" 24:6. **თემურ სოხაძის** "ბასტიამ" ასევე შინ სძლია "სორჟე" 19:17. კორსიკელებმა 26 ქულა დააგროვეს და მე-4 ადგილზე იმყოფებიან.

E ჯგუფში ქართველთა ორივე გუნდი "კონიაკი" და "ფიჟაკი" დამარცხდა. **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკმა". სტუმრად დათმო შეხვედრა "მალებორთან" 12:24 და 26 ქულით მეექვსეა. ამდენივე ქულა აქვს, ოღონდ მე-4 ადგილზეა **რეზო ბელქანიასა** და **სანდრო მჭედლიშვილის** "ფიჟაკი", რომელიც ასევე სტუმრად დამარცხდა "ანგულემთან" - 10:24.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ჟენევიე-მასი. მარჯვნივ - გიორგი ჩხაიძე

## ზაზა დოლიძე გაუძღვება...

გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ თბილისის მერიის რამდენიმე სამსახურის გაერთიანების შედეგად შეიქმნა სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახური. სპორტი გაერთიანებულ სტრუქტურაში შევიდა. ახალ სამსახურს, უფროსის მოადგილის რანგში გაუძღვება **ზაზა დოლიძე**, რომელიც მანამდე მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი იყო.



ზაზა დოლიძე

**კალათბურთი**





ცინცაძე ნევეჟისთან, ბოისა მილანთან

ლეგიონერები. მიმოხილვა

# ცინცაძე ბალტიის ოლსტარს უახლოვდება

საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **გიორგი ცინცაძე** ბალტიის ლიგის ვარსკვლავთა მატჩზე მოხვედრის რეალური კანდიდატია. ქართველმა ხმების დიდი სხვაობით ჩამოიტოვა გამოკითხვის დასაწყისში მასზე წინ მყოფი **ქერიმ რაში** ("რიტასი"), **მარსელო მაჩადო** ("ჟალგირისი") და ახლა მხოლოდ **კურტის მილაგეს** ("რიკა", 9959 ხმა) და **მარკო პოპოვიჩს** ("ჟალგირისი", 9222 ხმა) ჩამორჩება.

სადღეისო მონაცემებით გიორგის 7177 ხმა აქვს და მესამე პოზიციაზეა. 3 თებერვალს კაუნასში გასამართ ვარსკვლავთა მატჩში კი ლეგიონერთა გუნდის ძირითად ხუთეულში ორი საუკეთესო უკანახაზელი მოხვდება. თუ ქართელი ქომაგებიც ვიაქტიურებთ (www.bbl.net), შეიძლება ჩვენიანი ბალტიელთა ოლ სტარშიც ვიხილოთ. თუ პოპოვიჩს ვერ გაასწრებს, მაშინ დიდი შანსია, მწვრთნელმა გიორგი სათადარიგოდ მიიწვიოს...

დეკემბერში დასრულდა ბალტიის ლიგის პირველი ეტაპი, რომელშიც 14 გუნდი ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. ცინცაძის "როკმა" B ჯგუფში მე-4 ადგილი დაიკავა (12-დან 5 მატჩი მოიგო) და მეორე ეტაპზე ლიგაში დარჩენისთვის ზრუნვა მოუწევს. მეორე სტადიაზე ზედა ექვსეულს დანარჩენი რვა გუნდი გამოეყო და ისინი გაარკვევენ "წამსვლელ-დამრჩენთა" ვინაობას, ხოლო საუკეთესო ექვსეული ფინალური ოთხეულისთვის აგრძელებს ბრძოლას.

"ტარტუ როკმა" მეორე ჯგუფური ეტაპი წარმატებით დაიწყო - **ტატო ვაშაკიძის** "ნევეჟისი" ესტონეთში 83:74 დაამარცხა. ტატო გუნდს ტარტუში არ ჩაჰყოლია, ხოლო ცინცაძე ჩვეულად გაისარჯა - აქა-იქ თვითონაც ესროლა (3-დან 3 ორქულიანი ჩააგდო და ამდენივე სამიანი ააცილა) და თანაგუნდელებიც ათამაშა (5 პასი).

ცინცაძის მეგობარმა **ვიქტორ სანიკიძემ** შობის საღამოს სამი პირადი რეკორდი დაამყარა: "ესტუდიანტესში" გადასვლის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონატში პირველად ითამაშა 18 წუთი (მანამდე "ჟირონასთან" 11 წუთი ჰქონდა ნათამაშები), ყველაზე მეტი, 8 ქულა ჩააგდო ("ჟირონასთან" 3 ქულა) და მოხსნებშიც პირადი რეკორდი დაამყარა - 4 (2 შეტევაში, 2 დაცვაში).

ქართველის წარმატებას "ესტუდიანტესის" თამაში აფერმკრთალებს - სტუდენტებმა მალაგაში "უნიკახასთან" 52:92 დათმეს.

საპირისპირო სიტუაცია იყო გრანადაში, სადაც ადგილობრივი გუნდი **ნიკა ცქიტიშვილის** "კახა სან ფერნანდომ" 104:100 დაამარცხა.

ქართველი ფორვარდი სათადარიგოთა სკამზე მერვე ნომრით იჯდა და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. ამ მოგებით "კახამ" ესპანეთს სამეფო თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. ამ ტურნირში პირველობის 8 საუკეთესო კლუბი მიიღებს მონაწილეობას.

**ესპანეთის ჩემპიონატი.** 16 ტურის შემდეგ. 1. ტაუ - 15 მოგება, 2. რეალი - 14, 3. ჟირონა - 12, 4. უნიკახა - 9, 5. ხუვენტუტი - 9, 6. გრან კანარია - 9, 7. კახა - 9, 8. ბარსელონა - 8, 9. ალტა - 8, 10. პამესა - 8, 11. მურსია - 7, 12. გრანადა - 7, 13. ბილბაო - 6, 14. ესტუდიანტესი - 6, 15. ალიკანტე - 6, 16. ბრუესა - 5, 17. ვალიადოლიდი - 3, 18. მენორკა - 3.

ახალი წლის დღეებში იტალიის სერია A-ში ორი ტური გაიმართა. **ვლადიმერ ბოისას** თანაგუნდელებმა ორი მნიშვნელოვანი მატჩი მოიგეს, ჯერ შინ "ბენეტონს" 82:63 სძლიეს, შემდეგ გასვლით შეხვედრაში ძლიერი "მილანი" დაამარცხეს - 74:67. ქართველი ფორვარდი ორივე მატჩში სათადარიგო იყო და საშუალოდ 16.5 წუთი ითამაშა. "ბენეტონს" 5 ქულა ჩაუგდო, ხოლო "მილანს" - 6.

"მონტეპასკი" სერია A-ს სატურნირო ცხრილში ლიდერობას ინარჩუნებს, ხოლო **ტაირონ ელისის** "ნაპოლიმ" "ბოლონიის" ძლევით მე-4 პოზიციაზე აინაცვლა.

**იტალიის ჩემპიონატი.** 14 ტურის შემდეგ. 1. მონტეპასკი - 11 მოგება, 2. ვიდივიჩი - 11, 3. მილანი - 9, 4. ნაპოლი - 8, 5. ბენეტონი - 7, 6. პრემიატა - 7, 7. იუპეა - 7, 8. რომა - 7, 9. ვარეზე - 7, 10. კლიმამიო, ბოლონია - 6, 11. ტერამო - 6, 12. სკაფატი - 6, 13. ბიელა - 6, 14. კანტუ - 5, 15. სნაიდერო - 5, 16. აველინო - 4, 17. რეჯო ემილია - 4, 18. ლივორნო - 4.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 29.12 | ჰიუსტონი-ატლანტა 94:68 | 28 | 3 | 1 | 1 | 6 |
| | | 31.12 | სან ანტონიო-ატლანტა 95:81 | 23 | 0 | 0 | 1 | 4 |
| | | 5.01 | ტორონტო-ატლანტა 105:92 | 35 | 4 | 2 | 1 | 12 |
| | | 6.01 | ატლანტა-კლიპერსი 86:74 | 34 | 8 | 2 | 2 | 22 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 7.01 | უნიკახა-ესტუდიანტესი 92:52 | 18 | 4 | 0 | 1 | 8 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 7.01 | გრანადა-კახა 100:104 (დ.დ) | არ უთამაშია | | | | |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (ჩ.) | 6.01 | დიჟონი-ბეზანსონი 82:87 | 20 | 3 | 0 | 0 | 5 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 30.12 | მონტეპასკი-ბენეტონი 82:63 | 18 | 3 | 1 | 1 | 5 |
| | იტალია (ჩ.) | 7.01 | მილანი-მონტეპასკი 67:74 | 15 | 2 | 1 | 0 | 6 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 30.12 | ნაპოლი-ბოლონია 81:78 | 31 | 2 | 3 | 3 | 13 |
| | ევროლიგა | 4.01 | არისი-ნაპოლი 80:72 | 30 | 0 | 2 | 1 | 15 |
| | იტალია (ჩ.) | 7.01 | სნაიდერო-ნაპოლი 97:80 | 24 | 0 | 3 | 0 | 3 |
| მანუ მარკოიშვილი | ევროლიგა | 4.01 | პანათინაიკოსი-ოლიმპია 83:74 | 34 | 3 | 0 | 2 | 14 |
| | ადრიატიკა | 6.01 | ოლიმპია-პარტიზანი 76:90 | 23 | 1 | 0 | 3 | 5 |
| გიორგი ცინცაძე | ბალტიის თასი | 6.01 | როკი-ნევეჟისი 83:74 | 30 | 2 | 5 | 3 | 7 |

## ხმა მიეცით ზაზა ფაჩულიას!

ზაზა ფაჩულიას NBA-ს "ყველა ვარსკვლავის" (ALL STAR) შეხვედრაში მონაწილეობის საშუალება ეძლევა.

შედით ვებ-გვერდის (www.nba.corn) იმ სექციაში,

(http://www.nba.com/allstar2007/asb/eng/ballot.html?from=sweeps)

სადაც "ყველა ვარსკვლავის" (ALL STAR) კანდიდატთა სრულ სიას გაეცნობით და მიეცით ხმა

**იჩქარეთ, საინტერნეტო გამოკითხვა 21 იანვარს დასრულდება.**

**ხმა მივცეთ ზაზა ფაჩულიას ყოველდღე, რათა მას მაქსიმალური ხმები დაუგროვდეს.**

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორის სვეტი

## ნახტომი, მაგრამ საით?..

გაურკვევლობაა მეტწილად მითქმა-მოთქმის საბაბი. ჭორი კიდევ სხვაა თავისი ბუნებით. მაგრამ ის, რაც ახლა საქართველოს სპორტულ სამყაროში ხდება, უფრო გაურკვევლობით გამოწვეულ შიშთანაა წილნაყარი. ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლების მომავალ ბედთან დაკავშირებით აგორებულ მითქმა-მოთქმაზე მოგახსენებთ. ყველამ შეიტყო ბავშვთა სპორტულ სკოლებსაც რომ უნია რეფორმამ. გაიგეს ამ სკოლების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დაფუძნებისა და თვითდაფინანსებაზე გადასვლის გადაწყვეტილების შესახებ, მაგრამ ვერანაირად ვერ გაიგეს რა არის ამ რეფორმაში სასიკეთო ან პირიქით, რა ზიანი შეიძლება მან მოიტანოს. შიში უსაფუძვლო როდია. თუ უცხოეთს ვბაძავთ, ანუ მაღალგანვითარებული ქვეყნების მაგალითზე ვნერგავთ ჩვენთვის ამ სიახლეს, მაშინ მინიმუმ პარალელი იმათ და ჩვენს სოციალურ ყოფას შორის მაინც უნდა გავავლოთ. ყოველგვარ სიახლეს შესაფერისი ფონი და ნიადაგი ესაჭიროება. არა გვგონია და, დაგვეთანხმებით ალბათ, ჩვენი საერთო სიღარიბის ფონზე, ზემოხსენებული სიახლისთვის ნოყიერი ნიადაგი იყოს საქართველოში, ჯერჯერობით მაინც.

იქ, საიდანაც მაგალითს ვიღებთ, შვილების კეთილდღეობისთვის თანხის გადახდა ოჯახებს არ უჭირთ. ვიმეორებთ, კეთილდღეობისთვის. სწორედ ასეა. თავიდან ყველაფერი მოზარდების ჯანმრთელობაზე ზრუნვით იწყება. ხოლო, რაც შეეხება სპორტულ ტალანტებს, ნიჭს რა შეაჩერებს, - ვლინდება და იქვე ჩნდებიან სპონსორები. დიდ სპორტში ვინც მიდის, საწყისიდანვეა ოჯახი უზრუნველყოფილი მატერიალურად. და კიდევ, სელექციონერები დადიან ყველგან, კოლეჯებში, სხვა სასწავლო ბავშვთა დაწესებულებებში, სადაც ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ჩვენგან განსხვავებით, სავალდებულო პროგრამაა და სასწავლებლის ხელმძღვანელის მინდა არ მინდაზე არაა დამოკიდებული. ბავშვთა სპორტი მიიჩნევა დიდი სპორტის საფუძველთა საფუძვლად. მემკვიდრეობითობის სისტემა დიდებულად იყო დარეგულირებული ადრე. თუ რა იდო ლიბოში ხვდებით ალბათ - მასობრიობა - ბავშვთა სპორტის ჩათვლით. სახელმწიფო კი პროფკავშირებთან ერთად დაფინანსების გარანტი იყო. ახლა, როცა ლაპარაკია სპორტული სკოლების თვითდაფინანსებაზე თავისთავად ჩნდება იმის შიში, რომ დიდი სპორტის მკვებავი წყარო თუ მთლად არ დაშრება, რაც იყო, ის მაინც აღარ იქნება. ცხოვრების, სოციალური ყოფის გაუმჯობესების კვალობაზე, მერე და მერე, სავარაუდოა, ყველაფერი კარგად აეწყოს, მაგრამ მანამდე? სწორედ გარდამავალ პერიოდში იმალება მოსალოდნელი საფრთხე. წყვეტა თაობათა ცვლის დინებაში, ქართულ სპორტს დიდად დააზარალებს, რომლის აღდგენას ათეული წლები დასჭირდება. ასეთია სპორტის, როგორც ცოცხალი, მუდამ განახლებადი, მუდამ პროგრესირებადი და მუდამ წინმავალი ფენომენის ლოგიკა. აი, რამ უნდა დაგვაფიქროს. რაო, სპორტიც მხოლოდ მდიდრებისთვის? არ გამოვა, არც არსად გამოსულა. სულ სხვაა გასართობი და სულ სხვაა პროფესიული სპორტი. დაბალი და საშუალო ფენის ოჯახების შვილები ავსებენ და ამოძრავებენ ძირითადად დიდ სპორტს. ეს ყველამ კარგად იცის. მაშ რას ვაკეთებთ, ნახტომისთვის კი ვემზადებით, მაგრამ როგორც ჩანს, კარგად არაა გააზრებული ნახტომის მიმართულება. გვეჩვენება, რომ ჩვენი ეკონომიკური ყოფის ფონზე ეს უფრო იქნება ნახტომი... უკან და არა წინ...

ჩვენ ჩვენი გვითქვამს!

ჭადრაკი

ჰასტინგსის ტურნირი

## გაგუნაშვილი პირველია

ჰასტინგსის ცნობილ, 82 წლიან ისტორიის მქონე ტურნირზე გამარჯვებას ქართველმა დიდოსტატმა, 21 წლის **მერაბ გაგუნაშვილმა** მიაღწია. ბოლო ტურში მერაბი მეტოქეს დაუზავდა, 7 ქულა დააგროვა და მიუხედავად იმისა, რომ 7 ქულა რუსმა **ვალერი ნევეროვმაც** მოგროვა, კოეფიციენტი ქართველს უკეთესი ჰქონდა და პირველობაც ერგო. მერაბი ჰასტინგსში რეიტინგით საუკეთესო იყო - 2611, თუმცა, ცხადია, ეს გამარჯვების გარანტიას არ იძლეოდა, რადგანაც მეტოქენი საკმაოდ ძლიერები ჰყავდა.

ტურნირზე გამოსარჩევი ერთი ფაქტიცაა: 12 წლის ინდოელმა **სრინათ ნარაინანმა** 5.5 ქულის აღება შეძლო და საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა, რაც, ეჭვი არ არის, ამ ასაკისთვის ძალიან კარგი შედეგია.

პაულ კერესის მემორიალი

## დაგეგმილი და დაუგეგმავი

მესამე ტურში, როგორც გუშინ ვივარაუდეთ, C ჯგუფში მოთამაშე **მაკა ფურცელაძემ** ყველაზე დაბალრეიტინგიანი, ესტონელი **ტუული ვაჰტრა** შავებით იოლად დაამარცხა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. მაკას სამიდან სამი ქულა აქვს და გამარჯვების უმთავრესი ფავორიტია, თუმცა მას სერიოზული მდევარი და კონკურენტი ჰყავს ესტონელი **სერგეი ჟუკინის** სახით. სერგეის მაკაზე დიდი რეიტინგიც აქვს (2357-2308) და გამოცდილებაც, მაგრამ ჯერ ერთი, ის ქართველს ნახევარი ქულით ჩამორჩება და მეორეც, დღევანდელ ლიდერთა პარტია მხოლოდ მერვე, ბოლოსწინა ტურში გაიმართება, იქამდე კი, შესაძლოა, ყველაფერი გაირკვეს. მეოთხე ტურში ფურცელაძე თეთრებით ესტონელი **ლეილი პიარნპუუს** (2190) ხვდება.

მაკას მესამე ქულას ველოდით, მაგრამ A ჯგუფში მოთამაშე **მალხაზ სულაშვილის** მარცხი ნამდვილად გვემცხეთა: მართალია, შავებით წააგო, მაგრამ ჯერაც უწოდებო, მხოლოდ ფიდეს ოსტატ ესტონელ **ალექსანდრ ვოლოდინთან** (2354) თუ დამარცხდებოდა, არ გვეგონა, მით უფრო, რომ პირველ ორ ტურში მალხაზმა საკმაოდ ძლიერ მოჭადრაკეებთან ქულანახევარი დააგროვა. ახლა დაწინაურებულ კვარტეტს სულაშვილი ნახევარი ქულით ჩამორჩება და მეხუთე-მეშვიდე ადგილებს იყოფს 1.5 ქულით. მეოთხე ტურში მალხაზი თეთრებით ლატვიელ **იანის კლოვანსს** (2448) ეთამაშება.

**ზვიად შათირიშვილი**

ძიუდო

## საგარეჯო რჩება, თუმცა სამ ფალავანს კარგავს

ძიუდოს კლუბ „საგარეჯოს" მოჭიდავეები ტოვებენ - ევროპის მოქმედი ჩემპიონი **ზაზა კედელაშვილი** (66), ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** შემცვლელი **ირაკლი ცირეკიძე** (90) და მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს პრიზიორი **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე) გაისად თურქულ „ისტანბულში" იჭიდავებენ. თუმცა, ახლავე დაგამშვიდებთ - „საგარეჯო" არსებობას აგრძელებს და ისევ იჭიდავებს ევროპის საკლუბო პირველობაზე.

არადა, როცა სამი წამყვანი ძიუდოისტის გასხვისების ამბავი გავიგეთ, თქვენი არ იყოს, ჩვენც შიშმა შეგვიპყრო. მით უფრო, ბუდაპეშტიდან, ევროპის საკლუბო პირველობიდან ისევ ხელცარიელი დაბრუნებული კლუბის ხელმძღვანელობა „საგარეჯოს" მომავალზე ორაზროვნად ლაპარაკობდა. ის სიტყვები ახლა ერთბაშად წამოტივტივდა, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** დაგვამშვიდა და გვითხრა, რომ „საგარეჯო" აგრძელებს არსებობას და ევროპის საკლუბო ტურნირში უეჭველად გამოვა.

კახეთის გუბერნატორად დანიშნულმა ნაცვლიშვილმა ისიც გვითხრა, რომ როცა ამ ტრიოს თურქებმა მიმართეს, მაშინ „საგარეჯოში" ბევრი რამ ბოლომდე გარკვეული მართლაც არ იყო. კერძოდ, სპონსორთა საკითხი. თან, ახალ სამსახურში მისულს უამრავი საქმე დახვდა და კლუბისთვის ვერც ძველებურად იცლიდა. ასეთ პირობებში ბიჭებს ხელსაყრელ შეთავაზებაში ხელი არ შეუშალა. მით უფრო, თურქები სასწრაფოდ ითხოვდნენ პასუხს...

მას შემდეგ კლუბში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა - სპონსორად შეიგულეს „ნატახტარი", რომელიც ბრძოლით დაღლილ ბიჭებს მხოლოდ ლიმონათით გააგრილებს და არა ლუდით. კლუბში შარშანდელ სპონსორთა ნაწილიც რჩება, თუმცა ძირითადი დამფინანსებელი მაინც „ნატახტარი" იქნება. კლუბმა ევროპის საკლუბო პირველობაში მონაწილეობაზე განაცხადი უკვე გააგზავნა. ნაცვლიშვილი სხვა სიახლეებსაც ელის, თუმცა საქმის მოგვარებამდე დეტალებზე საუბარი არ ისურვა.



წლის საუკეთესო სპორტსმენი ზაზა კედელაშვილი თურქულ ისტანბულში გადადის

ცხადია, ცუდია, როცა შენს წამყვან ფალავნებს მეტოქეს უთმობ - შენ ხომ სუსტდები, მასაც აძლიერებ, მაგრამ ამჯერად ეს ობიექტურმა პირობებმა გამოიწვია. მეტიც, შეიძლება ითქვას, „საგარეჯო" ახალი სეზონისთვის ძალებს იკრებს. კლუბის ხელმძღვანელობა წლევანდელ სეზონს უფრო მოსამზადებლად იყენებს, გაისად კი სერიოზული გუნდის გაკეთებას გეგმავს. აღდგომა და ხვალეო - მისი გაძლიერების მეტი არც ჩვენ გვინდა რამე, წლეულს კი „საგარეჯო" უზბეკ ლეგიონერს, მძიმეწონოსან **ადბულო ტანგრიევსაც** მოისაკლისებს. იმის მიუხედავად, რომ აზიის წლევანდელ პირველობაზე მან ბრინჯაო მოიპოვა (მეოთხედფინალში მომავალ გამარჯვებულთან, იაპონელ მსოფლიო ჩემპიონ **იასუიუკი მუნეტასთან** წააგო), შარშან ევროპის საკლუბო ტურნირში სუსტი გამოსვლა არ აპატიეს.

სამაგიეროდ, იმავე ტურნირში არანაკლებ უფერული გამოსვლა მიუტევეს ირანელ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **არაშ მირესმაილს** (66) და კონტრაქტი ერთი წლით გაუგრძელეს. ახლახან დამთავრებულ აზიის ზემოაღნიშნულ პირველობაზე ამან მხოლოდ ფინალი წააგო მონღოლ ოლიმპიურ პრიზიორ **ხაშბაატარ ჩაგანბაატართან**, თუმცა არ გვგონია, ჩვენები მისით კმაყოფილები იყვნენ. შესაძლოა, საგაისო სეზონზე ფიქრში გართულმა ნაცვლიშვილმა ახალი ხალხის ძებნაში დრო და ფულიც დაზოგა. ისიც საკითხავია, სპარსი 66 კილოში იჭიდავებს თუ ზემოთ? აზიის პირველობაზე 66-ში გამოვიდა, თუმცა ბოლო ხანებში არც სამოცდაცამეტია მისთის უცხო. თან, ნაცვლიშვილმა ჩამოსვლაზე უკვე შეიპირა ბრაზილიელი მსოფლიო ჩემპიონი **ჟოაო ჟუნიორი** (66), რომელმაც „საგარეჯოში" შარშან ტრავმის გამო ვერ იჭიდავა. ამავე წონაში გვყავს **მინდია ხომიზურიც**...

„საგარეჯოში"რჩებიან სომეხი ევროპის ჩემპიონი **არმენ ნაზარიანი** (60), უკრაინელი ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **რომან გონტიუკი** (81) და გაბერძნებული ქართველი, ოლიმპიური ჩემპიონი **ილიას ილიადისი (ჯარჯი ზვიადაური)**. ცხადია, კლუბში ზემოაღნიშნული სამეულის გარდა, სხვა ქართველებიც რჩებიან და წარმატების იმედი წლევანდელ ევროპის საკლუბო პირველობაზეც რჩება.

თუმცა ეს მაინც არაა ის გუნდი, რომლის შექმნაც თავიდან იგეგმებოდა. ასეთი შემადგენლობის შეკრებას 2008 წლისთვის ვარაუდობენ, იქამდე კი თავად საკლუბო შეჯიბრების ფორმატი იცვლება - უკვე ამ წლიდან თექვსმეტივე კლუბი ერთ ქალაქში, ერთ ტურნირად იჭიდავებს ყოველგვარი წინასწარი და შესარჩევი ეტაპების გარეშე.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

გუშინ გამოქვეყნდა ATP-ის და WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტები. ჩვენს ჩოგბურთელებს ამ სეზონში თამაში ჯერ არ დაუწყიათ, თუმცა მათაც განიცადეს მსოფლიო კლასიფიკაციაში ცვლილებები. ვაჟთა კლასიფიკაციაში კვლავ სამი ჩოგბურთელი გვყავს: 167 (-3) **ირაკლი ლაბაძე**, 545 (+1) **ლადო ჩიხლაძე** და 1373 (+2) **ნოდარ ითონიშვილი**. წყვილებში ირაკლი ლაბაძე 168-ე ჩოგანია, ლადო ჩიხლაძე - 760-ე. ჩვენი მეორე ჩოგანი ლადო ჩიხლაძე გერმანიის ქალაქ ნუსლოხის "ფიუჩერსში" თამაშობს. ტურნირი 15-ათასიანი, თუმცა ლადოს რეიტინგი ძირითად ბადეში მოხვედრის საშუალებას არ აძლევს - ჩიხლაძე საკვალიფიკაციო ტურნირში განთესეს მეორე ნომრად. პირველ წრეში მან დაისვენა, მეორეში კი გერმანელ **პატრიკ ტოუბერტს** შეხვდება.

გთავაზობთ ქართველ ქალთა

კლასიფიკაცია

## სამნი ტამპაში და მცირე ცვლილებები

დღევანდელ მდგომარეობას: 141 (+1) **მაკა ჩახნაშვილი**, 300 (+2) **ანა ტატიშვილი**, 325 (+2) **სოფიო მელიქიშვილი**, 540 (+1) **სალომე დევიძე**, 693 (+1) **სოფიო შაფათავა**, 772 (+3) **ეკა გორგოძე**, 898 (+2) **მანანა შაფაქიძე**, 1110 (+2) **თეონა ცერცვაძე** და 1363 (+2) **მარიამ ქურდაძე**.

ამერიკულ ტამპაში იწყება 25-ათასიანი ტურნირი ქალთა შორის. საკვალიფიკაციო ტურნირში პირველ ნომრადაა განთესილი მსოფლიოს მე-300 ჩოგანი **ანა ტატიშვილი**. პირველ წრეში ანამ ამერიკელი **ქრისტინა მაკჰეილი** დაამარცხა - 6:1, 6:2 და ახლა მის თანამემამულე **ჯოდი კენოიერს** შეხვდება. **სოფიო მელიქიშვილი** მე-5 ნომრად განთესეს, მან პირველ წრეში მექსიკელ **მელისა ტორეს-სანდოვალთან** წააგო - 5:7, 2:6, **სალომე დევიძე** კი კოლუმბიელ **პაულა საბალასთან** დამარცხდა - 1:6, 5:7.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# უეიდი დაბრუნდა, მაიამიმ მოიგო

## ფილ ჯექსონის მე-900 გამარჯვება

**ლეიკერსი-დალასი 101:98**

27:21, 21:30, 20:26, 33:21

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (26 ქ. 8 მ. 6 პ), უოლტონი (21 ქ. 6 მ), ვუიაჩიჩი (16 ქ), ტურიაფი (13 ქ), ს. პარკერი (11 ქ), ბინუმი (6 ქ. 8 მ).

**დალასი:** ნოვიცკი (29 ქ. 13 მ), ჯოშ ჰოვარდი (20 ქ. 9 მ), სტეკჰაუსი (14 ქ), ტერი (12 ქ. 7 პ), ჰარისი (12 ქ).

"დალასი" ამ შეხვედრას ზედიზედ 13 მოგებით შეხვდა და სულ ცოტა დააკლდა იმისთვის, რომ ეს სერია გაეგრძელებინა.

ბოლო მეოთხედის წინ, სტუმრები 9 ქულით იგებდნენ და დასკვნით 12-წუთეულში დარტყმა იქედან მიილეს, საიდანაც ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. მატჩის გმირი არა **კობი ბრაიანტი**, არამედ **საშა ვუიაჩიჩი** გახდა, რომელმაც 16 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა. ამ 16 ქულიდან, ცხრა მან ბოლო მეოთხედში ჩააგდო, ხოლო საფინალო სირენამდე 28 წამით ადრე, მისმა ზუსტმა სამქულიანმა შეხვედრის ბედი "ლეიკერსის" სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მასპინძლებმა კარგი საჩუქარი გაუკეთეს თავიანთ დამრიგებელ **ფილ ჯექსონს**. ამ ლეგენდარულმა მწვრთნელმა კარიერაში მე-900 გამარჯვება იზეიმა. ჯექსონს NBA-ის ისტორიაში მოგებათა რაოდენობით მეცხრე ადგილი უკავია. მან 900 გამარჯვების მისაღწევად ყველაზე ნაკლები მატჩი (1264) იმყოფინა. შედარებისთვის, იმავე ზღვარის გადასალახად "მაიამი ჰიტის" მწვრთნელ **პატ რაილის** 1278 მატჩი დასჭირდა.

"ლეიკერსისთვის" ეს ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იყო. არადა, გუნდი სასტარტო ხუთეულის წევრების - **ლამარ ოდომისა** და **კვამე ბრაუნის** გარეშე თამაშობს.

**მემფისი-სან ანტონიო 96:110**

21:28, 24:29, 29:31, 22:22

**მემფისი:** გასოლი (24 ქ. 6 მ), მ. მილერი (14 ქ. 8 მ), დ. სტაუდმაიერი (13 ქ), ა. ჯონსონი (10 ქ. 7 მ).

**სან ანტონიო:** ჯინობილი (34 ქ. 5 ჩ), ჰორი (18 ქ), ფინლი (12 ქ. 7 მ), ბოუენი (10 ქ), დანკანი (10 ქ. 9 მ. 6 პ), უდრიხი (7 ქ. 6 პ), ობერტო (4 ქ. 8 მ).

"სან ანტონიოს" უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა. ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტს ზედიზედ სამი წაგება დაუგროვდა და რეგულარულის აუთსაიდერთან მარცხი მის გეგმებში ნამდვილად არ შედიოდა.

სტუმრებს მატჩის ჩატარება ძირითადი გამთამაშებლის - **ტონი პარკერის** გარეშე მოუწიათ. ფრანგმა ბარძაყის ტრავმა მიიღო და სავარაუდოდ, კიდევ ერთ შეხვედრას გამოტოვებს. თამაში არ წაუვიდა **ტიმ დანკანსაც**, რომელმაც ჩვეული ორმაგი დუბლიც კი ვერ დააგროვა, თანაც, პირველი ხუთი ტყორცნიდან ოთხი არაზუსტად შეასრულა.

ამ პირობებში, "სპურსში" ლიდერის როლი **მანუ ჯინობილიმ** იკისრა. მან თამაშიდან 15-დან 10-ჯერ ზუსტად ისროლა, 8-დან 6 სამქულიანი (კარიერის რეკორდი) ჩააგდო, 5 ჩაჭრა შეასრულა და საბოლოოდ, 34 ქულით დაასრულა შეხვედრა.

სულ კი, "სან ანტონიომ" მატჩში 14 სამქულიანი ჩააგდო, რაც ამ სეზონის რეკორდი გახლავთ.

**მინესოტა-ჰიუსტონი 103:99 (ო)**

24:21, 20:19, 27:22, 17:26, 15:11

**მინესოტა:** გარნეტი (26 ქ. 13 მ. 5 პ), ბლაუნტი (21 ქ. 10 მ), რ. დევისი (16 ქ), ჰასელი (14 ქ. 6 მ), მ. ჯეიმსი (12 ქ. 10 მ).

**ჰიუსტონი:** მაკგრეიდი (31 ქ. 6 მ. 4 პ), ბატიე (20 ქ), ჯუვან ჰოვარდი (19 ქ), მუტომბო (4 ქ. 13 მ).

"მინესოტა" ოვერტაიმების გუნდია. "მგლებმა" ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგეს და აქედან ბოლო სამი დამატებით დროში.

მასპინძლებს "ჰიუსტონის" დასამარცხებლადაც ოვერტაიმი დასჭირდათ. დამატებით 5-წუთეულში თავდაპირველად "როკეტსი" დაწინაურდა, მაგრამ როცა **გარნეტმა და ბლაუნტმა** ზედიზედ ექვსი ქულა ჩააგდეს და თავისი გუნდი 4 ქულით დააწინაურეს, სტუმრებმა მეტოქის დაწევა ველარ შეძლეს.

როგორც იცით, "ჰიუსტონი" ორ კვირაზე მეტია თავისი ლიდერის, **იაო მინის** გარეშე თამაშობს, თუმცა გუნდს ჩინელი ცენტრის არყოფნა არ დატყობია - "როკეტსმა" ულიდეროდ 7-დან 5 მატჩის მოგება მოახერხა. ეს პირველ რიგში **ტრეისი მაკგრეიდის** შედეგიანი თამაშის წყალობით მოხდა. ვეტერანმა ფორვარდმა ბოლო 5 მატჩში 4-ჯერ შეძლო 30 და მეტი ქულის დაგროვება.

**ორლანდო-ბოსტონი 87:79**

29:17, 25:21, 12:18, 21:23

**ორლანდო:** გ. ჰილი (21 ქ. 8 მ), დუაიტ ჰოვარდი (18 ქ. 12 მ), მილიჩიჩი (12 ქ. 3 დ), ბეტი (11 ქ. 10 მ).

**ბოსტონი:** ტ. ალენი (21 ქ. 9 მ. 7 ჩ), შჩერბიაკი (15 ქ), უესტი (13 ქ), ა. ჯეფერსონი (12 ქ. 7 მ).




დუეინ უეიდმა მაიამის მოაგებინა

ტრავმით გამოწვეული სამმატჩიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულმა **გრანტ ჰილმა** 21 ქულა დააგროვა და დიდი წვლილი შეიტანა თავისი გუნდის ზედიზედ მეოთხე გამარჯვებაში.

ორივე გუნდმა შეტევაში საშინლად ითამაშა. "ორლანდომ" თამაშიდან ტყორცნების 37 პროცენტი გამოიყენა, "ბოსტონის" ანალოგიური მაჩვენებელმა კი, 31 პროცენტი შეადგინა. გარდა ამისა, გუნდებმა საერთო ჯამში 40 შეცდომა (23 - "ორლანდომ", 17 - "ბოსტონმა) დაუშვეს. ყველაფერმა ამან, მატჩის სანახაობრივ მხარეზე უარყოფითად იმოქმედა.

"ჰიუსტონისგან" განსხვავებით, "სელტიქსს" აშკარად დაეტყო თავისი ლიდერის - **პოლ პირსის** არყოფნა. ამ კალათბურთელმა ტრავმის გამო მერვე შეხვედრა გამოტოვა და "ბოსტონმაც" ბოლო 10 მატჩში რვაჯერ წააგო.

**ფინიქსი-გ. სტეიტი 128:105**

29:30, 32:23, 32:23, 35:29

**ფინიქსი:** ბარბოზა (26 ქ), ჯეიმს ჯონსი (25 ქ), მერიონი (24 ქ. 17 მ. 3 ჩ. 3 დ), ნეში (14 ქ. 10 პ), დიაო (10 ქ. 8 მ), ა. სტაუდმაიერი (10 ქ. 11 მ), ბელი (9 ქ. 7 პ).

**გ. სტეიტი:** ელისი (22 ქ. 3 ჩ), ბ. დევისი (17 ქ), აზუბუიკი (16 ქ), პიეტრუსი (15 ქ), დანლივი (15 ქ), ბიედრინსი (7 ქ. 17 მ. 2 დ).

"ფინიქსის" თითქმის მთელმა შემადგენლობამ ძალიან კარგად ითამაშა და ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა შეძლო 10 ან მეტი ქულის დაგროვება. თუ **ნეშის, სტაუდმაიერისა** თუ **მერიონის** შედეგიანი თამაში არავის გაკვირვებია, **ჯეიმს ჯონსის** 25 ქულა ყველასთვის დიდი მოულოდნელობა იყო. "სანსის" რეზერვისტს 2 ქულა დააკლდა იმისთვის, რომ კარიერის რეკორდი გაემეორებინა. საბოლოოდ, მან დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "ფინიქსმა" ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. სულ კი, ამ გუნდს ბოლო 24 მატჩში 22 მოგება დაუგროვდა.

გამორჩეული იყო ეს მატჩი სტივ ნეშისთვის. მან კარიერაში მე-1000 სამქულიანი ჩააგდო და იმ ცხრა კალათბურთელს შორის შევიდა, ვისაც ერთდროულად 10 ათასი ქულა, 5 ათასი პასი და 1000 სამქულიანი აქვს აქტივში.

საერთოდ, "ფინიქსმა" აქცენტი სწორედ სამქულიან ტყორცნებზე გადაიტანა. თავიდან ამ ტაქტიკამ არ გაამართლა - მასპინძლებმა პირველ მეოთხედში ცხრიდან ვერცერთი შორეული ბურთი ვერ ჩააგდეს, სამაგიეროდ, დარჩენილ სამ მეოთხედში 12 სამქულიანი მოათავსეს კალათში.

"გოლდენ სტეიტი" კარგახანი ებრძოდა მეტოქეს, მაგრამ, როცა მესამე მეოთხედში "ფინიქსმა" ერთი მონაკვეთი 11:0 მოიგო და 79:61 დაწინაურდა, სტუმრებმა წინააღმდეგობა შეწყვიტეს.

**პორტლენდი-მაიამი 90:93**

30:22, 30:30, 17:17, 13:24

**პორტლენდი:** ბ. რუა (18 ქ), რენდოლფი (15 ქ), ოლდრიჯი (14 ქ. 6 მ), უებსტერი (12 ქ. 7 მ), უდოკა (9 ქ. 6 მ), მაგლოირი (8 ქ. 7 მ), ჯეკი (7 ქ. 11 პ).

**მაიამი:** უეიდი (33 ქ), კაპონო (19 ქ), ჰასლემი (12 ქ. 10 მ), დ. რაიტი (12 ქ), მურნინგი (5 ქ. 4 დ).

**დუენ უეიდი** დაბრუნდა და "მაიამის" მნიშვნელოვანი გამარჯვება მოაპოვებინა. მოქმედი ჩემპიონი, რომელსაც ამ მატჩამდე ზედიზედ 5 წაგება ჰქონდა, თითქმის სულ მდევრის როლში იყო. პირველ ტაიმში "პორტლენდი" 16 ქულითაც კი იგებდა, მაგრამ უეიდმა პირველ ნახევარში 25 ქულა დააგროვა და სწორედ მან გააბათილა ეს ჩამორჩენა.

მასპინძლებმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშეს. პირველში 60 ქულა დააგროვეს, მაგრამ მეორეში მხოლოდ 30 ქულის მოპოვება შეძლეს და მოგებული თამაში დაუთმეს მეტოქეს.

**ტორონტო-ვაშინგტონი 116:111**

31:22, 26:29, 27:19, 32:41

**ტორონტო:** ბოში (24 ქ. 15 მ. 5 პ), ფორდი (20 ქ), ე. პარკერი (16 ქ. 6 მ. 6 პ), გრემი (15 ქ), კალდერონი (13 ქ), ბარნიანი (11 ქ), გარბახოსა (7 ქ. 6 მ).

**ვაშინგტონი:** არენასი (33 ქ), კ. ბატლერი (24 ქ. 8 მ), ჯეიმისონი (17 ქ. 14 მ), ჰეიესი (12 ქ), ჰაივუდი (10 ქ).

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ოტავა-ფილადელფია 6:1**

2:0, 3:1, 1:0

**გოლები:** 1:0 ალფრედსონი-12 (რედენი-10, მეზაროში-19), 2:0 კორვო-6 (პრისინგი-17, ალფრედსონი-24), 2:1 უმბერგერი-9 (იგერი-4), 3:1 ჰიტლი-24 (ვოლჩენკოვი-10), 4:1 ჩენესი-1 (შუბერტი-10, ვოლჩენკოვი-11), 5:1 ჰიტლი-25 (რედენი-11, კ. კელი-11), 6:1 კ. კელი-7 (ჰიტლი-28, ალფრედსონი-25).

**ჩიკაგო-ფინიქსი 2:4**

1:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 1:0 შარპი-6 (სალმელაინენი-5, ჯ. ჰამილტონი-11), 1:1 რიონიკი-5 (როჩი-6, ჟოვანოვსკი-13), 1:2 ზიგომანისი-7 (რიონიკი-6, ზ. მიხალეკი-18), 1:3 სიოსტრიომი-4 (სკაჩარდი-5), 1:4 საპრიკინი-10 (რაინპრეხტი-6, ნოლანი-16), 2:4 ბონდრა-4 (ლაპოინტი-5, ბიფულიენი-1).

**ვანკუვერი-ფლორიდა 4:3 (ბ)**

1:0, 0:1, 2:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ლინდენი-6 (ჰ. სედინი-37, ბიეკსა-16), 1:1 პელტონენი-6 (უეისი-12), 1:2 ვან რინი-4 (ო. იოკინენი-27, ჰორტონი-19), 2:2 ნესლუნდი-13 (დ. სედინი-24), 3:2 ბ. მორისონი-11 (ნესლუნდი-17, ს. სალო-12), 3:3 გ. კემპბელი-3 (პელტონენი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** კესლერი (ვანკუვერი), მონტადორი (ფლორიდა), გრინი (ვანკუვერი).

**პიტსბურგი-ტამპა ბეი 2:3 (ბ)**

0:0, 1:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 კრეიგი-10 (სენტ ლუისი-28, ლეკავალიე-31), 1:1 კროსბი-20 (რეკი-25), 1:2 ტარნავსკი-2 (კრეიგი-10, ბ. რიჩარდსი-22), 2:2 რეკი-10 (კროსბი-44, მალკინი-21).

**ბულიტები გაიტანეს:** სენტ ლუისი (ტამპა ბეი).

**ანაჰაიმი-დეტროიტი 4:2**

0:0, 3:1, 1:1

**გოლები:** 1:0 მოენი-6 (პალსონი-11, ო'დონელი-9), 1:1 სამუელსონი-11 (კრონვალი-10, ლანგი-21), 2:1 მელინი-1 (სელიანე-29), 3:1 გეტცლაფი-17 (კუნიტცი-17, ს. ნიდერმაიერი-32), 3:2 ჰოლმსტრიომი-9 (ზეტერბერგი-13, ლიდსტრიომი-24), 4:2 რ. ნიდერმაიერი-4 (ო'დონელი-10).

**მონრეალი-ნიუ ჯერსი 0:3**

0:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 რუპი-3 (მარტინი-14, რაფალსკი-23), 0:2 ჯონტა-18 (რაფალსკი-24, გომესი-26), 0:3 ჯონტა-19 (ელიაში-24, გომესი-27).

კალათბურთი

### იაო მინი ველოსიპედზე გადაჯდა

"ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრალური თავდამსხმელის **იაო მინის** აღდგენითი პროცესი დაგეგმილზე სწრაფად მიმდინარეობს. როგორც იცით, მინმა 23 დეკემბერს მარჯვენა ფეხი მოიტეხა და ექიმების დიაგნოზით, 6-8 კვირა ვერ შეძლებდა თამაშს. სავარაუდოდ, ჩინელი თებერვლის შუა რიცხვებში უნდა დაბრუნებოდა მოედანს, მაგრამ ახლა აცხადებენ, რომ იაო უკვე მომავალი თვის პირველ რიცხვებში იქნება მწყობრში.

როგორც "ჰიუსტონის" ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, იაო მინი უკვე სტაციონალურ ველოსიპედზე ვარჯიშობს და მალე სირბილსაც დაიწყებსო.

ფორმულა 1

### პრეზენტაცია უმანქანოდ

იტალიურმა "ფერარიმ" ახალი სეზონისთვის თავისი გუნდის პრეზენტაცია 14 იანვარს დანიშნა - ამ დღეს ჟურნალისტების წინაშე უნდა წარდგნენ პილოტები და აგრეთვე უნდა წარმოადგინონ ახალი მანქანა.

მაგრამ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ 2007 წლის სეზონისთვის შექმნილი ახალი ბოლიდის მომზადება 14 იანვრისთვის ვერ მოესწრება. ამიტომაც, პრეზენტაცია მანქანის გარეშე ჩატარდება.

ასე რომ, 5 დღის შემდეგ დაგეგმილ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ "ფერარის" შეფები და გუნდის ძირითადი პილოტები - ფინელი **კიმი რაიკონენი** და ბრაზილიელი **ფელიპე მასა**. რაც შეეხება მანქანას, მას პრეზენტაციის მეორე დღეს მასა გამოცდის. კიმი რაიკონენი კი, ახალი ბოლიდის საჭეს ერთი კვირის შემდეგ მიუჯდება.

ჩოგბურთი

### ჰიუიტმა ახალი მწვრთნელი იპოვნა

ავსტრალიელ ჩოგბურთელ **ლეიტონ ჰიუიტს** ახალი მწვრთნელი ჰყავს. ამიერიდან, ავსტრალიის პირველ ნომერს, დევისის თასის გუნდში მისი ყოფილი პარტნიორი **სკოტ დრეიპერი** გაწვრთნის.

თუ ჰიუიტმა ავსტრალიის ღია პირველობისთვის გამოჯანმრთელება მოასწრო, მაშინ ამ ტურნირზე ლეიტონისა და დრეიპერის თანამშრომლობის დებიუტი შედგება და თუ შედეგები დამაკმაყოფილებელი იქნა, მაშინ ეს წყვილი ერთად მუშაობას გააგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ ჰიუიტი გასულ კვირას მწვრთნელის გარეშე დარჩა. ბოლოდროინდელი ნარუმატებლობის გამო, ჩოგბურთელთან მუშაობა არ მოისურვა **როჯერ რაშიდმა**.

კრივი

### ალი საკუთარ იუბილეს დააკლდება

ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე **მუჰამედ ალი** 17 იანვარს 65 წლის ხდება. საზეიმო ცერემონიალი თავად მოკრივის ცენტრში ჩატარდება, თუმცა მას იუბილარი ვერ დაესწრება.

როგორც ცნობილია, ალი პარკინსონის ავადმყოფობითაა დაავადებული და ის იშვიათად ჩნდება ფართო საზოგადოების წინაშე. თუმცა მოკრივის იუბილეს ორგანიზატორები მის თაყვანისმცემლებს მოუწოდებენ, რომ ალის მოსალოცი ბარათები გაუგზავნონ, რომლებიც აუცილებლად გადაეცემა იუბილარს.

ბიატლონი

**მსოფლიო თასი. IV ეტაპი**

**ობერჰოფი. გერმანია**

მამაკაცები

**10 კმ. სპრინტი.** 1. კრუგლოვი (რუს) - 28:38.4 (1+0); 2. გრაისი (გერ) - +3.5 (1+0); 3. ვუილერმოზი (იტა) - +3.6 (1+1); 4. ჩერეზოვი (რუს) - +28.8 (0+1); 5. იაროშჩენკო (რუს) - +29.5 (1+1); 6. დე ლორენცი (იტა) - +31.3 (1+0).

**12.5 კმ. გამოდევნებით.** 1. კრუგლოვი - 36:18.23 (1+0+0+0); 2. იაროშჩენკო - +28.6 (0+0+1+1); 3. ჩუდოვი (რუს) - +30.1 (0+1+1+1); 4. ჰანევოლდი (ნორ) - +42.5 (0+0+1+0); 5. ბიორნდალენი (ნორ) - +55.1 (1+1+0+1); 6. ბირნბახერი (გერ) - +55.5 (1+1+0+0).

**ესტაფეტა. 4X7.5 კმ.** 1. რუსეთი (ჩერეზოვი, ჩუდოვი, იაროშჩენკო, კრუგლოვი) - 1:26:09.89 (0+8); 2. გერმანია (რიოჩი, ფიშერი, ბირნბახერი, გრაისი) - +41.8 (0+12); 3. ნორვეგია (ბიორნდალენი, ბერგერი, სვენდსენი, ჰანევოლდი) - +2:45.26 (4+15); 4. ავსტრია - +4:48.7 (4+20), 5. ჩეხეთი - +4:48.8 (2+14); 6. შვეიცარია - +5:17.5 (2+13).

**საერთო ჩათვლა:** 1. გრაისი - 320; 2. იაროშჩენკი - 259; 3. ბიორნდალენი (ნორ) - 258; 4. ჩერეზოვი - 258; 5. ფერი (შვედ) - 238; 6. ჩუდოვი - 219.

ქალები

**7.5 კმ. სპრინტი.** 1. ნოინერი (გერ) - 24:18.4 (0+2); 2. ჰენკელი (გერ) - +17.3 (1+0); 3. გლაგოვი (გერ) - +19.7 (0+0); 4. გრუბენი (ნორ) - +25.4 (0+1); 5. ბეი (საფ) - +43.9 (0+1); 6. დონგი (ჩინ) - +47.9 (0+1).

**10 კმ. გამოდევნებით.** 1. გრუბენი - 35:33.76 (0+0+2+0); 2. ბეი - +29.6 (0+1+0+2); 3. ნოინერი - +30.9 (1+3+0+2); 4. კონგი (ჩინ) - +52.4 (0+0+0+1); 5. ვილჰელმი (გერ) - +57.8 (0+0+2+1); 6. ბეკაერი (საფ) - +1:04.5 (0+0+1+1).

**ესტაფეტა. 4X6 კმ.** 1. საფრანგეთი (ბავერელ-რობერი, პერეტო, ბეკაერი, ბეი) - 1:20:58.47 (3+15); 2. გერმანია (გლაგოვი, ჰენკელი, ჰიტცერი, ვილჰელმი) - +6.8 (3+17); 3. ჩინეთი (კონგი, დონგი, იინი, ლიუ) - +20.4 (1+11); 4. ნორვეგია - +1:02.1 (2+12); 5. ბელარუსი - +1:45.9 (1+12); 6. რუსეთი - +3:09.1 (4+17).

**საერთო ჩათვლა:** 1. ჰენკელი - 371; 2. ვილჰელმი - 295; 2. ოლოფსონი (შვედ) - 286; 4. გრუბენი - 268; 5. გლაგოვი - 268; 6. ბეი - 268.

## კრივი

ზემძიმე წონა

# პეტერი პრეტენდენტი გახდა



პეტერი (მარჯვნივ) ტონის უტევს

ახალი საკრივო სეზონი ზემძიმე წონაში პრეტენდენტის სახელის მოსაპოვებლად გამართული საინტერესო ბრძოლით გაიხსნა, რომელშიც ერთმანეთს ნიგერიელი **სამუელ პეტერი** და ქვედა წონებში რამდენიმე ტიტულის ყოფილი მფლობელი **ჯეიმს ტონი** დაუპირისპირდნენ.

ეს მათი მეორე შეხვედრა იყო. პირველი პეტერმა მსაჯთა არაერთსულოვანი გადაწყვეტილებით მოიგო და მის გამარჯვებაში მაშინ ბევრმა შეიტანა ეჭვი. მაგრამ, ამჯერად, "ნიგერიელი კოშმარის" უპირატესობა აშკარა იყო. და ეს იმის მიუხედავად, რომ ტონი მეორე ბრძოლისათვის დიდი მონდომებით მოემზადა.

პეტერს მთელი ბრძოლის განმავლობაში უპირატესობა ეპყრა და, რა თქმა უნდა, სამივე მსაჯმა სწორედ ეს დააფიქსირა. ამგვარად, ნიგერიელმა მოკრივემ, WBC-ს ჩემპიონთან, რუს **ოლეგ მასკაევთან** სატიტულო ბრძოლის უფლება მოიპოვა.

საფინალო გონგის ხმაზე, პეტერმა რინგზე გამარჯვების ცეკვა შეასრულა. ტონიმ კი, ვისაც მარცხენა თვალი უსაშველოდ გასიებოდა, უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი, რითაც ამჯერად მან მარცხი აღიარა (სხვა რა გზა ჰქონდა).

*"ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო ბრძოლაა. მე მისთვის დიდი მონდომებით ვემზადებოდი და მიხარია, რომ გარჯა დამიფასდა"*, - ბრძოლის შემდეგ განაცხადა პეტერმა (28-1, 22 ნოკაუტი), ვისაც ერთმა მსაჯმა 119-108 მოაგებინა, ორმა კი - 118-110.

ბრძოლის მსვლელობისას, მსაჯმა პეტერი ორჯერ გააფრთხილა კეფაში დარტყმისთვის, მაგრამ ამისათვის ნიგერიელისთვის ქულა არ ჩამოურთმევიათ, როგორც ეს ამ ორი მოკრივის წინა ბრძოლაში მოხდა. პეტერმა ერთხელ ტონი რინგზეც დასცა, რაც ამერიკელისთვის პირველი წაქცევა იყო 1994 წლის შემდეგ (მაშინ **როი ჯონს უმცროსმა** დააგდო).

თავის წაქცევაზე ტონი თქვა, პეტერის მუშტს არ წავუქცევივარ, ფეხი გამიცურდაო. წაქცევა იქით იყოს და ამერიკელი რომ ბრძოლის წინ ბაქიაობდა, მაგ თქვენს "კოშმარს" შავ დღეს ვაყრი, რინგიდან გადავაგდებო, ბრძოლის დროს სულ სხვა კაცად წარმოდგა. ვინ იცის, იქნებ ზედმეტი ვარჯიშის გამო იყო, მაგრამ ფაქტია, რომ პრეტენდენტობის მოსურნე მოკრივემ, ვინც მხატვრულ ფილმ "ალიში" შესანიშნავად შეასრულა ლეგენდარული **ჯო ფრეიზერის** როლი, თავისი უნიათო გარჯითაც შეუწყო ხელი პეტერის იოლ გამარჯვებას.

დასაწყისში, თითქოს ტონი უფრო აქტიური იყო, მაგრამ თითქმის მთელი ბრძოლის განმავლობაში, ყოველი რაუნდის მიწურულს, პეტერი წარმატებულ შეტევებს ახორციელებდა, რომელთა წყალობითაც, ყოველ რაუნდში მსაჯები მის უპირატესობას აფიქსირებდენ. ტონი (69-6-3, 43 ნოკაუტი) მეორე რაუნდში დაეცა მას შემდეგ, რაც ნიგერიელისგან მუშტების სეტყვა იგემა.

ტონიმ, ვინც IBF-ის ვერსიით ტიტულებს ფლობდა საშუალო, ზესაშუალო და კრეისერის (მძიმე) წონებში პეტერთან შეხვედრებამდე ცხრა წელი წაუგებლად იბრძოლა, "ნიგერიელი კოშმარისგან" კი, ვისაც პროფესიულ რინგზე ერთადერთი წაგება აქვს (**ვლადიმირ კლიჩკოსგან**), ზედიზედ ორი მარცხი იწვნია. შეგახსენებთ, რომ ტონი ორი წლის წინ WBA-ის ვერსიით ზემძიმე წონაშიც გახდა ჩემპიონი. მაშინ მან **ჯონ რუისს** ქულებით მოუგო, მაგრამ მოგვიანებით, დოპინგზე ჩავარდა, რამაც ტიტული დააკარგვინა.

*"ტონისთან ზედიზედ ორი ბრძოლის მოგება ნამდვილი მიღწევაა და მე ვამაყობ ამით. ხომ ვამბობდი, ნებისმიერ მეტოქესთან მაქსიმალურად დავიხარჯები, რომ ყველას დავანახვო - ზემძიმე წონაში ახალი ჩემპიონი მოდის და მას სხვებმა გზა უნდა მისცენ. ტონი გავიარე, ახლა კი სხვების ჯერია"*, - განაცხადა პეტერმა, ვინც არ მალავს, რომ ზემძიმე წონაში ყველა პრესტიჟული ტიტულის თავის ხელში თავმოყრა აქვს გადაწყვეტილი.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის შეხვდება პეტერი მასკაევს. ნიგერიელის ბულგარელი მწვრთნელი **ივაილო გოძევი** ამბობს, რომ ის ბრძოლის თარიღად მარტს არჩევდა, პრომოუტერ **დინო დუვას** კი აპრილი ურჩევნია. დუვა ამბობს, რომ ჩემპიონთაგან ვინც კი პეტერთან რინგზე გავა, ყველა ინანებს ამას. ის ვარაუდობს, რომ თუ ჩემპიონები ნიგერიელთან შეხვედრას ისურვებენ, მაშინ წლის ბოლოს ყველაზე პრესტიჟულ წონას ერთი ჩემპიონი ეყოლება.

■ ■ ■

პეტერისა და ტონის საპრეტენდენტო ბრძოლის ანდერქარდზე ჩატარდა ქვესაშუალო (იგივე ზე-როჭოს) წონის სატიტულო ბრძოლა, რომელშიც WBA-ის სარტყელისთვის ერთმანეთს ამ სარტყელის მფლობელი, ამერიკელი **ხოსე ანტონიო რივერა** და მისი თანამემამულე **ტრევის სიმსი** შეხვდნენ.

დასაწყისიდანვე უპირატესობას პრეტენდენტი დაეუფლა, ვინც ამ ტიტულს ერთხელ (2003 წელს) უკვე ფლობდა. ცხრა რაუნდის განმავლობაში, რივერას მუშტი არ მოჰკლებია. მეცხრეში მან მეორე ნოკდაუნი იგემა და, მიუხედავად იმისა, რომ ათის დათვლამდე წამოდგა, ნოკაუტს თავი მაინც ვერ დააღწია - სიმსმა მისი დაბომბვა გააგრძელა, რის გამოც რეფერი **ფრენკ სანტორემ** ბრძოლა ტექნიკური ნოკაუტით დაასრულა.

სიმსი (25-0, 19 ნოკაუტი) პროფესიულ რინგზე ჯერაც წაუგებელია. მან პირველად მოპოვებული ტიტული უმოქმედობის გამო დაკარგა. ნაბრძოლევს განაცხადა, უმოქმედობა მომბეზრდა და რინგზეც ამის გამო დავბრუნდი, ახლა კი საუკეთესოებთან ბრძოლებს ვაპირებო.

რაც შეეხება რივერას (38-5-1, 24 ნოკაუტი), მან ტიტული შარშან მოიპოვა მას შემდეგ, რაც ქულებით დაამარცხა მექსიკელი **ალეხანდრო გარსია**, სწორედ ის გარსია, ვის დანოკაუტების შემდეგაც, სიმსი პირველად გახდა ჩემპიონი. სხვათა შორის, რივერამ გარსია ხუთჯერ გაგზავნა ნოკდაუნში, მაგრამ მექსიკელმა ბოლომდე გაძლო და ღირსეულად წააგო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ჩოგბურთი

რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 8120 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4525 |
| 3(3). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 4(5). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2570 |
| 5(4). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2530 |
| 6(6). ენდი როდიკი (აშშ) | 2415 |
| 7(7). ტომი რობრედო (ესპ) | 2375 |
| 8(8). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 2295 |
| 9(9). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 2060 |
| 10(10). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2015 |
| 11(12). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1860 |
| 12(11). ტომი ჰაასი (გერ) | 1855 |
| 13(13). ტომაშ ბერდიხი (ჩეხ) | 1655 |
| 14(16). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1530 |
| 15(17). ენდი მიურეი (ბრიტ) | 1505 |
| 16(14). დავიდ ფერერი (ესპ) | 1475 |
| 17(15). იარკო ნიემინენი (ფინ) | 1460 |
| 18(18). რიშარ გასკე (საფ) | 1385 |
| 19(20). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1315 |
| 20(19). რადეკ სტეპანეკი (ჩეხ) | 1285 |
| 21(22), დმიტრი ტურსუნოვი (რუს) | 1190 |
| 22(21). დომინიკ ჰრბატი (სლოვაკ) | 1183 |
| 23(25). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 1083 |
| 24(23). ხუან კარლოს ფერერო (ესპ) | 1080 |
| 25(24). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1075 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3998 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3532 |
| 3(3). ამელი მორესმო (საფ) | 3391 |
| 4(4). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2523 |
| 5(5). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2215 |
| 6(6). ნადია პეტროვა (რუს) | 2189 |
| 7(7). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2063 |
| 8(8). ელენა დემენტიევა (რუს) | 1875 |
| 9(9). პატი შნიდერი (შვეიც) | 1578 |
| 10(11). დინარა საფინა (რუს) | 1475 |
| 11(10). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1391 |
| 12(12). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1296 |
| 13(13). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1144 |
| 14(14). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1087 |
| 15(15). ფრანჩესკა სკიავონე (იტა) | 1032 |
| 16(16). ანასტასია მისკინა (რუს) | 1000 |
| 17(17). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 968 |
| 18(20). შარა პეერი (ისრ) | 934 |
| 19(19). ანა-ლენა გრონეფელდი (გერ) | 922 |
| 20(18). მარიონ ბარტოლი (საფ) | 881 |
| 21(21). ნა ლი (ჩინ) | 879 |
| 22(22). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 828 |
| 23(23). კატ. სრებოტნიკი (სლოვენ) | 825 |
| 24(24). ვერა ზვონარევა (რუს) | 794 |
| 25(25). ლინდსი დავენპორტი (აშშ) | 745 |

## TV სპორტი

**9 იანვარი. სამშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**09:05** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. აილენდერსი-რეინჯერსი.
**10:05** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სევილია-რეალი.
**12:35** სპორტ-კლუბი.
**12:50** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ვერდერი.
**14:35** ჩოგბურთი. ATP. 1/2 ფინალი. ადელაიდა. ავსტრალია.
**16:10** ავტოსპორტი. DTM-ის სერია. II ეტაპი.
**17:35** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ფიორენტინა-პალერმო.
**19:20** სპორტ-კლუბი.
**19:40** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-ბარსელონა.
**21:30** სპორტინფორმი.
**21:40** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. აილენდერსი-რეინჯერსი.
**23:25** სპორტინფორმი.
**23:35** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2003-04. ფინალი. მონაკო-პორტუ.
**01:25** სპორტინფორმი.
**01:35** კრივი. 2006 წლის საუკეთესო ბრძოლები.
**03:40** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**04:05** სპორტ-კლუბი.
**04:30** ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა ბეი-პიტსბურგი (LIVE).
**07:05** ავტოსპორტი. DTM-ის სერია. II ეტაპი.

**EUROSPORT**

**10:30** რალი-რეიდი. დაკარი 2007. III ეტაპი.
**11:15** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. სიდნეი. ავსტრალია.
**13:15** რალი-რეიდი. დაკარი 2007. III ეტაპი.
**14:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**14:30** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ბეშიქთაში-ვერდერი. ანთალია. თურქეთი.
**15:30** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS140. ბიშხოფშოფენი. ავსტრია.
**17:00** ჩოგბურთი. WTA-ს ტური. სიდნეი. ავსტრალია.
**19:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**19:30** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ბეშიქთაში-ვერდერი. ანთალია. თურქეთი.
**21:00** დართსი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფრიმლი გრინი. ბრიტანეთი (LIVE).
**22:00** კრივი. ბერგამო. იტალია (LIVE).
**00:00** რალი-რეიდი. დაკარი 2007. IV ეტაპი (LIVE).
**00:45** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". გალათასარაი-ფეიენოორდი. ანთალია. თურქეთი.
**02:30** საფეხბურთო პროგრამა. გოლი.
**02:45** რალი-რეიდი. დაკარი 2007. IV ეტაპი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ბეშიქთაში-ვერდერი. ანთალია. თურქეთი.
**13:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხუვენტუდი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - "ეფეს პილსენის თასი". ბეშიქთაში-ვერდერი. ანთალია. თურქეთი.
**17:00** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ხუვენტუდი.
**18:00** ლაკროსი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:45** კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
**21:15** კალათბურთი. ევროლიგა.
**21:30** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. ალბა (გერმანია)-ხიმკი (რუსეთი) (LIVE).
**23:30** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. რეალი (ესპანეთი)-უნიქსი (რუსეთი) (LIVE).
**00:45** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. გრან კანარია (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი (ლიტვა).
**02:30** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ინგლისი**

| II ლიგა | |
|---|---|
| მილტონი-ლინკოლნი | 2:2 |

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ირანი-ჰამბურგი | 1:2 |
| ბრიუგე-ნიურნბერგი | 1:1 |
| ვოლფსბურგი-სტანდარდი | 1:2 |
| საემიროები-შტუტგარტი | 2:1 |
| ბეშიქთაში-ვერდერი | 0:4 |
| ლაციო-მარსელი | 3:1 |
| ბაიერნი-ბენფიკა | 0:0, პენ. 3:4 |

**ჰოკეი**

| შვედეთი | |
|---|---|
| მოდო-ბრინასი | 3:4 |
| მორა-ლულეა | 3:3 |
| ფრიოლუნდა-ჰვ71 | 3:2 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ოკლენდი | |
|---|---|
| ვლიგენი-ტიპსარევიჩი | 7:6, 6:0 |
| გაუდიო-ფერერი | 7:5, 3:6, 1:6 |
| ნიემინენი-ო. როხუსი | 6:7, 1:6 |
| ბრაჩიალი-სიმონი | 6:3, 6:2 |
| კოლშრაიბერი-ორნა | 6:4, 7:5 |
| სერა-ლაპენტი | 6:3, 1:6. 6:4 |
| მონფილსი-მარტინი | 4:6, 4:6 |
| რობრედო-რამირეს იდალგო | 6:2, 6:1 |

| ATP. სიდნეი | |
|---|---|
| სმიტსი-ბერდიხი | 2:6, 5:7 |
| გროსჟანი-ვერდასკო | 4:6, 4:6 |
| სეპი-ჰერნიჩი | 4:6, 2:6 |
| გულბისი-ბაღდატისი | 6:7, 1:6 |
| ჯინეპრი-მაიერი | 6:3, 6:2 |
| ბეკერი-ვოლანდრი | 6:3, 6:2 |
| ლი-კოროლიოვი | 7:6, 3:6, 2:6 |

| WTA. ჰობარტი | |
|---|---|
| ჩაკვეტაძე-დომინგეს ლინო | 6:0, 6:4 |
| ლიხოვცევა-ოპრანდი | 6:7, 1:6 |
| ვინჩი-კასტანიო | 3:6, 4:6 |
| ბრემონი-კრაიჩეკი | 3:6, 6:1, 6:0 |
| სანტანჯელო-კამერინი | 7:5, 2:6, 6:3 |
| მიულერი-საფაროვა | 6:7, 2:6 |
| კირილენკო-მირზა | 4:6, 4:6 |
| ბამერი-ჰარკლროუდი | 7:6, 6:1 |
| ვესნინა-მედინა გარიგესი | 1:6, 3:6 |
| მოლიკი-კოსტანიჩი | 4:6, 6:1, 6:2 |
| მური-ბონდარენკო | 2:6, 6:7 |
| ფორეტცი-ჟენგი | 2:6, 2:6 |
| დულკო-ბარდინა | 1:6, 3:6 |
| ნაკამურა-პენეტა | 7:5, 7:5 |
| არვიდსონი-ს. უილიამსი | 4:6, 0:6 |

| WTA. სიდნეი | |
|---|---|
| დელაკუა-ივანოვიჩი | 3:6, 4:6 |
| სკიავონე-ნა ლი | 4:6, 5:7 |
| გრიონეფელდი-პეერი | 4:6, 2:6 |
| ჰანტუხოვა-ვაიდიშოვა | 1:6, 4:6 |
| ზვონარევა-სტოსური | 1:6, 4:6 |
| გოლოვინი-პენგი | 6:4, 7:5 |
| ფედაკი-ბარტოლი | 7:6, 6:2 |
| შნიდერი-დეშუვინა | 6:3, 4:6, 6:3 |
| სრებოტნიკი-ბოვინა | 6:3, 6:1 |
| იანკოვიჩი-ჰინგისი | 6:4, 4:6, 6:3 |
| დემენტიევა-სუგიამა | 6:7, 7:6, 6:0 |
| საფინა-პრატი | 6:4, 3:6, 2:6 |

## ტრამპლინიდან ხტომა

ოთხი მთის ტურნირი

# იაკობსენი ჩემპიონია



იაკობსენი ჩემპიონობას ზეიმობს

ნორვეგიელი **ანდერს იაკობსენის** გამარჯვებით დასრულდა ტრამპლინიდან მხტომელთა ყველაზე პრესტიჟული, ოთხი მთის ტურნირი, რომლის ბოლო ეტაპი სეზონის აღმოჩენამ, ავსტრიელმა თინეიჯერმა **გრეგორ შლირენცაუერმა** მოიგო, ვისაც სწორედ ასპარეზობის დღეს შეუსრულდა 17 წელი..

ოთხი მთის ბოლო ასპარეზობას ავსტრიის ბიშოფსჰოფენმა უმასპინძლა, რომელზეც სარეკორდო ნახტომი (143 მეტრი) იაპონელ **დაიკი იტოს** ეკუთვნის. მართალია, სარეკორდო ნახტომამდე შლირენცაუერს ბევრი დააკლდა, მაგრამ ორი ცდის ჯამში, მან თითქმის სამი ქულით აჯობა ოთხი მთისა და აბსოლუტური კლასიფიკაციის ლიდერს და პრესტიჟული ტურნირის მეორე ეტაპი (სეზონში კი მეოთხე) მოიგო.

ავსტრიელი თინეიჯერი პირველ ცდაზე 139.5 მეტრზე გადახტა და ლიდერობა იგდო ხელთ, მეორე ნახტომი კი კიდევ უფრო უკეთესი და შორეული გამოუვიდა, რამაც ლიდერობა შეანარჩუნებინა. მეორე ცდა მასზე უკეთესი ჰქონდა იაკობსენს, ვისაც იტოს რეკორდამდე ერთი მეტრი დააკლდა, თუმცა საერთო ჯამში დასაწინაურებლად ეს არ ეყო.

მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიელ მხტომელს ოთხი მთის ტურნირზე მხოლოდ ერთი ეტაპი, - ზალცბურგის, აქვს მოგებული, უფრო სტაბილური გამოსვლების წყალობით, მან პირველი ადგილი შეინარჩუნა, შლირენცაუერი კი მეორე ადგილს დასჯერდა, რითაც ძლიერ კმაყოფილი დარჩა - იუნიორთა შორის მსოფლიო ჩემპიონისთვის უფროსებში დებიუტისთანავე ოთხი მთის ვიცე-ჩემპიონობა უდავოდ დიდი მიღწევაა.

აღსანიშნავია, რომ ტურნირის ბოლო ეტაპის წინ, მოწინავე შვიდეულს მხოლოდ 11 ქულა აშორებდა და ამდენად, ტურნირის ჩემპიონობაზე პრეტენზია ყველას ჰქონდა. ინსბრუკში უხეიროდ გამოსვლის შემდეგ, შლირენცაუერი მეშვიდე ადგილამდე იყო ჩამოქვეითებული, რის გამოც მას ტურნირის მოგების მინიმალური შანსი ჰქონდა. თუმცა დაუძლეველ ბარიერად არც ლიდერთან 17-ქულიანი ჩამორჩენა მოჩანდა.

ახალგამომცხვარმა ავსტრიელმა ვარსკვლავმა თავისი ამოცანა შესანიშნავად შეასრულა, მაგრამ მისდა სამწუხაროდ, ლიდერმაც არ შეირცხვინა თავი.

*"მე დღეს ოცნება ავისრულე და ვფიქობ, მსოფლიოში ჩემზე ბედნიერი ახლა არავინაა"*, - განაცხადა იაკობსენმა, ვინც ოთხი მთის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, სულ მესამე დებიუტანტია, ამ ტურნირის მოგება რომ შეძლო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ბიშოფსჰოფენი (ავსტრია)
პაულ-ოზერლაიტნერის დიდი მთა

**რეკორდი: 143 მეტრი - დაიკი იტო (იაპონია, 2005 წელი)**

**1. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) 291.9; 2. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) 289.1; 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) 275.5; 4. დმიტრი ვასილიევი (რუსეთი) 269.1; 5. თომას მორგენშტერნი (ავსტრია) 262.4...**

ოთხი მთის კლასიფიკაცია

**1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) 962; 2. გრეგორ შლირენცაუერი(ავსტრია) 945; 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) 932; 4. თომას მორგენშტერნი (ავსტრია) 916; 5. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) 910...**

აბსოლუტური კლასიფიკაცია

**1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) 621; 2. გრეგორ შლირენცაუერი(ავსტრია) 584; 3. სიმონ ამანი (შვეიცარია) 538; 4. ანდრეას კიუტელი (შვეიცარია) 458; 5. არტუ ლაპი (ფინეთი) 330...**

ნელ-ნელა დაიძრა საქმე. პარასკევის დისკუსია, დღევანდელი კრიტიკა და ამ კვირაშივე გვექნება რეპორტაჟი ბაკურიანიდან. როგორც გითხარით, გვინდა, რომ ასეთი ბოლო გვერდი ყოველდღე გვქონდეს.

ცხადია, ერთი კაცი ამას ვერ გასწვდება. ვერც ათი. ჩვენი გაზეთის ყველა ჟურნალისტი რომც დავასაქმოთ, მაინც ვერ მოვერევით. ესე იგი, გარე-გარეთაც უნდა დავიწყოთ ძებნა. მაგალითად...

ძველი ლელოელები. ელგუჯა ბერიშვილი და ირაკლი ბერიაშვილი... ალბათ გსმენიათ. დიახ, დიახ... უხერხულობა რომ არ წარმოიშვას, მხოლოდ იმათ დავასახელებ, ვისაც უკვე ჩამოვუგდეთ სიტყვა და წინასწარი თანხმობაც მივიღეთ.

რაღა წინასწარი, ირაკლიმ უკვე გამოაგზავნა რეპორტაჟი ბაკურიანიდან, ახლა სურათებს ველოდებით. პაატა ნაცვლიშვილიც დაგვპირდა. კიდევ ბევრია სასურველი ხალხი. სპორტულებიც და...

თუნდაც "არასპორტული ჟურნალისტები". ისეთი, ვისაც აუცილებლად ექნება სათქმელი, რასაც მის გარდა და მისებურად ვერავინ იტყვის. ან, ვთქვათ, "არაჟურნალისტები". ვერ ვიტყვი და არც გვინდა, რომ სულ ნაცნობი "ფეისები" ან "ვოისები" შევყაროთ. საინტერესო ადამიანი ბევრია და სალაპარაკოც უამრავი.

ჟანრობრივი შეზღუდვა არ იქნება. ვიღაც "მარად თემას" შეეჭიდება, ზოგიერთები უეცრად წამოჭრილ საკითხს გაარჩევენ, ვიღაც, უბრალოდ, ამბავს მოყვება, შეიძლება, ნოველაც დაწეროს, რა იცი, რა ხდება. მწერლებიც გვყავს ჩვენს ხელობაში.

მომავალი ავტორებისთვის: ერთადერთი მოთხოვნაა საინტერესოდ დაწერა და ერთადერთი შეზღუდვა - მოცულობა. რახან ამ გვერდზე ორი წელიწადი, ყოველკვირა მიწერია, პირადი გამოცდილებიდან ვიცი, რომ საუკეთესო ვარიანტია - 4-5 ათასი, მაქსიმუმ 6 000 ასონიშანი! მგონი, ნებისმიერი საკითხზე აზრის გამოსათქმელად ამდენი სრულიად საკმარისია და წასაკითხადაც არავის შეეშინდება, არც დაეზარება.

რა თქმა უნდა, ნაკლებიც შეგიძლიათ! მართალია, ამ გვერდზე გაცილებით მეტი ეტევა, მაგრამ დანარჩენზე რუბრიკის წამყვანი იზრუნებს. ასეთ შემთხვევაში შეიძლება, ორი ავტორი შეაამხანაგოს ან სხვაგვარად გააზავოს - საცნობარო მასალით, ფოტოთი... შეიძლება, ფოტოგამოფენაც გავხსნათ შიგვე... კოტორა "ლელოშია", ხომ იცით.

ჰოოო, შეიძლება, თვითონ სპორტსმენებსაც დავაწერინოთ! ეს ჩვეულებრივი ამბავია სხვაგან, მაგრამ ჯერჯერობით უჩვეულო - ჩვენთან. ჯერ არ ვიცით, რა გამოგვივა, მაგრამ შევეცდებით.

ახლავე ვცადოთ. დღეს უნდა დამეწერა ყველაზე ჯიგრულ... ერთ-ერთ, რა თქმა უნდა, სახეობაზე - ხელბურთზე. ფულ კონტაქტ! თითქმის რაგბი, ოღონდ პარკეტზე! ვისაც ერთხელ მაინც გითამაშიათ, დამეთანხმებით.

რა უნდა დამეწერა მე ხელბურთზე? უნდა მომეყოლა ზღაპრები. ამბერკი ტაბიძე რომ გამექცა და ჯიმშერ დვალიშვილმა რომ პასი მომაწოდა! მართლა, კაცო! უნივერსიტეტის ჩემპიონატზე! რაღაცას მოვახლაფორთებდი ლატვიასთან თამაშზე, მაგალითად, ჩვენ სულ 6 კაცით რომ ვუტევდით და ისინი რომ ექვსით. იმიტომ, რომ ხაზის მოთამაშის შტატი შემცირებული გვქონია. ან არადა, იმ ევროკავშირელთა მწვრთნელი რომ მივიდა სამდივნოსთან და ტაბლოს მუშაკებს მედიდურად შესძახა: ნე ნადო ვოროვატ! გოლებს გულისხმობდა...

მერე გამახსენდა შათირა. ჩვენი, ჭადრაკზე მწერალი ჟურნალისტი. ხელბურთელი! მე მგონი ეხლა დაანება თავი, თუ ჯერ არც დაუნებებია. საქართველოს ჩემპიონატების ბომბარდირი, თან მგონი არაერთგზის. დაჯდეს და დაწეროს!

დაწერა კიდეც. ერთი ექვსიათასში ვერ ჩაეტია, თორემ სხვა არაუშავს. ასე რომ, დღეს ცოტა მეტი ტექსტი გვაქვს, უკაცრავად...

მაშ ასე, კრიტიკის ქვეგანყოფილება იხსნება ზვიად შათირიშვილის შვიდმეტრიანით.

**მამუკა ჩიხლაძე,**
კონტრიბუტორი

# ნე ნადო ვოროვატ!



**ზვიად შათირიშვილი**

როცა ქვეყნის უპირველესი გუნდი მარცხდება, უმალ ისმის კითხვა: რას აკეთებდა ფედერაცია, როგორ იზრუნა ნაკრების მომზადებაზე? ჩვენს გაზეთში ხელბურთის ნაკრების მზადებაზე, ფედერაციაში არსებულ აზრთა სხვადასხვაობაზე ბევრჯერ დაიწერა და აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ ერთს - ცუდად იმუშავა და, ცხადია, ამან ლატვიასთან განცდილ ფიასკოზე გავლენა იქონია.

მაგრამ მთავარი მაინც მოედანზე ხდება და აქ კი უნდა იმუშაოს გუნდმა, მწვრთნელ-მოთამაშეთა ერთობლიობამ. ამ ერთობას ადრევე გამოაკლდა ორი გამოკვეთილი ლიდერი - **ტიტე კალანდაძე** და **სერგო დათუკიშვილი**. ტრავმა ჰქონდა 18 წლის ძალზე ნიჭიერ, მაგრამ ჯერაც გამოუცდელ და ჩამოუყალიბებელ **რატი მსხვილიძესაც**. ალბათ, ტრავმაც რომ არა, საეჭვოა, მას ამ დონეზე საკადრისად ეთამაშა, იმაზე მეტი გაეკეთებინა, რაც - მისივე ამპლუის **ლევან გელაშვილმა** მოახერხა.

მეოთხე დანაკლისად საბერძნეთში მოთამაშე **გარი თურქიას** ასახელებენ, მაგრამ, ჩემი აზრით, მისი დიდი იმედი არც უნდა ჰქონოდათ. თუ ჩამომსვლელი იყო, აქამდე უნდა გადაეწყვიტა და საბერძნეთის ნაკრებს შეკრებაზე არ უნდა გაჰყოლოდა. ვერ მოხვდა, გარეთ დარჩა და, როგორც ამბობენ, მომავალ მატჩებში შემოგვიერთდებაო. კეთილი, თურქია მართლა დიდი ძალაა დღევანდელი ნაკრებისთვის, მაგრამ ამას პატრიოტიზმად ნუ ჩავუთვლით.

ცნობილი სენტენცია, მატჩს იგებს მოთამაშე, აგებს - მწვრთნელი, მეტ-ნაკლებად, 7 იანვრის მატჩსაც მოერგება. მიუხედავად დანაკლისისა, საქართველოს ნაკრებს შეეძლო მოგება, მაგრამ ვერ შეძლო. რატომ?

სასტარტო შემადგენლობა: მარცხენა გარემარბად ნაკრების კაპიტანი **გიორგი ქობელაშვილი**, მარცხენა ინსაიდად **ვლადიმერ რუსია**, შუაში **ლევან გელაშვილი**, მარცხენა შუამარბი **მამია კობახიძე**, მარჯვენა კუთხეში **რევაზ ჭანტურია**, ხაზზე **სერგეი კირილოვი**, კარში **შოთა თევზაძე**. თითქოს ყველა ლიდერი მოედანზეა, მაგრამ განლაგება თუა იდეალური?

გელაშვილი ცაციაა, იგი ყოველთვის მარჯვენა შუამარბად ან კუთხეში იდგა. გამთამაშებლად არასოდეს უთამაშია და ხელბურთში თითქმის არც არსებობენ ცაცია გამთამაშებლები. მიზეზი ალბათ ისაა, რომ მემარცხენეები ნაკლებად მოქნილები არიან: პარალელი შეგვიძლია ფეხბურთთან გავავლოთ, სადაც ცაციები მარჯვენა ფეხს უმეტეს შემთხვევაში ვერ ხმარობენ და ამ მხარეს კოორდინაციაც არ უვარგათ, რასაც ვერ ვიტყვით მემარჯვენეებზე - როგორც წესი, ისინი ორივე ფეხს მშვენივრად ხმარობენ. ასევეა ხელბურთში - მემარჯვენე კარგად აკონტროლებს ორივე ფრთას და თუ ცაციით კარში არ დაარტყა, პასის მიცემა მაინც არ უჭირს. ლევანმა ვერ გაართვა თავი ამ მოვალეობას და ამიტომაც ვერ აეწყო შეტევაში ჩვენი თამაში. ვერც **მამია კობახიძემ** აუბა მხარი - ზოგჯერ შეტევის ტემპს აგდებდა, მცდარი მიმართულებით უტევდა და მეტოქეს თავდაცვის საშუალებას აძლევდა.

მერაბ მეტრეველმა ეს კი შენიშნა, გადააწყო კიდეც, მაგრამ ცოტა კი დააგვიანდა. კობახიძე სკამზე დასვა, მისი პოზიცია გელაშვილმა დაიკავა, შუაში კი ვეტერანი **ალექსანდრე ბოყოჩაძე** დადგა. ალეკო ბრწყინვალედ შევიდა თამაშში - ხაზზე ჩაირბინა, ზუსტი პასი მიიღო და გოლიც გაიტანა, ორიოდ წუთში კი ფინტით ჩამოიცილა მეტოქე და მეორე მიაყოლა. ამან გუნდი გამოაცოცხლა.

**ვლადიმერ რუსიაზე** დიდ იმედებს ვამყარებდით და, მიუხედავად იმისა, რომ ეგებ მეტსაც ველოდით, მისი თამაში მაინც დადებითად უნდა შეფასდეს. აღსანიშნავია **გიორგი ქობელაშვილიც** - მან საკმაოდ რთული პოზიციიდან გაიტანა ბურთები, ბევრს მოძრაობდა - ხაზზეც ჩარბოდა და ერთხელ აქედან გაიტანა; დაცვაშიც ნორმალურად ითამაშა. ცხადია, უშეცდომო არ იყო, მაგრამ როგორც კაპიტანმა, პრობლემებს თავი გაართვა.

მეტრეველმა მეორე ტაიმიც იმავე განლაგებით დაიწყო - შუაში ბოყოჩაძით. სამწუხაროდ, ბოყოჩაძე მეორე ტაიმში დაიღალა და ეს არც იყო გასაკვირი: ვეტერანი სასურველ კონდიციებში ვერ არის, ზედმეტი წონაც აწუხებს. მისი გამოცდილება საჭიროა, მაგრამ როცა ხედავ, რომ ძალა აღარ ჰყოფნის, უნდა შეცვალო. მეტრეველი კი ბოლომდე ენდო ბოყოჩაძეს და ალეკომაც რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტში ბურთი დაკარგა.

ვფიქრობ, მწვრთნელმა სათანადოდ არ გამოიყენა სათადარიგოთა სკამი. ბოყოჩაძის ამპლუის მოთამაშე მას ჰყავდა - საქართველოს ჩემპიონატების ბოლო წლების საუკეთესო ბომბარდირი **გიორგი ნივნივაძე**, რომელიც ვეტერანს დასვენების საშუალებას მაინც მისცემდა. ბოყოჩაძეს მეტრეველმა რამდენჯერმე **აკაკი ტალახაძე** შეუნაცვლა - აკაკიმ ორი გოლი გაიტანა, მაგრამ მწვრთნელის ნდობა მაინც ვერ მოიპოვა, აღარას ვამბობ ნივნივაძეზე - მას შანსი მხოლოდ ერთ შეტევაში მისცა, ისიც მაშინ, როცა გუნდი უკვე სამი ბურთით აგებდა და დასასრულამდე ათიოდ წუთი რჩებოდა.

მეტრეველს უნდობლობის მიზეზი ალბათ აქვს - უფრო გამოცდილები შეიგულა, მაგრამ სწორედ ეს მიმაჩნია შეცდომად, რადგანაც არც ნივნივაძეა ბავშვი და არც ტალახაძე. ბოლოსდაბოლოს რუსიას დასვენებაზეც უნდა ეფიქრა მწვრთნელს და მისი ადგილის დაკავება ნამდვილად შეეძლო ნივნივაძეს, მის გვერდით კი მონაცვლეობით შეიძლებოდა ტალახაძე-ბოყოჩაძის დაყენება.

ხელბურთში მრავალსვლიანი კომბინაციები თითქმის აღარ გამოიყენება. ძირითადად მოკლე, ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებით გადიან ფონს, მაგრამ ქართველები ვერც ამას ახერხებდნენ. იგნორირებული იყო მარჯვენა ფრთა - **რეზო ჭანტურიამდე** ბურთი ვერ მიდიოდა, ხოლო პასიურ მდგომარეობაში პასის მიღებას რა აზრი აქვს. არადა, ჭანტურია კლასიანი ოსტატია და მისი გამოუყენებლობა დიდი შეცდომა იყო. გუნდმა ელემენტარული მარაოს გაშლა უნდა იცოდეს, რათა კუთხიდან შეტევა გახდეს შესაძლებელი. რეზომ ხუთი გოლი კი შეაგდო, მაგრამ აქედან ოთხი სწრაფი გარღვევის შემდეგ. ამ მხრივ არც ქობელაშვილს ულხინდა - მასაც ვერ უქმნიდნენ სიტუაციას, მაგრამ გიორგიმ მოახერხა და ორჯერ გოლი გაიტანა, თან ეს ისეთი პოზიციიდან შეძლო, საიდანაც ათიდან 9 გარემარბი შეტევას ვერ გაბედავდა.



ნუგზარ სუარიძის ფოტო

დღევანდელ ხელბურთში ძალიან დიდი როლი აკისრია ხაზის მოთამაშეს. მასთან ნებისმიერ მოთამაშეს "ყველაფერი გარკვეული უნდა ჰქონდეს". იტყვიან, რომ შეთამაშებას ერთად ვარჯიში უნდა, ჩვენ კი ძირითად შემადგენლობას მხოლოდ რამდენიმე ხნით მოვუყარეთ თავიო. არგუმენტი გასაგებია, მაგრამ აქ ელემენტარულზეა საუბარი და მცდელობა მაინც უნდა გეტყობოდეს. აგერ ბატონო, ლატვიელთა რიგებში ყველაზე მეტი, 10 გოლი სწორედ ხაზის მოთამაშემ გაიტანა, უმეტესობა - სტატიკური შეტევის დროს.

**სერგეი კირილოვი** მაკედონიაში, საშუალო სიძლიერის გუნდში თამაშობს, ორ მეტრამდეა, მებრძოლი და დაუზარელი, თუმცა, ვგონებ, კლასი აკლია. ვერ გეტყვით, ლატვიაში, პირველ მატჩში როგორ ითამაშა, მაგრამ დიდი სარგებელი გუნდს რომ არ ჰქონდა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. დასკვნის გაკეთებას მაინც არ ვიჩქარებთ - ყველაზე მეტად მაინც კირილოვს უნდა უჭირდეს გუნდელებთან საერთო ენის გამონახვა...

დაცვაშიც გვაჯობა მეტოქემ. ლატვიელებმა დღეისათვის ყველაზე პოპულარული სისტემა - 5+1 აირჩიეს. არსი შემდეგშია: ერთი კაცი ცხრამეტრიან ზონასთან დგას და მეტოქის შემტევთა სივრცეს ზღუდავს. არსებობს ამ სისტემის ორგვარი ვარიანტი: პასიურ შემთხვევაში მცველი პერსონალურად იყვანს მეტოქის ყველაზე სახიფათო მოთამაშეს, აქტიური ვარიანტია მარჯვენა და მარცხენა შუამარბებს შორის მუდმივი გადაადგილება. სამუშაო ძალიან დამღლელია. ლატვიელთა არჩევანმა გაამართლა და შეტევაში ბურთს ხშირად რომ ვკარგავდით, ამითაც იყო განპირობებული.

ჩვენ ვთამაშობდით სისტემით - 6+0, ყველანი ერთ ხაზზე. ასეთი არჩევანი დღეს საშიშია, რადგანაც საშუალო დონის გუნდშიც კი მოიძებნება ორი ისეთი მოთამაშე, რომელსაც ნახტომში, დაცვის ხელების ზემოდან შეუძლია შედეგიანი გასროლა. ცხადია, ლატვიელებსაც ჰყავდათ ასეთები. თუ მაინცდამაინც 6+0 ირჩევ, მაშინ ზონის ხაზთან კი არ უნდა შეხვდე შემტევს, 7-8 მეტრზე უნდა აიწიო, რათა ტყორცნაში ხელი შეუშალო. ქართველები ამას არ აკეთებდნენ, ხოლო როცა ერთი კაცი ადიოდა, დამზღვევი თამაშობდა სუსტად და ხაზის მოთამაშეს სივრცე ეძლეოდა - გუნდელებიც პასს არ უგვიანებდნენ, მასაც გაჰქონდა და გაჰქონდა.

ბალტიისპირელები მარაოსაც კარგად შლიდნენ და ორივე კუთხის მოთამაშეს ბევრჯერ მიეცა ჩვენს ზონაში უპრობლემოდ შესვლის საშუალება, თუმცა, კარში **შოთა თევზაძე** იდგა! ერთადერთი, ვისი თამაშიც ბრწყინვალედ შეიძლება შეფასდეს, მეკარეა.

ერთი სიტყვით, ნაკრებს არ ჰქონდა სწორი სტრატეგია და ტაქტიკა, ძალიან ღარიბები იყვნენ შეტევისას და ცუდად იცავდნენ თავს, გადამწყვეტ მომენტებში კი დაბნეულობის გამო ბავშვურ შეცდომებს უშვებდნენ. აქაც შეეძლოთ მწვრთნელებს დროული და სწორი ჩარევით მატჩის რიტმის ცვლა, მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება, მაგრამ ასე არ მოხდა.

იქნება თუ არა სწორი დასკვნები, მალევე ვნახავთ, ოღონდ... 12 იანვარს ჯგუფის უდავო ფავორიტს, რუმინეთს ვმასპინძლობთ.

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლევან ბიბილაშვილი
ლელა ხომასურიძე

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 99 56 14, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ფაქსი: +995-32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა